ხორხე ლუის ბორხესი

წარმოსახვით არსებათა წიგნი

ხორხე ლუის ბორხესი

წარმოსახვით არსებათა წიგნი

სარჩევი

ა ბაო ა ქუ 7
აბთუ და ანეთი 8
ამფისბენა 8
ანამის ვეფხვები 9
ასთავიანი 10
აქერონის ურჩხული 11
ბალდანდერსი 13
ბასილისკო 14
ბაჰამუთი 16
ბენში 17
ბეჰემოთი 18
ბორამეცი 19
ბორაქი 19
ბრაუნები 20
გარუდა 21
გნომები 22
გოლემი 23
გრიფი 24
დრაკონი 26
ელოები და მორლოკები 28
ელფები 28
ექვსფეხა ანტილოპები 29
ვალკირიები 30

ვარხვი 30
ზღვის ცხენი 32
თალოსი 33
იუდაიზმის დემონები 34
იუვარქი 34
იქთიოკენტავრი 35
კამი 35
კატობლეპა 36
კენტავრი 37
კრაკენი 39
კროკოტები და ლევკროკოტები 40
კუების დედა 41
ლამედ ვუფნიკები 42
ლამიები 42
ლევიათანის პირმშო 43
ლემურები 44
ლილიტი 44
მანდრაგორა 45
მანტიკორა 46
მარტორქა 47
მელნის მაიმუნი 49
მთვარის კურდღელი 49
მინოტავრი 50
მირმეკოლეო 51

მიწისმტკეპნელი 52
ნაგები 53
ნაჯვარი 54
ნიმფები 56
ნისნები 56
ნორნები 57
ოდრადეკი 58
ორეული 59
ორი მეტაფიზიკური არსება 60
პანტერა 62
პერიციები 63
პიგმეები 65
რემორა 66
რვად განტოტილი გველი 67
სალამანდრა 68
სამფეხა სახედარი 71
სარატანი 72
სარკისეული არსებები 74
სატირები 76
სვედენბორგის ანგელოზები 77
სვედენბორგის დემონები 78
სითბური სხეულები 79
სილფები 79
სიმორღი 80

სკილა 81
სპილო, რომელმაც ბუდას დაბადება იწინასწარმეტყველა 82
სფეროსებრი არსებები 82
სფინქსი 84
სქუონკი 85
ტაო ტე 86
ტროლები 86
ურობოროსი 87
ფასტიტოკალონი 88
ფენიქსი 89
ფერიები 91
ფერტე-ბერნარის ბანჯგვლიანი ურჩხული 92
ფრინველი რუქი 93
ქიმერა 94
ქრონოსი ან ჰერაკლე 95
ქუიათა 96
შეერთებული შტატების ფაუნა 96
ჩეშირისა და კილკენის კატები 98
ჩინეთის ფაუნა 98
ჩინური დრაკონი 100
ჩინური მარტორქა 102
ჩინური მელა 103
ჩინური ფენიქსი 105
ჩრდილების მჭამელი 106

ცალთვალა არსებები 107
ცერბერი 108
ცეცხლოვანი ხელმწიფე და მისი რაში 110
ციური ირემი 110
ციური მამალი 111
ცხოველი კაფკას სიზმრიდან 112
ცხოველი კ. ს. ლუისის სიზმრიდან 112
ცხოველი პოს სიზმრიდან 114
წვიმის ფრინველი 115
ხეიოკა 116
ხუმბაბა 116
ჯაჭვებასხმული ნეზვი 117
ჯინი 117
ჰანიელი, კაფზიელი, აზრიელი, ანიელი 118
ჰარპიები 120
ჰიდრა 121
ჰიპოგრიფი 122
ჰოჩიგანი 124

ა ბაო ა ქუ

მსოფლიოში ულამაზესი პეიზაჟის ნახვას თუ მოისურვებთ, ჩიტორში აღმართულ გამარჯვების კოშკზე უნდა ახვიდეთ. სულ ზევით წრიული ტერასა დაგხვდებათ, საიდანაც ჰორიზონტს ყველა მხრიდან გაუსწორებთ თვალს. ტერასამდე ხვეული კიბე ადის, მაგრამ მასზე ასვლას მხოლოდ ისინი ბედავენ, ვისაც ეს ლეგენდა ჯერ არ სმენია:

„გამარჯვების კოშკის კიბეზე უხსოვარი დროიდან ბინადრობს ა ბაო ა ქუ, რომელსაც ადამიანის სულის განჭვრეტის უნარი ებოძა. ის პირველსავე საფეხურზე წევს ღრმა, ლეთარგიულ ძილში წასული და მხოლოდ მაშინ ფხიზლდება, როცა ვინმე საფეხურებს აუყვება. ადამიანის მიახლოება ამ არსებაში სიცოცხლეს აღვივებს და მისი შინაგანი შუქიც თანდათან მატულობს, სხეული უცახცახებს და კანი უთრთის. დაადგება თუ არა ვინმე ხვეულ კიბეს, პილიგრიმთა არაერთი თაობის მიერ გალიპულ საფეხურებს ჩაბღაუჭებული ა ბაო ა ქუ მიმავალს მაშინვე უკან აედევნება. ყოველ მომდევნო საფეხურზე ასვლა მას მეტ ელვარებას სძენს, სხეულის ფორმებიც ეხვეწება და შუქსაც სულ უფრო ცხოვლად ასხივებს. ამ არსების გრძნეულობა იმით დასტურდება, რომ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება სრულყოფილი, თუ კიბის უკანასკნელ საფეხურს ფეხს დაადგამს სულით მრთელი და შეურყვნელი ადამიანი. სხვა შემთხვევაში, დაუსრულებელი სხეულით, ბუნდოვანი შეფერილობითა და მბჟუტავი ნათებით, ის ადგილზე შეშდება. თუ სრულყოფილებას ბოლომდე ვერ მიაღწია, ა ბაო ა ქუ ტკივილებისგან იტანჯება და აბრეშუმის შრიალის მსგავსი სუსტი ხმით კვნესის; ხოლო მისთვის სასიცოცხლო მუხტის მიმცემი – გინდ კაცის, გინდ ქალის – უმწიკვლო სულის შეგრძნებისას, ის ხვეული კიბის ბოლო საფეხურზე სრულყოფილი და ცისფერი შუქით გასხივოსნებული ადის. თუმცა ეს გამოცოცხლება დროებითია, როგორც კი პილიგრიმი უკან დაეშვება, ა ბაო ა ქუც გორვა-გორვით მასთან ერთად უბრუნდება პირველ საფეხურს, სადაც გაცრეცილი ნახატივით ძლივს შესამჩნევ სილუეტად ქცეული, ისევ მორიგი სტუმრის

დასახვედრად ემზადება. ამ არსების დანახვა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ის ხვეული კიბის შუამდე მაინც ავა. ამ დროს მისი სხეულის მორჩები, პაწია მკლავებს რომ წააგავს და პატრონს საფეხურიდან საფეხურზე აცოცებაში ეხმარება, ნათელ, ხილულ, მკვეთრ მოხაზულობას იღებს. მავანნი ამბობენ, რომ ის მთელი სხეულით ხედავს, ხოლო მის კანთან შეხება ატამთან შეხებას ჰგავს“.

გასული საუკუნეების განმავლობაში ა ბაო ა ქუმ სრულყოფილი სახე მხოლოდ ერთხელ მიიღო.

კაპიტანი რიჩარდ ფრენსის ბერტონი ლეგენდას ა ბაო ა ქუზე მის მიერ თარგმნილი ათას ერთი ღამის შესახებ გაკეთებულ ჩანაწერებში ახსენებს.

აბთუ და ანეთი

ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად აბთუ და ანეთი ორი იდენტური გამოსახულების მქონე წმინდა თევზია, რომელიც მზის ღვთაების რას ნავს წინ მიუძღვის, რათა მოსალოდნელი ხიფათის შემთხვევაში წინასწარ გააფრთხილონ. დღისით ნავი ზეცაში მიცურავს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, ღამღამობით კი ის ქვესკნელში ჩადის და საპირისპირო მხარეს მიემართება.

ამფისბენა

ფარსალიაში (IX, 701-729) ჩამოთვლილია ყველა ის არსებული და გამოგონილი ქვეწარმავალი, რომელიც კატონის ჯარისკაცებს შეხვედრიათ აფრიკის უდაბნოებში. აქვეა მოხსენიებული რეპტილია, რომელიც „ხელჯოხივით წამომართული გადაადგილდება“, ფრთოსანი გველი იაკულუსი, რომელიც ჰაერიდან ისარივით მოქრის და შიშისმომგვრელი ორთავიანი ამფისბენა. პლინიუსი მას თითქმის იმავე სიტყვებით ახასიათებს და დასძენს, „თითქოსდა მთელი მისი შხამის გადმოსაფრქვევად ერთი პირი არ იკმარებდაო“. ბრუნეტო ლათი-

ნის თეზაურუსი (წიგნი საგანძურისა), ერთგვარი ენციკლოპედია, რომელიც მან თავის ერთ მოწაფეს, დანტეს, ჯოჯოხეთის მეშვიდე წრეზე ურჩია, ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ამფისბენა ორთავიანი გველია, რომელსაც ერთი თავი ჩვეულ, ხოლო მეორე კუდის ადგილას აქვს; ორივე თავით იკბინება, სწრაფად გადაადგილდება და თვალები ნაკვერჩხლებივით უელავს“. XVII საუკუნეში სერ თომას ბრაუნმა დაასკვნა, რომ ნებისმიერ ცხოველს „სხეულის ექვსი პოზიცია“ აქვს: წინა, უკანა, ზედა, ქვედა, მარჯვენა და მარცხენა. ბრაუნი სწორედ ამიტომ უარყოფდა ამფისბენას არსებობას, რომელსაც თავის და ბოლოს ნაცვლად ორი საწყისი (თავი) აქვს და ბოლო არ გააჩნია. ამფისბენა ბერძნულად „ორი მიმართულებით მიმავალს“ ნიშნავს. ანტილის კუნძულებზე და ამერიკის ზოგიერთ რეგიონში ამ სახელს უწოდებენ ქვეწარმავალს, რომელიც აგრეთვე „აქეთ-იქით მოსიარულედ“, „ორთავიან გველად“ და „ჭიანჭველების დედად“ არის ცნობილი. მავანნი ამბობენ, რომ ამფისბენას ჭიანჭველები კვებავენ და თუ მას ორ ნაწილად გავჭრით, დაუყოვნებლივ გამთლიანდებაო.

ამფისბენას სამკურნალო თვისებებს ჯერ კიდევ პლინიუსმა შეასხა ხოტბა.

ანამის ვეფხვები

ანამის მოსახლეობის რწმენით, სამყაროს ოთხივე მიმართულებით ვეფხვები (ან ვეფხვისსახიანი სულები) განაგებენ.

წითელი ვეფხვი განაგებს სამხრეთს (სამხრეთი მათი რუკების ზედა ნაწილშია განთავსებული), – ეს ზაფხულისა და ცეცხლის ვეფხვია;

შავი ვეფხვი განაგებს ჩრდილოეთს, – ის ზამთრისა და წყლის ვეფხვად მიიჩნევა;

ლურჯი ვეფხვი განაგებს აღმოსავლეთს, – ეს ვეფხვი გაზაფხულისა და მცენარეების ვეფხვია;

ხოლო თეთრი ვეფხვი განაგებს დასავლეთს და ის შემოდგომისა და ლითონების ვეფხვად არის მიჩნეული.

ამ მთავარი ვეფხვების გარდა არსებობს კიდევ ერთი, ყვითელი ვეფხვი, რომელიც დანარჩენებს სამყაროს შუაგულიდან მართავს, ისევე, როგორც ჩინეთის იმპერატორი მართავს ქვეყანას ცენტრიდან, ქვეყანას, რომელიც, თავის მხრივ, ასევე სამყაროს ცენტრად მიიჩნეოდა. სწორედ ამიტომ უწოდებენ ჩინეთს „შუალედურ სახელმწიფოს“; ამიტომ არის ის მოქცეული XVI საუკუნეში იეზუიტთა ორდენის წევრის, მამა რიჩის მიერ ჩინელების განსანათლებლად შედგენილი მსოფლიო რუკის შუაგულში. ლაო-ძიმ ვეფხვებს დემონების დამარცხება დააკისრა. ანამურ ლოცვების წიგნში, რომელიც ფრანგულად ლუი შოშომ თარგმნა, გვხვდება ლოცვა, რომელიც ხუთ ზეციურ ვეფხვს ჯარის გაძლიერებას შესთხოვს. ეს რწმენა ჩინეთიდან მოდის. სინოლოგები მოიხსენიებენ თეთრ ვეფხვს, რომელიც დასავლეთის ვარსკვლავებს ქვეშ მდებარე შორეულ ქვეყნებს განაგებს. სამხრეთს ჩინელები წითელ ფრინველს მიაკუთვნებენ; აღმოსავლეთს – ლურჯ დრაკონს; ჩრდილოეთს – შავ კუს. როგორც ჩანს, ანამის ხალხმა ფერები შეინარჩუნა, ცხოველებიდან კი მხოლოდ ვეფხვი დაიტოვა.

ბჰილებს, ცენტრალურ ინდოეთში მცხოვრებ ხალხს, სწამთ, რომ არსებობს ჯოჯოხეთი ვეფხვებისთვის; მალაელებს სმენიათ შუა ჯუნგლებში ვეფხვების მიერ აშენებული ქალაქის შესახებ, სადაც სახლებში კოჭებად ადამიანის ძვლებია გადებული, კედლები ადამიანის კანისაა, ხოლო სახურავისთვის ადამიანის თმაა გამოყენებული.

ასთავიანი

ასთავიანი ჰქვია თევზს, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში წარმოთქმული უშვერი სიტყვებით შექმნილი კარმისგან იშვა. ბუდას ბიოგრაფიის ერთ-ერთი ჩინური ვერსიის მიხედვით, ერთხელ ის მეთევზეს გადაეყარა, რომელსაც ზღვიდან ბადე გამოჰქონდა. დიდი წვალებისა და ჯახირის შემდეგ მეთევზემ, როგორც იქნა, უზარმაზარი თევზი ნაპირზე ამოათრია. თევზს მაიმუნის, ძაღლის, ცხენის, მელიის, ღორის, ვეფხვისა და კიდევ სხვა ბევრი ცხოველის თავები ება – სულ ასი თავი.

– კაპილა ხარ? – ჰკითხა ბუდამ.

– ხო, მე ვარ, – მიუგო ასთავიანმა თევზმა და იქვე სული განუტევა.

ბუდამ აუხსნა თავის მოწაფეებს, რომ კაპილა წინა ცხოვრებაში ბრაჰმანი იყო, რომელიც შემდგომში ბერი გახდა და წმინდა წიგნების ცოდნაში ტოლს ვერავინ უდებდა. როდესაც მისი თანამოძმეები რომელიმე სიტყვას არასწორად კითხულობდნენ, კაპილას ჩვევად ჰქონდა, მათთვის „მაიმუნის თავი“, „ვირის თავი“ და მსგავსი დამამცირებელი სიტყვები ეძახა. კარმის კანონების მიხედვით კაპილა სიკვდილის შემდეგ ზღვის ურჩხულად გადაიქცა, მისი კისერი კი სწორედ იმ ცხოველთა თავებით დამძიმდა, რომელთა სახელებითაც ის თანამოძმეებს „ამკობდა“.

აქერონის ურჩხული

აქერონის ურჩხული ერთადერთმა ადამიანმა იხილა და ისიც მხოლოდ ერთხელ. ეს ამბავი XVII საუკუნეში ირლანდიის ქალაქ კორკში მოხდა. ირლანდიურ ენაზე შესრულებული ამ ამბის პირველი ხელნაწერი დაიკარგა, მაგრამ რატისბონაში მოღვაწე ერთი ბენედიქტელი ბერის წყალობით, რომელმაც მისი ლათინურად თარგმნა მოასწრო, ის არაერთ სხვა ენაზეც ითარგმნა, მათ შორის შვედურად და ესპანურადაც. ამ ლეგენდის ორმოცდაათზე მეტი ლათინური მანუსკრიპტი დღესაც არსებობს, რომლებიც საკვანძო საკითხებს თითქმის ერთნაირად გადმოსცემენ. ლეგენდას თუნდალის ხილვა ჰქვია და მას დანტეს შთაგონების წყაროდ მიიჩნევენ.

მოდით, სიტყვა „აქერონით“ დავიწყოთ. ოდისეას მეათე სიმღერაში აქერონი მდინარეა, რომელიც ჰადესის დასავლეთით მიედინება. მისი სახელი გვხვდება ენეიდაში, ლუკანუსის ფარსალიაში და ოვიდიუსის მეტამორფოზებში. დანტემ ის თავის ლექსში „სევდიანი აქერონის ნაპირზე“ (*“Su la trista riviera d'Acheronte”*) უკვდავყო.

ერთი მითის მიხედვით აქერონი დასჯილი ტიტანია; მეორე, უფრო ადრეულს თუ დავუჯერებთ, ის სამხრეთ პოლუსზე ცხოვრობს,

ანტიპოდების ვარსკვლავური ცის ქვეშ. ეტრუსკებს წინასწარმეტყველების შესასწავლად ჰქონდათ „ბედისწერის წიგნები“ და „აქერონის წიგნები“, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ სულის მოგზაურობას აღწერდნენ. დროთა განმავლობაში აქერონი ჯოჯოხეთის სახელწოდებად იქცა.

თუნდალი ახალგაზრდა, წარჩინებული გვარის ირლანდიელი იყო, კარგად აღზრდილი და შეძლებული, მაგრამ მისაბაძი ზნეობრივი ცხოვრების წესით არ გამოირჩეოდა. ერთხელ მეგობარი ქალის სახლში ისე ავად გახდა, რომ სამი დღე-ღამის განმავლობაში მკვდარი ეგონათ. მხოლოდ გულთან ახლოსღა შეიგრძნობოდა ოდნავი სითბო. როდესაც გონს მოეგო, განაცხადა, რომ მისმა მფარველმა ანგელოზმა ის მიწისქვეშა სამეფოში ჩაიყვანა და იქაურობა მოატარა. მის მიერ ნანახი უამრავი საოცრებიდან, ჩვენ ამჯერად მხოლოდ აქერონის ურჩხული გვაინტერესებს.

აქერონი მთაზე მაღალია. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევს, პირი კი ისეთი უშველებელი აქვს, რომ ერთ ჯერზე ცხრა ათასი კაცის შთანთქმა შეუძლია. პირი რომ არ დაეხუროს, ორი სულწარწყმედილი არსება სვეტების ან ატლანტების მსგავსად ხახის ქვეშ შედგომია. ერთი მათგანი ფეხებზე დგას, მეორე კი – თავზე. ურჩხულს სამი ხახა აქვს და სამივე უქრობელ ცეცხლს აფრქვევს. სტომაქიდან კი მის მიერ გადაყლაპული უამრავი ცოდვილი სულის გაუთავებელი მოთქმა ისმის. ურჩხულს რომ სახელად აქერონი ერქვა, ეს ეშმაკებმა უთხრეს თუნდალს. მფარველი ანგელოზი გაუჩინარდება და თუნდალს აქერონის სტომაქში სხვა სულთა ნაკადი გაიტაცებს. ურჩხულის წიაღში ის ცრემლებს, ნისლსა და წყვდიადს, კბილების ღრჭიალს, ცეცხლს, აუტანელ სიცხეს, ყინულოვან სიცივეს, ძაღლების, დათვების, ლომებისა და გველების ხროვას ხვდება. ამ ლეგენდის მიხედვით თავად ჯოჯოხეთია მხეცი, რომელშიც სხვა დანარჩენი მხეცები იყრიან თავს.

1758 წელს ემანუელ სვედენბორგი წერდა: „მე არასდროს მინახავს ჯოჯოხეთი ფართო ხედით, მაგრამ ჩემთვის უთქვამთ, რომ როგორც ზეციერ სასუფეველს აქვს ადამიანის სახე, ასევე აქვს ჯოჯოხეთს დემონის სახე“.

ბალდანდერსი

სახელწოდება „ბალდანდერსი“ (გერმანული სიტყვა, რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ ან როგორც „არც ასეთი და არც ისეთი“, ან როგორც „მარად ცვალებადი“) ნიურნბერგელ მეწაღეს ჰანს საქსს ოდისეას იმ ფრაგმენტმა ჩააგონა, სადაც მენელაოსი ეგვიპტელების ღმერთის, პროთეუსის, დამორჩილებას ცდილობს, ის კი ხან ლომად გადაიქცევა, ხან გველად, ხან პანტერად, ხან უზარმაზარ გარეულ ღორად, ხანაც ხედ ან ნაკადულად. ჰანს საქსი 1576 წელს გარდაიცვალა. დაახლოებით ოთხმოცდაათი წლის შემდეგ ბალდანდერსი კვლავ გვხვდება გრიმელსჰაუზენის წიგნის “სიმპლიციუს სიმპლიციისსიმუს” მეექვსე თავში. მისი გმირი ერთხელ ტყეში ქვის ქანდაკებას გადააწყდება, რომელსაც რომელიღაც ძველგერმანულ ტაძრის კერპად მიიჩნევს და ხელით შეეხება. შეხებისთანავე ქანდაკება ენას ამოიდგამს და ეუბნება, რომ ის ბალდანდერსია და შეუძლია ადამიანის, მუხის, ნეზვის, ძეხვის, სამყურა ბალახებით სავსე მდელოს, ყვავილის, ყვავილებიანი ტოტის, თუთის ხის, აბრეშუმის კედლის ხალიჩის და კიდევ ბევრი სხვა საგნისა და არსების სახე მიიღოს და ბოლოს ისევ ადამიანის სახე დაიბრუნოს. ის ცდილობს სიმპლიციზმუსს შეასწავლოს ისეთ საგნებთან საუბრის ხელოვნება, „რომლებიც ბუნებით უტყვნი არიან, როგორც სკამები, ძელსკამები, ქვაბები და სურები“. იგი სიმპლიციზმუსს გადამწერლად ევლინება და მის თვალწინ წმინდა იოანეს გამოცხადებიდან შემდეგ სიტყვებს წერს: „მე ვარ ანი და ჰოე. დასაბამი და დასასრული“. სიტყვებს, რომლებიც იმ დაშიფრული სწავლების გასაღებს წარმოადგენენ, ბალდანდერსმა სიმპლიციზმუსს რომ გადასცა. ბალდანდერსი დასძენს, რომ მისი სიმბოლო (ისევე როგორც თურქებისა, მაგრამ ბევრად უფრო დამაჯერებელი არგუმენტით) ცვალებადი მთვარეა.

ბალდანდერსი დროში მონაცვლე ურჩხულთა თანმიმდევრობაა. გრიმელსჰაუზენის რომანის პირველი გამოცემის სატიტულო გვერ-

დზე გამოსახულია სატირისთავიანი, ადამიანისტანიანი, ფრინველივით ფრთაგაშლილი და თევზისკუდიანი არსების გრავიურა. ის ფეხებით, რომელთაგან ერთი თხისაა, მეორე კი სვავის, იმ არსებების ნიღბებს თელავს, რომლებად გარდასახვაც ბალდანდერსს ძალუძს. მას მხარიღლივ გადაჭერილ სარტყელზე დაშნა აქვს ჩამოკიდებული, ხელში კი გადაშლილი წიგნი უჭირავს, რომლის ფურცლებზეც გემი, ფიალა, კოშკი, ბავშვი, რამდენიმე კამათელი, ზანზალაკებიანი ქუდი და ზარბაზანი ჩანს.

ბასილისკო

საუკუნეების განმავლობაში ბასილისკოს სულ უფრო და უფრო მახინჯ და საზარელ არსებად აღწერდნენ. დღეს კი მას საერთოდაც აღარავინ მოიხსენიებს. მისი სახელი „პატარა ხელმწიფეს“ ნიშნავს. პლინიუს უფროსი (VIII, 33) მოგვითხრობს, რომ ბასილისკო იყო გველი, თავზე დიადემის მსგავსი თეთრი ლაქით. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ის ოთხფეხა მამალია, ყვითელი ბუმბულითა და დიდი, ეკლიანი ფრთებით. გველისა მას მხოლოდ კუდი აქვს, რომელიც კლანჭით ან მამლის თავით ბოლოვდება. მის გარეგნულ ცვლილებას სახელის ცვლილებაც მოჰყვა. მეთოთხმეტე საუკუნეში ჯეფრი ჩოსერი ბასილიკოკ-ს მოიხსენიებს. ალდროვანდის ქვეწარმავლებისა და დრაკონების საბუნებისმეტყველო ისტორიის ერთ-ერთ ილუსტრაციაზე მას რვა ფეხი აქვს და ბუმბულის ნაცვლად ქერცლით არის დაფარული.

ერთადერთი, რაც უცვლელი რჩება, მისი მომაკვდინებელი მზერაა. გორგონას მზერა ყველას, ვინც მისთვის თვალის გასწორებას გაბედავდა, ქვად აქცევდა. ლუკანუსის მიხედვით, ერთ-ერთი მათგანის, მედუზას სისხლიდან იშვა ლიბიის ყველა გველი: ასპიტი, ამფისბენა, ამოდიტესი და ბასილისკო. ფარსალიას IX სიმღერაში ვკითხულობთ:

„პერსევსმა მხარი იცვალა, დასავლეთის ქარს აედევნა და ლიბიას გადაუქროლა, ქვეყანას, რომელიც მეტი არაფერი იყო, თუ არა

უდაბნო, დღისით მზისა და ღამით ვარსკვლავების საცქერლად გადაშლილი...

მიწა ამ ქვეყნისა მწირია და მასზე კეთილი მარცვალი არასოდეს აღმოცენდება. ამ მიწამ ის შხამიანი სისხლი სვა, რომელიც მედუზას თავიდან მოწვეთავდა; ის იმ მოწამლული სისხლით დაიცვარა, რომლის შხამიც უდაბნოს სიმხურვალემ კიდევ უფრო ძლიერმოქმედი გახადა და მტვრიან ქვიშასთან შეადუღა.

ყველა იმ ადგილას, სადაც მედუზას სისხლი დაეწვეთა, ქვიშიდან, შხამით ყელგაბერილმა, ადამიანისთვის მარადიული ძილის მომგვრელმა ასპიტმა წამოყო თავი. არცერთ სხვა გველში არ დატეულა ამდენი შხამი, რადგან არსად მიწა ამდენი სისხლით არ დანამულა...

აქვეა ბასილისკო, რომელიც სხვა გველებს ავი სისინითაც კი შიშის ზარს სცემს და მათი დაგესლვა აღარ სჭირდება. ის დანარჩენ გველებს აიძულებს გაეცალონ იქაურობას, რათა მან ერთადერთმა იბატონოს მთელ უდაბნოში“.

ბასილისკო უდაბნოში ცხოვრობს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ადგილს, სადაც ბინადრობს, თვითონვე აქცევს ხოლმე უდაბნოდ. მკვდარი ჩიტები მის ფეხებთან ეცემიან და ხილი ლპება. მდინარეები, საიდანაც ის წყალს სვამს, საუკუნეების განმავლობაში მოწამლულია. მისი მზერა რომ ქვას ხეთქავს და ბალახს წვავს, ეს პლინიუსმაც დაადასტურა. თრითინას სუნი, როგორც შუა საუკუნეებში მიაჩნდათ, და მამლის ყივილი, მას თურმე კლავს. გამოცდილ მოგზაურებს უცხო მიწების დალაშქვრისას თან მამლები მიჰყავდათ. კიდევ ერთი იარაღი ბასილისკოს წინააღმდეგ სარკე გახლდათ. საკუთარი გამოსახულების დანახვაზე ბასილისკო უსულოდ ეცემოდა.

ქრისტიანმა ენციკლოპედისტებმა ფარსალიას მითოლოგიურ მონათხრობზე ხელი აიღეს და ბასილისკოს არსებობის რაციონალური ახსნა-განმარტების ძებნას შეუდგნენ (ისინი იძულებული იყვნენ მისი არსებობა ერწმუნათ, რადგან ვულგატა ებრაულ სიტყვას *“Tsepha”*, თარგმნის სწორედ როგორც ბასილისკო). ჰიპოთეზა, რომელსაც ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მამლის მიერ დადებული უფორ-

მო კვერცხი გახლდათ, რომლისგანაც ქვეწარმავალი თუ ბაყაყი გამოიჩეკა. XVII საუკუნეში სერ თომას ბრაუნმა ეს დაშვება ისევე შეუძლებლად მიიჩნია, როგორც თვით ლეგენდა ბასილისკოს შესახებ. დაახლოებით იმავე პერიოდში კევედომ დაწერა ლექსი ბასილისკო, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვინც შენ გიხილა, თუ ცოცხალია,
ტყუილი არის მაშინ ეს თხრობა,
თუ არ მომკვდარა, არ უნახიხარ,
და თუკი მოკვდა, ვერ მოჰყვებოდა“.

ბაჰამუთი

ბაჰამუთის სახელმა არაბეთის უდაბნოებამდე მიაღწია, სადაც ხალხის წარმოდგენაში ის ხშირად იცვლიდა სახეს და თანდათან სულ უფრო მეტად და მეტად ემსგავსებოდა გოლიათს. ბეჰემოთისა თუ სპილოსგან ხალხმა ის თევზად აქცია, რომელიც უძირო ზღვაში ბინადრობს. მათი რწმენით ამ თევზის ზურგზე ხარი დგას, ხარის თავზე ლალის ქვის მთა, მთის წვერზე ანგელოზი, ანგელოზის თავზე ექვსი ჯოჯოხეთი, ჯოჯოხეთების თავზე დედამიწა, დედამიწის თავზე კი შვიდი ცა. აი, რას გვიყვება ლეინის მიერ ჩაწერილი ლეგენდა:

„ღმერთმა შექმნა დედამიწა, რომელსაც საყრდენი არ ჰქონდა. ამიტომ მის საყრდენად შექმნა ანგელოზი. რადგან არც ანგელოზს ჰქონდა საყრდენი, ღმერთმა ანგელოზის ტერფქვეშ ლალის ქვის მთა შექმნა. აღმოჩნდა, რომ არც ლალის ქვის მთას ჰქონდა საყრდენი, ამიტომ მის ქვეშ ხარი შექმნა ოთხი ათასი თვალით, ყურით, ცხვირით, პირით, ენით და ჩლიქით. არც ამ ხარს ჰქონდა საყრდენი, ამიტომ მის ქვეშ თევზი შექმნა, სახელად ბაჰამუთი, თევზის ქვეშ წყალი შექმნა, წყლის ქვეშ კი წყვდიადი, რომლის იქითაც ადამიანის გონება ვეღარ წვდება“.

სხვათა მტკიცებით, დედამიწა წყალზე დგას, წყალი კლდეზე, კლდე ხარზე, ხარი ქვიშაში, ქვიშა ბაჰამუთზე, ბაჰამუთი მახრჩობელა

ქარზე, მახრჩობელა ქარი ნისლის ფენაზე. აი, ნისლის ფენის ქვეშ რა არის, ეს კი არავინ უწყის.

ბაჰამუთი იმხელაა და ისე ბრწყინავს, რომ ძე კაცისა მას თვალს ვერ უსწორებს. მის ერთ ნესტოში ისე ჩაიკარგება დედამიწის ყველა ოკეანე, როგორც მდოგვის მარცვალი უდაბნოში. ათას ერთი ღამის 496-ე ღამის ნაამბობში ნათქვამია, რომ ისას (იესო) მიეცა ბაჰამუთის ნახვის ნებართვა და, ეზიარა რა ამ წყალობას, ის გულწასული დაეცა მიწაზე და მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოეგო გონს. იქვე ვკითხულობთ, რომ ვეებერთელა თევზის ქვეშ ზღვაა, ზღვის ქვეშ ჰაერით სავსე უფსკრული, უფსკრულის ქვეშ ცეცხლი, ცეცხლის ქვეშ კი გველი, სახელად ფალაკი, რომელიც ჯოჯოხეთის კარიბჭეს დარაჯობს.

ხარზე მდგომი კლდის, ბაჰამუთზე მდგარი ხარის და კიდევ რაღაც სხვაზე მდგარი ბაჰამუთის შესახებ წარმოდგენა ღმერთის არსებობის კოსმოლოგიური დასაბუთების ერთ-ერთი მცდელობაა. ამ დასაბუთებიდან კი ის გამომდინარეობს, რომ ყველა პირობას წინ უნდა უძღოდეს თავისი წინაპირობა, ხოლო იმისათვის, რომ ეს პროცესი უსასრულოდ არ გაიწელოს, აუცილებელია საწყისი პირობის განსაზღვრა.

ბენში

ბენში თვალით არავის უნახავს, რადგან ის ავისმომასწავებელი მოთქმა უფროა, ვიდრე ხორცშესხმული არსება, რომელიც ირლანდიასა და, სერ უოლტერ სკოტის წიგნს (წერილები დემონოლოგიასა და ჯადოქრობაზე) თუ დავუჯერებთ, შოტლანდიის მთიან ნაწილსაც შიშის ზარს სცემს. თუ ფანჯრიდან მისი ხმა შემოესმათ, ოჯახში ვინმე გარდაიცვლება. ამ ხმის გაგონების უნარი გარკვეული პრივილეგიაა მათთვის, ვისაც წმინდა კელტური სისხლი აქვს და არც ერთი წვეთი რომაული, საქსონური ან ჩრდილოური სისხლი არ ურევია. ბენშის მოთქმა უელსსა და ბრეტანშიც სმენიათ. ისინი ელფების ჩამომავალნი არიან. მათ მოთქმას ადგილობრივ ენაზე „*keening*“-ს უწოდებენ.

ბეჰემოთი

ქრისტეშობამდე ოთხასი წლით ადრე ბეჰემოთი გიგანტური ზომის სპილო ან ჰიპოპოტამი გახლდათ, ან სულაც ერთად აღებული ორივე ცხოველის შიშისმომგვრელი ვერსია. დღეს კი მისგან იმ ათი ცნობილი ბიბლიური დახასიათების გარდა (იობი, 40, 15-24) არაფერია დარჩენილი. დანარჩენი ან ვარაუდია, ან ფილოლოგია.

სახელწოდება ბეჰემოთი მრავლობითი რიცხვის ფორმაა. ფილოლოგების განმარტებით, აქ თურმე ებრაული სიტყვის *„b'hemah"*-ის (რაც ურჩხულს ნიშნავს) ძლიერ მრავლობითთან გვაქვს საქმე. როგორც ბერი ლუი დე ლეონი იობის წიგნის მისეულ განმარტებაში წერდა: „ბეჰემოთი ებრაული სიტყვაა და ურჩხულებს ნიშნავს. წმინდა წერილის მცოდნეთა გადაწყვეტილებით, ბეჰემოთში სპილო იგულისხმება, რომელიც თავისი უშველებელი სხეულის გამო მართალია ერთია, მაგრამ ბევრს უდრის".

უბრალოდ, ინტერესის გამო, აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ღმერთის სახელი, ელოჰიმი, მოსეს I წიგნის პირველ წინადადებაში მრავლობით რიცხვშია, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლობით რიცხვში მყოფი ზმნა ახლავს თან („თავდაპირველად ელოჰიმმა (ღმერთებმა) შექმნა ცა და დედამიწა") და რომ ამ გრამატიკულ ფორმას "*pluralis majestatis*" ეწოდება.

15. აჰა, ბეჰემოთი, შენთან ერთად რომ შევქმენი, ჭამს ხარივით ბალახს.

16. აჰა, ძალა მისი მის წელშია, მისი სიმაგრე – მუცლის კუნთებშია;

17. ნაძვივით დრეკს თავის კუდს, თეძოების ძარღვები გადაგრეხილი აქვს;

18. მისი ძვლები სპილენძის მილებია, მისი სახსრები – რკინის წნელები;

19. ის პირველია ღვთის ქმნილებებში, მხოლოდ მისი გამჩენი თუ დაჰკრავს მახვილს;

20. მთები აძლევს მას საზრდოს და ველის ყოველი მხეცი იქ ერთობა;

21. ლაქაშებში წვება, ლერწმის საფარში და ჭაობებში;

22. ლაქაშები ჩრდილს აფენს მას, ღელის ძეწნები გარს ახვევია;

23. აჰა, ბობოქრობს მდინარე, ის კი არ ფრთხება, მშვიდად არის, თუნდაც იორდანე მიეღვაროს პირში.

24. თვალით ვინ დაიჭერს მას, მახით ვინ გაუხვრეტს ცხვირს?

ბორამეცი

ეს მცენარეული კრავი სათათრეთიდან, რომელსაც ასევე ბორამეცს, პოლიპოდიუმ ბორამეცსა და ჩინურ პოლიპოდიუმსაც უწოდებენ, ოქროსფერი ბოჭკოებით დაფარული კრავის ფორმის მცენარეა. ის ოთხი ან ხუთი ფესვიდან იზრდება. მის სიახლოვეს მყოფი სხვა მცენარეები ხშირად ჭკნებიან, ის კი ქორფა და ფუმფულა რჩება. თუ ამ მცენარეს მოჭრით, ღეროდან მას სისხლისმაგვარი, წითელი წვენი გადმოუვა. მგლები ბორამეცს გემრიელად შეექცევიან. სერ თომას ბრაუნი ამ მცენარეს თავისი ნაშრომის „*Pseudodoxia Epidemica*“ (ლონდონი, 1646) მესამე ტომში აღწერს. სხვა ურჩხულებში მხოლოდ სხვადასხვა სახეობის ცხოველები ერთიანდებიან, ბორამეცი კი მცენარისა და ცხოველის ნაზავია.

მოდით, აქ მანდრაგორა გავიხსენოთ, რომელიც ადამიანივით ყვირის, თუ ვინმე მიწიდან მის ამოთხრას შეეცდება; ან – ჯოჯოხეთის ერთ-ერთ წრეზე თვითმკვლელთა უნუგეშო ტყეში მზარდი ხეები, რომელთაც კანის დასერვისას სისხლი და სიტყვები ერთად გადმოსდით; ან სულაც – ჩესტერტონის მიერ გამოგონილი ხე, რომელიც ტოტებში შებუდებულ ჩიტებს სანსლავდა და გაზაფხულზე ფოთლების ნაცვლად მათი ბუმბულით იმოსებოდა.

ბორაქი

ყურანის მეჩვიდმეტე სურის პირველ აიაში ვკითხულობთ: დიდება იმას, რომელმაც თავისი მსახური წმინდა ტაძრიდან ღამით

გადაიყვანა უფრო მოშორებით მდებარე ტაძარში, რომლის შემოგარენიც ჩვენ დავლოცეთ, რათა გვეჩვენებინა მისთვის ჩვენი ნიშნები.

ყურანის მცოდნენი გვიხსნიან, რომ ამ სურაში განდიდებული – თვით უფალია, მსახური – მუჰამედი, წმინდა ტაძარი – მექაა, მოშორებით მდებარე ტაძარი კი – იერუსალიმი; აგრეთვე ცნობილია, რომ იერუსალიმიდან წინასწარმეტყველი მეშვიდე ცაზე მოხვდა. ამ თქმულების უძველესი ვერსიის მიხედვით მუჰამედს წინ კაცი ან ანგელოზი მიუძღოდა; გვიანი ვერსიის მიხედვით ის ციურმა ირემმა წაიყვანა, რომელიც ვირზე დიდი და ჯორზე მომცრო ტანისა იყო. ამ ცხოველს ბურაქი ან ბორაქი ჰქვია, რაც „ბრწყინვალეს“, „მანათობელს“ ნიშნავს. კაპიტანი ბერტონი მოგვითხრობს, რომ ინდოეთში მაჰმადიანები ბორაქს ადამიანის სახით, სახედრის ყურებით, ცხენის ტანით, ფარშავანგის ფრთებითა და კუდით გამოსახავენ.

ერთი ისლამური ჰადითის მიხედვით დედამიწიდან ცად აჭრისას ბორაქმა წყლით სავსე დოქი წააქცია. წინასწარმეტყველი მუჰამედი მეშვიდე ცაზე ავიდა და იქ მყოფ პატრიარქებსა და ანგელოზებს გაესაუბრა. ხოლო როდესაც უფალი იხილა და მისი ხელის შეხება იგრძნო, ძარღვებში ლამის სისხლი გაეყინა. უფალთან ყოფნის დრო ადამიანთა დროით არ იზომება. ამიტომ როდესაც მუჰამედი დედამიწაზე დაბრუნდა, მან მოასწრო და მანამდე სტაცა ხელი წაქცეულ დოქს, სანამ მისგან წვეთი წყალი დაიქცეოდა.

მიგელ ასინ პალასიოსი შეგვახსენებს მეცამეტე საუკუნის მურსიელ მისტიკოსს, რომელმაც დაწერა ალეგორია სახელწოდებით „წიგნი ღამეული მოგზაურობისა მის ყველაზე კეთილშობილ უდიდებულესობასთან“. ამ წიგნში ავტორმა ბორაქი ღვთაებრივი სიყვარულის სიმბოლოდ მოგვივლინა. სხვა ტექსტებში კი ბორაქს „სპეტაკ რწმენას“ ადარებენ.

ბრაუნები

ბრაუნები პატარა გამრჯე კაცუნები არიან, რომელთა სახელიც მათი მოყავისფრო ფერით არის განპირობებული. ისინი შოტლანდიურ

ფერმებს სტუმრობენ და სანამ მათ პატრონებს სძინავთ, სხვადასხვა საშინაო საქმეებში ხელს აშველებენ. მსგავს მოვლენაზე გრიმების ერთ-ერთი ზღაპარიც მოგვითხრობს.

ცნობილი მწერალი რობერტ ლუის სტივენსონი ამტკიცებდა, რომ მან შეძლო თავისი ბრაუნების მოთვინიერება და ლიტერატურაში მათი დახელოვნება. როცა მას სძინავს, ისინი ჩურჩულით კარნახობენ ჯადოსნურ სიუჟეტებს, მაგალითად, დოქტორი ჯეკილის საოცარ გარდასახვას დემონურ მისტერ ჰაიდად და იმ ეპიზოდსაც „ოლალადან“, რომელშიც ყმაწვილი კაცი ტრადიციული ესპანური ოჯახიდან, ხელზე კბენს საკუთარ დას.

გარუდა

ვიშნუს, ინდუისტური პანთეონის სამებიდან რიგით მეორე ღვთაებას, ხშირ შემთხვევაში უზარმაზარ წყლის გველზე, ხანდახან კი ფრინველზე – სახელად გარუდა – ამხედრებულს გამოსახავენ. ამ გამოსახულებებზე ვიშნუ ლურჯი ფერის ღვთაებაა, რომელსაც ოთხი ხელი აქვს. მას ერთ ხელში კვერთხი უჭირავს, მეორეში ნიჟარა, მესამეში ბადრო, მეოთხეში კი ლოტოსი. გარუდას არწივის ფრთები, სახე და კლანჭები აქვს, ხოლო ტანი და ფეხები – ადამიანისა. სახეზე ის თეთრი ფერისაა, ფრთები ალისფერი აქვს, სხეული – ოქროსფერი. ბრინჯაოს ქანდაკებები და მონოლითები გარუდას გამოსახულებით ინდუისტურ მონასტრებს ამკობენ. ერთ-ერთი მათგანი გვალიორში დგას. ის ქრისტეშობამდე დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე ვიშნუს თაყვანისმცემელმა, ბერძენმა ჰელიოდორესმა აღმართა.

გარუდა-პურანაში (მეჩვიდმეტე პურანა ანუ გადმოცემა) ეს განსწავლული ფრინველი ადამიანებს სამყაროს წარმოშობაზე, ვიშნუს მზესთან დამოკიდებულებაზე, რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე, მზისა და მთვარისგან წარმოშობილი მაღალი წრის ოჯახების გენეალოგიასა და რამაიანას შინაარსზე, ასევე პოეზიასთან, ენათმეცნიერებასთან და მედიცინასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე ესაუბრება.

ნაგანანდაში (გველების სიხარული), რომელიც მეშვიდე საუკუნეში ერთ-ერთმა მეფემ შეთხზა, გარუდა ყოველდღე კლავს და ჭამს გველს, სანამ ბუდისტი უფლისწული მას თავშეკავების სათნოებაზე არ გაესაუბრება. ბოლო მოქმედებაში სინანულში ჩავარდნილი ფრინველი მის მიერ შეჭმულ გველებს მათივე ძვლებიდან მკვდრეთით აღადგენს. ეგელინგი გამოთქვამს ეჭვს, რომ ეს ნაწარმოები ბრაჰმანების მიერ ბუდისტებზე შექმნილი სატირული ნაწარმოებია.

ნიმბარკა, მისტიკოსი, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზუსტი თარიღი უცნობია, წერდა, რომ გარუდა არის მარადისობისთვის გადარჩენილი სული, ისევე როგორც ღმერთის სხვა ატრიბუტები, მაგალითად, გვირგვინი, ყურის სამშვენისი და სალამური.

გნომები

გნომების სახელწოდება მათზე გაცილებით ახალგაზრდაა. ის ბერძნული ენიდან მოდის, მაგრამ ბერძენი კლასიკოსების ნაშრომებში არ ფიგურირებს, რადგან მეთექვსმეტე საუკუნით თარიღდება. მის გამოგონებას ეტიმოლოგები შვეიცარიელ ალქიმიკოსს, პარაცელსუსს მიაკუთვნებენ, რამეთუ ეს სიტყვა პირველად სწორედ მის ნაშრომებში გვხვდება.

გნომები მიწაში და მთებში ბინადრობენ. ფოლკლორში ისინი წვეროსან ჯუჯა არსებებად გვევლინებიან, უხეში და სასაცილო სახის ნაკვთებით. ატარებენ ყავისფერ ვიწრო შარვალსა და ბერების ხიფთანს. როგორც გრიფები ბერძნულ და აღმოსავლურ ლეგენდებში და დრაკონები საქსონურ მითებში, ისინიც მთებში დამალულ საგანძურს დარაჯობენ.

„Gnosis“ ბერძნულად ცოდნას ნიშნავს. პარაცელსუსმა მათ გნომები უწოდა, რადგან სწორედ მათ იციან ძვირფასი ლითონების ადგილსამყოფელი.

გოლემი

დამეთანხმებით, რომ ღვთის მიერ ნაკარნახევ წიგნში შემთხვევითი არაფერია, თუნდაც სიტყვების რაოდენობა ან ასოების თანმიმდევრობა. ასე ფიქრობდნენ კაბალის მცოდნეებიც და ღვთიური საიდუმლოებების ამოხსნის წადილით შეპყრობილნი, ისინი წმინდა წიგნის ასოებს ითვლიდნენ, ანაცვლებდნენ და მათგან სხვადასხვა კომბინაციებს ადგენდნენ. მეცამეტე საუკუნეში დანტე განმარტავდა, რომ ბიბლიის ნებისმიერ ადგილს ოთხგვარი მნიშვნელობა გააჩნდა – სიტყვასიტყვითი, ალეგორიული, ზნეობრივი და ანაგოგიური. ამ დროს ღვთიურობის ცნებისადმი ბევრად უფრო ერთგულ იოანე სკოტუს ერიუგენას უკვე ნათქვამი ჰქონდა, რომ წმინდა წერილს იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენი ფერიც აქვს ფარშავანგის კუდს, რასაც კაბალისტები უეჭველად დაეთანხმებოდნენ. ერთ-ერთი საიდუმლო, რომლის ამოხსნასაც ისინი ამ საღვთო წერილიდან ცდილობდნენ, ცოცხალი არსების შექმნა გახლდათ. დემონებზე ამბობდნენ, რომ მათ შეეძლოთ დიდი, მასიური არსებების, მაგალითად აქლემების შექმნა, მაგრამ რაიმე მომცროსა და ნატიფის შექმნა არ ხელეწიფებოდათ. რაბინი ელეაზარი კი ამბობდა, რომ ქერის მარცვალზე პატარას ისინი ვერაფერს შექმნიდნენ. გოლემი ადამიანს ერქვა, რომელიც ასოების შეერთების შედეგად შეიქმნა. სახელი სიტყვასიტყვით უფორმო ან უსიცოცხლო სხეულს ნიშნავს.

თალმუდში (სინედრიონი 165, ბ) ვკითხულობთ:

„... თუ მართლმორწმუნენი მოისურვებენ, მათ შეუძლიათ თავადაც შემოქმედად იქცნენ. ღვთის გამოუთქმელი სახელის ასოების გადანაცვლებით რაბამ მოახერხა ადამიანის შექმნა და ის რაბ ზეირასთან გაგზავნა. მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელი მას გამოელაპარაკა, პასუხი კი ვერ მიიღო, თქვა:

„ჯადოქართა ნახელავი ყოფილხარ. მიწად იქეც“.

დასავლურმა სამყარომ გოლემი ავსტრიელი მწერლის, გუსტავ მაირინკის წყალობით გაიცნო, რომელმაც თავისი სიზმრისებური რომანის „გოლემი“ მეხუთე თავში ასეთი რამ გვიამბო:

„ნამდვილი ამბავი, როგორც ამბობენ, მე-17 საუკუნით თარიღდება. კაბალას უძველესი ფორმულის გამოყენებით მავანმა რაბინმა შეძლო მექანიკური ადამიანის, სახელად გოლემის აწყობა და მას სინაგოგაში ზარების რეკვა და სხვა მძიმე სამუშაოების შესრულება დაავალა. სრულყოფილ ადამიანად გოლემი ვერასოდეს იქცა. მხოლოდ გაუცნობიერებელი, პრიმიტიული არსებობა ხვდა წილად. როგორც ამბობენ, ასეთადაც მხოლოდ მზის ჩასვლამდე რჩებოდა და ისიც პირში გაჩრილი მაგიური ქაღალდის ნაგლეჯისა და სამყაროს თავისუფალი სიდერული ძალების წყალობით. ერთხელ რაბინს საღამოს ლოცვის წინ გოლემის პირიდან ქაღალდის გამოღება დავიწყებოდა, რომელზეც მაგიური ფორმულა ეწერა, რის გამოც ეს უკანასკნელი სიშლეგეს შეეპყრო, ბნელ შუკებში სირბილს მოჰყოლოდა და რასაც გზად გადაჰყროდა ყველაფერი დაემსხვრია და დაელეწა. ასე გრძელდებოდა, სანამ რაბინი წინ არ გადაეღობა, პირიდან ქაღალდი არ გამოგლიჯა და ნაკუწებად აქცია. ამის შემდეგ გოლემი უსულოდ დაენარცხა ძირს, მისგან კი თიხის ჯუჯა ფიგურა დარჩა, რომლის ნახვა დღესაც შესაძლებელია პრაღის სინაგოგაში“.

ვორმსელმა ელეაზარმა შეინახა გოლემის შესაქმნელი ფორმულა. ამ პროცესის დეტალური აღწერა ინ-ფოლიოს 23 სვეტს იკავებს, დამატებით „221 კარიბჭის ანბანის“ ცოდნას მოითხოვს და გოლემის თითოეული ორგანოს შესაქმნელად აუცილებელია მისი განმეორება. შუბლზე მას სიტყვა ემეტი უნდა ამოეტვიფროს, რაც ჭეშმარიტებას ნიშნავს, ხოლო თუ ამ არსების განადგურება იქნება საჭირო, უნდა წაიშალოს პირველი ასო, რის შემდეგაც დაგვრჩება სიტყვა მეტი, რაც სიკვდილს ნიშნავს.

გრიფი

ჰეროდოტე არიმასპებთან მათი გაუთავებელი ბრძოლის აღწერისას გრიფებს „ფრთოსან ურჩხულებს“ უწოდებს. არც პლინიუსი გვაძლევს მათ შესახებ დამატებით ინფორმაციას, როდესაც ამ „შეუდარებელი ფრინველების“ გრძელ ყურებსა და მოკაუჭებულ ნისკარტებზე

გვიყვება (X, 70). ყველაზე სრულყოფილი აღწერა ეკუთვნის იდუმალებით მოცულ სერ ჯონ მანდევილს. აი, რას მოგვითხრობს იგი თავისი სახელგანთქმული მოგზაურობების ოთხმოცდამეხუთე თავში:

„ამ ქვეყნიდან (თურქეთი) ადამიანები ბაქტრიისკენ მიემართებიან, სადაც ბოროტი და სასტიკი ხალხი ცხოვრობს, სადაც ცხვარივით მატყლით დაფარული ხეები იზრდება, რომელთაგანაც ქსოვილებს ამზადებენ. იმ ქვეყანაში ბინადრობენ ბეჰემოთები, რომლებიც ხან ხმელეთზე ცხოვრობენ, ხან წყალში, ნახევრად ადამიანები არიან და ნახევრად ცხენები და თუ ადამიანებს მოიხელთებენ, მხოლოდ მათი ხორცით იკვებებიან. გარდა ამისა, იქ აურაცხელი გრიფი ცხოვრობს, გაცილებით მეტი, ვიდრე სადმე სხვაგან და მავანნი ამბობენ, რომ მათი სხეულის წინა ნაწილი არწივისას ჰგავს, ხოლო უკანა – ლომისას, და ეს ყველაფერი სრული ჭეშმარიტებაა, რადგან განგებას ისინი სწორედ ასეთებად შეუქმნია. მაგრამ გრიფის სხეული რვა ლომის ხელაა, ძალა კი ასამდე არწივისა აქვს. ასევე, მას იოლად შეუძლია მხედრისა და ცხენის ერთდროულად, ან სახნავად ყანაში გასული გუთნიანი უღელი ხარის თავის ბუდეში წაწიალება, რამეთუ ფეხებზე ხარისოდენა კლანჭები ასხია, რომლისგანაც სასმისებს, ხოლო მისი ნეკნებისგან ისრების სატყორცნად მშვილდებს ამზადებენ“.

კუნძულ მადაგასკარზე კიდევ ერთმა ცნობილმა მოგზაურმა მარკო პოლომ ყური მოჰკრა ფრინველ რუქზე საუბარს და თავდაპირველად ეგონა, რომ მასში „*ucello grifone*“, ფრინველი გრიფი იგულისხმებოდა (მილიონე, XVIII).

შუა საუკუნეებით დათარიღებული ინფორმაცია გრიფის სიმბოლიკის შესახებ ხშირად არაერთგვაროვანი და ურთიერთგამომრიცხავია. ერთი იტალიურენოვანი ნაშრომი, რომელიც მითოლოგიურ ურჩხულებს ეხება, ამტკიცებს, რომ გრიფი ეშმაკის გამოსახულებაა. ზოგადად კი გრიფი ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევა და სწორედ ამას გვიხსნის ისიდორე სევილიელი თავის ეტიმოლოგიაში: „ქრისტე ლომია, რადგან ის მბრძანებლობს და საამისო ძლევამოსილებაც გააჩნია, ასევეა არწივიც, რამეთუ აღდგომის შემდეგ ზეცად ამაღლდა“.

ჯოჯოხეთის 29-ე ქებაში დანტე აღწერს სატრიუმფო ეტლს, რომელშიც გრიფია შებმული. მისი არწივისეული ნაწილი ოქროსია, ხოლო ლომისეული – თეთრი, წითელთან შერეული, რადგან, როგორც დანტეს კომენტატორები აღნიშნავენ, ეს ფაქტი ხაზს უსვამს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას (თეთრის წითელთან შერევით ხორცისფერი მიიღება).

მავანნი მიიჩნევენ, რომ დანტემ ამით პაპის სიმბოლო შექმნა, რომელიც ერთდროულად მოძღვარიცაა და მეფეც. თავის ქრისტიანულ იკონოგრაფიაში დიდრო წერს: „პაპს, როგორც პონტიფექსს ან არწივს, უფლის ტახტამდეც ძალუძს ამაღლება, რათა მოისმინოს უფლის მიერ გაცემული ბრძანებები, შემდეგ კი უკან დაბრუნდეს და როგორც ლომმა ან მეფემ ღირსეულად და მედიდურად იაროს დედამიწაზე“.

დრაკონი

დრაკონს შეუძლია უამრავი ერთმანეთისგან განსხვავებული და ამავდროულად ყოვლად წარმოუდგენელი სახით გვეჩვენოს. ადამიანთა წარმოსახვაში მას ჩვეულებისამებრ ცხენის თავი, ქვეწარმავლის კუდი, სხეულის ორივე მხარეს განლაგებული ძლიერი ფრთები და ორი წყვილი კიდური აქვს ოთხი დიდი ბრჭყალით. ლეგენდები გვიამბობენ ცხრა მსგავსების შესახებ: რქებით ირემს ჰგავს, თავით აქლემს, თვალებით დემონს, ყელით ქვეწარმავალს, მუცლით მოლუსკს, ქერცლით თევზს, კლანჭებით არწივს, ტერფებით ვეფხვს და ყურებით ხარს. თურმე უყურო დრაკონებიც არსებობენ, რომელთაც რქებით ესმით. როგორც წესი, მათ ყელზე შებმული მარგალიტით გამოსახავენ, რომელიც მზის სიმბოლოა. მათი ძალაც ამ მარგალიტში ინახება და თუ ვინმე მის წართმევას მოახერხებს, ისინი სრულიად უვნებელნი ხდებიან.

ისტორია დრაკონებს პირველი იმპერატორების წინაპრებად მიიჩნევს. დრაკონის კლანჭებს, კბილებსა და ნერწყვს სამკურნალო თვი-

სებები აქვს. სურვილისდა მიხედვით დრაკონი შეიძლება ადამიანებისთვის ხილული ან უხილავი იყოს. გაზაფხულზე ის ცაში ნავარდობს, შემოდგომით კი ოკეანეების ფსკერს აფარებს თავს. დრაკონების ერთ სახეობას ფრთები არა აქვს და თითქოს უხილავი ძალით დაფრინავს. მეცნიერება დრაკონების რამდენიმე სახეობას გამოყოფს: ციური დრაკონი ქედით ღმერთების სასახლეს ებჯინება და მას ზეცაში აკავებს. ღვთაებრივი დრაკონი ადამიანებისთვის სიკეთის მომტან ქარსა და წვიმას წარმოშობს; მიწიერი დრაკონი მდინარეებისა და ნაკადულების დინებას მართავს; მიწისქვეშა დრაკონი კი იმ განძს სდარაჯობს, რომელთან მიახლოებაც ადამიანებს ეკრძალებათ. ბუდისტები ამბობენ, რომ იმდენი დრაკონი არსებობს, რამდენი თევზიც დაცურავს მათ კონცენტრულ ზღვებში. სამყაროში არსებობს წმინდა რიცხვი, რომელიც მათ ზუსტ რაოდენობას განსაზღვრავს. ჩინელებს სხვა ღვთაებებზე მეტად დრაკონებისა სწამთ, რადგან ცვალებად ღრუბლებში მათ ხშირად ხედავენ. აკი შექსპირმაც აღნიშნა, ღრუბლები ხანდახან დრაკონის ფორმას იღებენო.

დრაკონი მთების მბრძანებელია, მჭიდროდაა დაკავშირებული გეომანტიასთან, ცხოვრობს სამარხებთან ახლოს და კონფუცის კულტთან ასოცირდება. ის ნეპტუნია – ზღვის ბინადარი, მაგრამ ხმელეთზეც გვხვდება. ზღვის დრაკონთა ხელმწიფეები ბრწყინვალე წყალქვეშა სასახლეებში ცხოვრობენ და ოპალებითა და მარგალიტებით იკვებებიან. ისინი სულ ხუთნი არიან: უხუცესი ხელმწიფე შუაშია მოქცეული, დანარჩენ ოთხს კი სამყაროს ოთხივ კუთხეში უდევს ბინა.

თითოეული მათგანის სიგრძე 3-4 მილს აღწევს. საკმარისია ოდნავ გაინძრნენ, რომ მთები ზანზარს იწყებს. სხეული ყვითელი ქერცლით აქვთ დაფარული. ნიკაპზე წვერი ეზრდებათ, ფეხებზე და კუდზე – თმა. წარბები ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვალებზე გადმოფანჩვიათ, პატარა, მაგრამ სქელი ყურები აქვთ, პირი მუდმივად დაღებული, ენა საკმაოდ გრძელი, კბილები კი ბასრი. მათი სუნთქვისგან ზღვის თევზები იხარშებიან, ამოოხვრისგან კი ნახშირდებიან. ამ დრაკონების ზღვის ზედაპირზე ამოსვლა მორევებსა და ტაიფუნებს

წარმოქმნის და სოფლებს ტბორავს, მათი ზეცაში აჭრით გამოღვიძებული ქარიშხალი კი სახლებს სახურავებს ხდის. ისინი უკვდავები არიან. მათ შორის არსებული განუსაზღვრელი მანძილის მიუხედავად, ერთმანეთთან უსიტყვოდაც მშვენივრად ურთიერთობენ, ხოლო ყოველი წლის მესამე თვეს ზემდგომ ღვთაებას ანგარიშს აბარებენ.

ელოები და მორლოკები

რომანში დროის მანქანა, რომელიც ახალგაზრდა უელსმა 1895 წელს გამოაქვეყნა, მექანიკური მოწყობილობით მისი გმირი შორეულ მომავალში მოგზაურობს. ის სწორედ იქ აღმოაჩენს, რომ ადამიანთა მოდგმის გენოფონდს ორი სახეობა წარმოუშვია: ელოები – უსუსური, თავდაცვის უნარის არმქონე არისტოკრატები, რომლებიც წალკოტში ცხოვრობენ და ხილით იკვებებიან და მორლოკები – მუშების, პროლეტარების მიწისქვეშა რასა, რომელსაც წყვდიადში მუშაობით თვალისჩინი დაუკარგავს. ყოველდღიურ რუტინაში ჩაბმული მორლოკები, ურთულეს, ჟანგმოდებულ მანქანებსა და დანადგარებს ამუშავებენ, რომლებიც არაფერს ქმნიან. ამ ორ სამყაროს წრიულკიბიანი ხვრელები აერთიანებს. უმთვარო ღამეებში მორლოკები თავიანთი მიწისქვეშა საპყრობილედან ამოდიან და ელოებს ჭამენ.

რომანის გმირი ახერხებს უკან, აწმყოში დაბრუნებას. ერთადერთი, რაც მას იქიდან სამახსოვროდ მოაქვს, უცნობი სახეობის დამჭკნარი ყვავილია, რომელიც აქ, აწმყოში, მტვრად იქცევა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ათასობით საუკუნის შემდეგ, ისევ აყვავდება.

ელფები

ელფები გერმანიაში წარმოიშვნენ. მათი გარეგნობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ ტანად ციცქნები არიან და მათი გამოჩენა უბედურების მომასწავებელია. ისინი საქონელსა და ბავშვებს იტაცებენ, თუმცა ნაკლებად მზაკვრულ საქციელშიც დიდ სიამოვნებას იღებენ. ინგლისში უსაშველოდ აბურდულ თმას „ელფის

კულულს“ უწოდებდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ ესეც ელფების მორიგი ოინი შეიძლებოდა ყოფილიყო. არსებობს ანგლოსაქსური შელოცვა ელფების მიერ ნასროლი ნამცეცა ისრებისგან თავის დასაცავად, რომლებიც უკვალოდ უჩინარდებოდნენ ადამიანის კანში და ნევრალგიური ხასიათის ტკივილს იწვევდნენ. გერმანულად კოშმარულ სიზმარს „ალპი“ ჰქვია და ეტიმოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს სიტყვა „ელფისგან“ მოდის, რადგან შუა საუკუნეებში გავრცელებული რწმენის მიხედვით, ელფები ღამით მძინარე ადამიანს მკერდზე აწვებოდნენ და კოშმარულ სიზმრებს იწვევდნენ.

ექვსფეხა ანტილოპები

პოეტური ედა ამბობს, რომ ოდინის რუხ რაშს სლაიპნირს (რომელიც სამყაროს ცითა და ჯოჯოხეთით გარს უვლის) რვა ფეხი ჰქონდა, უძველეს ანტილოპებს კი ციმბირული მითების მიხედვით – ექვსი. ექვსფეხა ანტილოპების შეპყრობა არათუ იოლი, არამედ თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ ღვთაებრივმა მონადირემ ტუნკპოიმ ამ მიზნით გაუთავებლად მოჭრიალე წმინდა ხისგან, რომელსაც მან ძაღლის მეშვეობით მიაგნო, საგანგებო მარხილი შეკრა. მარხილიც ასევე გამუდმებით ჭრიალებდა და გატყორცნილი ისრის სისწრაფით დაქროდა. მისი სიჩქარის სურვილისამებრ სამართავად ტუნკ-პოიმ მას სხვა ჯადოსნური ხისგან გამოთლილი სოლები დაუმაგრა. ტუნკ-პოი ანტილოპებს ცის კაბადონზე დასდევდა. ერთხელაც, ბოლოს და ბოლოს, არაქათგამოცლილი ანტილოპა მიწაზე დაეცა, ხოლო ტუნკ-პოიმ მას ორი ზედმეტი ფეხი მოჰკვეთა.

„კაცები, თქვა მან, დღითიდღე უფრო სუსტდებიან და ძაბუნდებიან. აბა, ექვსფეხიან ანტილოპებზე როგორ უნდა ინადირონ, როდესაც მეც კი ძლივს ვახერხებ მათ შეპყრობას?“

იმ დროიდან მოყოლებული, ანტილოპებს ოთხი ფეხი აქვთ.

ვალკირიები

ძველგერმანულ ენაზე ვალკირია ითარგმნება როგორც – „ის, ვინც მოკლულებს ირჩევს“. კუნთების ტკივილის დასაამებელი ანგლოსაქსური შელოცვა, სახელის ხსენების გარეშე, მათ შესახებ ასე ამბობს:

„მიწა ზანზარებდა, დიახ, ზანზარებდა,
როს ისინი ცაში ცხენებს მიაგელვებდნენ,
მიზანსწრაფულნი, როს დედამიწის თავზე
ცხენებს მიაგელვებდნენ, ძლევამოსილი ქალწულები“.

დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინათ ვალკირიები გერმანელ და ავსტრიელ ხალხებს. სკანდინავიურ მითებში ისინი ლამაზი, შეიარაღებული ქალწულები არიან და ხშირ შემთხვევაში სამად მოიაზრებიან.

ხალხური თქმულებების მიხედვით, ვალკირიები ბრძოლის ველზე დაღუპულთა სულებს აგროვებდნენ და ისინი ოდინის ეპიკურ სამოთხეში მიჰყავდათ, რომელსაც ოქროს სახურავი ჰქონდა და ლამპრების ნაცვლად გაშიშვლებული ხმლებით იყო განათებული. მეომრები დილიდან მზის ჩასვლამდე შეუპოვრად იბრძვიან, ხოლო ბრძოლის ველზე დაცემულები მკვდრეთით აღდგებიან და ღმერთების ნადიმში მონაწილეობენ, სადაც მათ უკვდავი ტახის ხორცით უმასპინძლდებიან და უშრეტელი ყანწებიდან თაფლუჭას ასმევენ.

ქრისტიანობის გავლენის ზრდასთან ერთად ვალკირიების რეპუტაცია მკვეთრად დაეცა. შუა საუკუნეების ინგლისში ერთ საწყალ ქალს ვალკირიად ყოფნა, ანუ ჯადოქრობა დასწამეს და კოცონზე დაწვა მიუსაჯეს.

ვარხვი

ვარხვი ჩვეულებრივი ზოოლოგისთვის წყლის ფრინველია, რომლის გაშლილ ფრთებს შორის მანძილი ორ მეტრს აღემატება. მას გრძელი, ფართო ნისკარტი აქვს, რომელსაც ქვედა ნაწილზე ტომრი-

სებური წითელი მემბრანა ჰკიდია. ამ მემბრანაში იგი დაჭერილ თევზებს იგროვებს. მითოლოგიური ვარხვი შედარებით მომცრო ზომისაა და მისი ნისკარტიც პატარა და წამახულია. პირველ მათგანს ქათქათა თეთრი ბუმბული აქვს, მეორეს – ყვითელი და ზოგჯერ მწვანეც, ხოლო მისი საქციელი მის გარეგნობაზე ბევრად უცნაურია.

დედა ფრინველი კლანჭებითა და ნისკარტით ისეთი მონდომებით ეფერება თავის ბარტყებს, რომ მათ ალერსისგან კლავს. სამი დღის შემდეგ ბარტყების მამა ბრუნდება და, ბარტყების სიკვდილით სასოწარკვეთილი, ნისკარტით გულ-მკერდს იღადრავს. ჭრილობებიდან წამოსული სისხლი მკვდარ ბარტყებს კვლავ უბრუნებს სიცოცხლეს... ამას გვიამბობენ წიგნები მითოლოგიური ცხოველების შესახებ. 101-ე ფსალმუნის ერთ-ერთ განმარტებაში მხოლოდ ნეტარი იერონიმე მიაწერს ბარტყების სიკვდილს ქვეწარმავალს. ვარხვის მიერ გულ-მკერდის გაპობა და მომდინარე სისხლით შვილების დარწყულება ხშირად გვხვდება ვარხვის შესახებ არსებულ გადმოცემებში.

სისხლი, რომელიც მკვდრებს სიცოცხლეს უბრუნებს, უკანასკნელ სერობას და ჯვარცმას გვახსენებს, და სწორედ ამიტომ დანტე ალიგიერის სამოთხის (XXV, 113) ერთი ცნობილი სტრიქონი იესო ქრისტეს „ვარხვს“ უწოდებს. ბენვენუტო და იმოლას ლათინური განმარტება ამ ფაქტს ასეთ ახსნას უძებნის: „მას ვარხვს უწოდებენ, რადგან მან ჩვენს გადასარჩენად სისხლი გაიღო, ვითარცა ვარხვმა, რომელიც დახოცილ ბარტყებს საკუთარი გაფატრული მკერდიდან გადმომავალი სისხლით უბრუნებს სიცოცხლეს. ვარხვი ეგვიპტური ფრინველია“.

ვარხვის გამოსახულება საეკლესიო ჰერალდიკისთვის უცხო არ გახლავთ და მას დღესაც შეხვდებით ჰოსტიებისთვის განკუთვნილ თასზე ამოტვიფრულს. ლეონარდო და ვინჩისეული მითოლოგიურ ცხოველთა ჩამონათვალი ვარხვს ასე ახასიათებს: „მას ძალიან უყვარს თავისი შვილები და როდესაც ქვეწარმავლისგან დაგესლილებს ბუდეში მკვდრებს პოულობს, მკერდს ნისკარტით იღადრავს და თავისი სისხლით სიცოცხლეს უბრუნებს მათ“.

ზღვის ცხენი

იმ სხვა ცხოველებისგან განსხვავებით, რომლებიც ადამიანის წარმოსახვამ შვა, ზღვის ცხენი ჰეტეროგენული ელემენტების კომბინაციას არ წარმოადგენს. ის ერთი ველური რაშია, რომელიც ზღვაში ბინადრობს და ხმელეთზე მხოლოდ მაშინ ამოდის, როდესაც უმთვარო ღამეში ნაპირიდან მონაბერ სიოს მასთან ჭაკის სუნი მიაქვს. ერთ--ერთ კუნძულზე, სავარაუდოდ ბორნეოზე, მწყემსები მეფის საუკეთესო ჭაკებს ზღვის ნაპირას აბამენ, თავად კი მიწისქვეშა საკნებში იმალებიან. სინდბადმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ ამოვიდა ზღვის ტალღებიდან ულაყი, როგორ დაეუფლა ჭაკს და მის სმენას ამ უკანასკნელის ხვიხვინიც მისწვდა.

ათას ერთი ღამის სრული ვერსია, ბერტონის მიხედვით, XIII საუკუნით თარიღდება. ამავე საუკუნეში ცხოვრობდა და გარდაიცვალა კოსმოგრაფი ალ-ყაზვინი, რომელმაც თავის ნაშრომში „სამყაროს შექმნის სასწაული“ ასეთი რამ გვიამბო:

„ზღვის ცხენს ჭაკის ძებნაში ნაპირზე ამოყვინთვა სჩვევია. ამ დროს მისი შეპყრობაც შესაძლებელია. მას შავი, მბზინვარე ბეწვი და ისეთი გრძელი ძუა აქვს, რომ მიწაზე დასთრევს. ხმელეთზე ის სხვა ცხენებივით დარბის, თვინიერია და დღეში ასობით მილის გარბენა შეუძლია. ზღვის ცხენის წყალში შეყვანას ერიდებიან, რადგან წყალი მასში პირვანდელ ბუნებას აღვიძებს და ის უკან აღარ ბრუნდება“.

ეთნოლოგები ამ ისლამისტური ზღაპრის ფესვებს ეძებდნენ ბერძნულ-ლათინურ მითებში ქარების შესახებ, რომლებიც ჭაკებს ანაყოფიერებდნენ. ვირგილიუსმა ეს მოსაზრება გეორგიკების მესამე წიგნში გაგვიზიარა. პლინიუსი (VIII, 67) უფრო აზუსტებს დეტალებს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლუზიტანიაში, ოლისიპოსთან (ლისაბონი) ახლოს და ტახოს ნაპირებთან ჭაკები თავებს აღმოსავლეთიდან მონაბერ ქარს უშვერენ და ასე ნაყოფიერდებიან. ამ გზით ჩასახული კვიცები განსაცვიფრებელი სისწრაფით გამოირჩევიან, მაგრამ სამი წელიც ვერ ცოცხლობენ და იხოცებიან“.

მემატიანე იუსტინუსი ვარაუდობს, რომ ჰიპერბოლა „ქარის შვილები“, რომლებიც ფეხმარდი ცხენების დასახასიათებლად გამოიყენება, სწორედ ამ თქმულებიდან იღებს სათავეს.

თალოსი

ლითონის ან ქვის ცოცხალი არსებები ფანტასტიკური ზოოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშინელ სახეობას მიეკუთვნებიან. გავიხსენოთ თუნდაც ნესტოებიდან ცეცხლის მფრქვეველი ბრინჯაოს ხარები, რომლებიც, მედეას ჯადოქრობის წყალობით, იასონმა გუთანში შეაბა, ან თუნდაც კონდილაკის მგრძნობიარე მარმარილოს ფსიქოლოგიური ქანდაკება, სპილენძის მენიჩბე, გულზე ჩამოკიდებული ტყვიის ფირფიტით, რომელმაც ათას ერთ ღამეში ხელმწიფის მესამე ვაჟი ჯერ გადაარჩინა, ხოლო შემდეგ, როდესაც ამ უკანასკნელმა მაგნიტური მთის მხედრის დამარცხება შეძლო, მორიგი განსაცდელისთვის გაიმეტა.

გავიხსენოთ მშვიდი ვერცხლისა და მრისხანე ოქროს ქალწული, უილიამ ბლეიკის მიერ შედგენილი მითოლოგიური კრებულის ერთ-ერთი ქალღმერთი, რომელიც მამაკაცებს აბრეშუმის ბადით იჭერდა; ნუ დავივიწყებთ არესის მკვებავ რკინის ფრინველებსა და კუნძულ კრეტას მცველ თალოსსაც. მავანნი მას ვულკანის ან დედალუსის ნახელავად მიიჩნევენ; აპოლონიოს როდოსელი კი თავის არგონავტიკაში გვაუწყებს, რომ ის ბრინჯაოს რასის უკანასკნელი წარმომადგენელია.

თალოსი დღეში სამჯერ უვლიდა გარს კრეტას და ლოდებს უშენდა მათ, ვინც ხმელეთთან მოახლოებას გაბედავდა. მუგუზალივით წითლად მოვარვარე, ის მამაკაცებს მკლავებში იმწყვდევდა და ამ გზით ასალმებდა სიცოცხლეს. მისი ერთადერთი სუსტი ადგილი ქუსლი იყო. ჯადოქარი მედეას დახმარებით ის დიოსკურებმა კასტორმა და პოლუქსმა მოკლეს.

იუდაიზმის დემონები

იუდეველთა რწმენის მიხედვით ხორციელ და სულიერ სამყაროთა შორის არსებობს შუალედური სამყაროც, რომელშიც ანგელოზები და დემონები სახლობენ. მისი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა ბევრად აღემატება არითმეტიკის შესაძლებლობებს. საუკუნეების განმავლობაში ეგვიპტემ, ბაბილონმა და სპარსეთმა თავისი წვლილი შეიტანეს ამ წარმოსახვითი სამყაროს შექმნაში. ტრახტენბერგის აზრით, არ არის გამორიცხული, რომ დემონოლოგიამ ქრისტიანობის ზეგავლენით, ანგელოზების შესახებ სწავლებასთან მიმართებაში უკანა პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც შეგვიძლია გავიხსენოთ კეტეჰ მერირი, შუადღისა და ცხელი ზაფხულის მბრძანებელი. მას ერთხელ სკოლაში მიმავალი ბავშვების ჯგუფი გადაეყარა და ორის გარდა ყველა ადგილზე დაიღუპა. მეცამეტე საუკუნეში იუდეველთა დემონოლოგიაში ლათინურმა, ფრანგულმა და გერმანულმა დემონებმა იწყეს დამკვიდრება, რომლებიც თანდათან შეერწყნენ თალმუდელ აბორიგენებს.

იუვარქი

სეინტსბერი თავის ინგლისური ლიტერატურის მოკლე ისტორიაში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იუვარქი ამ უკანასკნელის ყველაზე მომხიბლავი გმირია. ეს არსება ნახევრად ქალი იყო და ნახევრად ფრინველი, ან (როგორც რობერტ ბრაუნინგი წერდა მისი გარდაცვლილი მეუღლის, ელიზაბეტ ბერეტის შესახებ) ნახევრად ანგელოზი და ნახევრად ფრინველი. მას მკლავების ნაცვლად ფრთები ჰქონდა, ხოლო სხეული აბრეშუმივით ნაზი ბუმბულით ჰქონდა დაფარული. ის ანტარქტიკის ოკეანის უკაცრიელ კუნძულზე ბინადრობდა. სწორედ იქ აღმოაჩინა პიტერ უილკინსმა, ჩაძირული ხომალდის გადარჩენილმა მეზღვაურმა, და ცოლად შეირთო. იუვარქი ფრთოსანი ტომის გლამების წარმომადგენელია. უილკინსი მას ქრისტიანულად

ნათლავს, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გაჭირვებით ახერხებს ინგლისში დაბრუნებას.

ამ უცნაური სიყვარულის ამბავი შეგიძლიათ წაიკითხოთ რობერტ პელტოკის რომანში პიტერ უილკინსის თავგადასავალი (1751).

იქთიოკენტავრი

ლიკოფრონტე, კლავდიანუსი და ბიზანტიელი იოანე ცეცი – ამ სწავლულთაგან თითოეული, თავიანთ ნაშრომებში ახსენებს იქთიოკენტავრს. კლასიკურ ლიტერატურაში მის შესახებ მეტი ცნობა არ მოიპოვება. მისი სახელწოდება შემდეგნაირად ითარგმნება: „თევზი-კენტავრი“. ეს სიტყვა ასევე მიესადაგება არსებებს, რომლებსაც მითოლოგები კენტავრ-ტრიტონებს უწოდებენ. მათ გამოსახულებას შეხვდებით რომაულ და ელინურ ქანდაკებებში. წელს ზემოთ ისინი მამაკაცები არიან, წელს ქვემოთ – თევზები, წინა ფეხები კი ცხენისა ან ლომისა აქვთ. ისინი ჰიპოკამპუსებთან ერთად ზღვის ღვთაებათა რიცხვს მიეკუთვნებიან.

კამი

როგორც სენეკა მოგვითხრობს, თალეს მილეთელის მოძღვრების მიხედვით დედამიწა წყალში მოტივტივე ვეებერთელა ხომალდს წააგავს, ხოლო ქარიშხლებით აქაფებული წყალი, მიწისძვრებს იწვევს. განსხვავებულ სეისმურ განმარტებას გვთავაზობენ მერვე საუკუნის იაპონელი მემატიანეები თუ მითოლოგები.

აი, ასეთი რამ შეგვიძლია ამოვიკითხოთ ერთ ცნობილ თხზულებაში:

„ჭილით დაფარული ბრტყელი დედამიწის ქვეშ იწვა ერთი კამი (ზებუნებრივი არსება), ფორმით წვერას მსგავსი და რამდენჯერაც გვერდს იცვლიდა, იმდენჯერ მიწა იძვროდა; ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ბოლოს და ბოლოს ირმების კუნძულის დიდი ღმერთი არ

მოვიდა და მახვილით თავი არ გაუპო. მას შემდეგ იძვრება თუ არა კამი, დიდი ღმერთი მახვილის ვადას ჩაავლებს ხელს და ისიც ყუჩდება“. (ქვისგან ნაკვეთი მახვილის ვადა კაშიმას ტაძრიდან სულ რამდენიმე მეტრის მოშორებით არის მიწიდან ამოჩრილი. XVII საუკუნეში მას ერთი კეთილშობილი რაინდი ექვსი დღისა და ექვსი ღამის განმავლობაში თხრიდა, მაგრამ მახვილის წვერამდე ვერ მიაღწია).

ზეპირი გადმოცემების მიხედვით ეს ჯინშინ-უვო, ანუ მიწისძვრის თევზია, შვიდასი მილის სიგრძის გველთევზა, რომელიც იაპონიას ზურგით ატარებს. ის სამხრეთიდან ჩრდილოეთით გაწვართულა; მას თავი დაახლოებით კიოტოში უდევს, ხოლო კუდის ბოლო – აომორიში. ერთმა რაციონალისტმა აიჩემა, რომ ის პირიქით წევს, რადგან სამხრეთში მიწისძვრები გაცილებით უფრო ხშირად ხდება და სიმართლესთან უფრო ახლოსაა, რომ მათი მიზეზი კუდის მოძრაობა იყოსო. გარკვეულწილად ეს არსება ბაჰამუთს ჰგავს არაბული გადმოცემებიდან, ან მიდგარდსორმს – ედადან.

ზოგიერთ წყაროში გველთევზას ნაცვლად ვხვდებით მიწისძვრის ხოჭოს, ჯინშინ-მუშის. მას დრაკონის თავი აქვს და ობობას ათი ფეხი, მისი სხეული კი ქერცლითაა დაფარული. ეს ურჩხული წყლის ნაცვლად, დედამიწაზე ბინადრობს.

კატობლეპა

პლინიუსი (VIII, 32) მოგვითხრობს, რომ ეთიოპიის საზღვარზე, ნილოსის სათავეებთან ახლოს, ბინადრობს კატობლეპა, „საშუალო ზომის მხეცი, რომელიც ზანტად, ნელი ნაბიჯებით დადის. ცხოველს ტანთან შედარებით შეუფერებლად დიდი თავი აქვს, რომლის ტარებაც უძნელდება და ამიტომ ის მუდამ მიწამდე თავდახრილი დადის. ასე რომ არ იყოს, კატობლეპა ადამიანთა მოდგმას ერთიანად გაანადგურებდა, რამეთუ ის, ვინც მის მზერას გადააწყდება, მყისვე მკვდარი ეცემა დედამიწაზე“.

კატობლეპა ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „ის, ვინც დაბლა იყურება“. კუვიეს მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ

ანტილოპა გნუმ (ბასილისკოსა და გორგონების მიერ მოწამლულმა) ანტიკური ხანის მცხოვრებლები კატობლეპას არსებობაში დაარწმუნა. წმინდა ანტონიუსის ცდუნების ბოლოს ვკითხულობთ: „კატობლეპა შავი კამეჩია, ღორის თავით, რომელიც მიწისკენაა დახრილი და მხრებს ცარიელი ნაწლავივით წვრილი და დუნე კისრით უერთდება“.

ის მიწის სატკეპნს ჩამოჰგავს, ხოლო თავზე გრძელი და ჯაგარივით თმა ეზრდება, რომელიც სახესაც უფარავს და ფეხებსაც.

„მსუქანი, მელანქოლიით შეპყრობილი და ველური, მიწამდე ჩამოზრდილი ფაშვის ქვეშ მუდამ ტალახის სითბოს ვგრძნობ. თავი ისეთი მძიმე მაქვს, რომ ტარება მიჭირს, ამიტომ მას ნელ-ნელა დავაგორებ ჩემი სხეულის გარშემო; პირი ნახევრად ღია მაქვს და ენით ჩემივე ამონასუნთქით დაორთქლილ შხამიან ბალახებს ვწიწკნი. ერთხელ საკუთარი ფეხები ისე შემომეჭამა, რომ ვერც კი შევამჩნიე„.

“არავის, ანტონიუს, არავის უხილავს ჩემი თვალები; და თუ ვინმეს მაინც უხილავს, ადგილზევე მომკვდარა! ქუთუთოები, ეს დასივებული, დაწითლებული ქუთუთოები რომ ავწიო, შენც მყისვე სიკვდილი გეწვევა“.

კენტავრი

კენტავრი ფანტასტიკურ ცხოველთა სამყაროს ყველაზე ჰარმონიული წარმომადგენელია. ოვიდიუსის მეტამორფოზები მას ბიფორმულს უწოდებენ, მაგრამ სულაც არ არის ძნელი მის ჰეტეროგენულ ბუნებაზე თვალის დახუჭვა და იმის წარმოდგენა, რომ პლატონის ფორმათა სამყაროში კენტავრის არქეტიპიც ისევე არსებობს, როგორც ცხენისა და კაცისა. ამ არქეტიპის აღმოჩენას მრავალი საუკუნე დასჭირდა. პრიმიტიულ და არქაულ გამოსახულებებში ვხვდებით შიშველ მამაკაცს ტორსზე არაბუნებრივად მორგებული ცხენის ტანით. ოლიმპიაში ზევსის ტაძრის დასავლეთ ფასადზე გამოსახულია კენტავრები, რომელთაც ცხენის ფლოქვები აქვთ. იმ ადგილიდან კი, სადაც, წესით, ცხენის კისერი უნდა იყოს, ადამიანის ტანი იწყება.

კენტავრები თესალიის მეფე იქსიონისა და ღრუბლის – რომელსაც ზევსმა ჰერას სახე მისცა – სასიყვარულო თავგადასავლის შედეგად იშვნენ. სხვა თქმულების მიხედვით, ისინი აპოლონის შვილები არიან (ამბობდნენ, რომ სიტყვა კენტავრი განდარვასგან წარმოიშვა. განდარვები ვედურ მითოლოგიაში დაბალი რანგის ღვთაებები არიან, რომლებიც მზის ცხენებს მბრძანებლობდნენ). რადგან ჰომეროსის ეპოქის ბერძნები მხედრულ ხელოვნებას არ ფლობდნენ, ამიტომ, მავანთა აზრით, პირველი ამხედრებული ნომადი, რომელიც მათ იხილეს, ცხენთან შერწყმული მოეჩვენათ. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ინდიოთათვის პისაროცა და ერნან კორტესიც კენტავრები იყვნენ. „ერთ-ერთი მხედართაგანი ცხენიდან ჩამოვარდა. ინდიოებმა რომ დაინახეს, თუ როგორ გაიყო ცხოველი ორად, ეჭვი აღარ შეჰპარვიათ, რომ ცხენი და მხედარი ერთი არსება იყო. ისინი ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ ჩამოვარდნილ მხედარს სასწრაფოდ ზურგი აქციეს და თავისიანებს მოუხმეს, რათა ორადგაყოფილი ცხენი მათაც ენახათ. რომ არა ეს შემთხვევა, ინდიოები ქრისტიანებს ერთიანად ამოხოცავდნენ“ – ვკითხულობთ პრესკოტის წიგნში. თუმცა ინდიოთაგან განსხვავებით ბერძნები ცნობდნენ ცხენს. ამიტომ უფრო სარწმუნოა, რომ კენტავრის სახე მათ შეგნებულად შექმნეს და ეს უმეცრებით არ ყოფილა განპირობებული.

ყველაზე ცნობილი თქმულება, რომელშიც კენტავრები გვხვდებიან, აღწერს მათ ბრძოლას ლაპითებთან, რომლებმაც ისინი ქორწილში მიიწვიეს. სტუმართათვის ღვინო ახალი ხილი იყო. ერთმა მთვრალმა კენტავრმა პატარძალი შეურაცხჰყო, მაგიდები ააყირავა და ასე დაიწყო კენტავრთა ბრძოლა (კენტავრომაქია), რომელიც ფიდეასმა ან შესაძლოა რომელიმე მისმა მოწაფემ პართენონის კედელზე გამოსახა; რომელსაც ოვიდიუსმა მეტამორფოზების XII თავი უძღვნა და რომელიც რუბენსის შთაგონების წყაროდ იქცა. ლაპითების მიერ დამარცხებული კენტავრები თესალიიდან გაიქცნენ. ერთ-ერთ სხვა ბრძოლაში ჰერაკლემ მათი მოდგმა მშვილდ-ისრით გაანადგურა.

კენტავრები ბარბაროსობისა და მრისხანების სიმბოლოდ მიიჩნევიან, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, „ყველაზე სამართლიანი კენტავრთა შორის“, ქირონი (ილიადა, XI, 831), აქილევსისა და ესკულაპეს მასწავლებელი გახლდათ, რომლებიც მან მუსიკის, ნადირობისა და ომის ხელოვნებას აზიარა და მედიცინა და ქირურგიაც შეასწავლა. ქირონი ჯოჯოხეთის XII სიმღერაშიც, რომელიც „კენტავრის სიმღერის“ სახელითაა ცნობილი, საკმაოდ დამაფიქრებელ როლში გვევლინება. ამის შესახებ იხილეთ მომილიანოს გონებამახვილური შენიშვნები, რომლებიც დანტეს 1945 წლის მისეულ გამოცემას ახლავს თან.

პლინიუსი ამბობს, რომ მას ეგვიპტიდან კეისრისთვის გამოგზავნილ თაფლში დაკონსერვებული ჰიპოკენტავრი უნახავს.

შვიდი ბრძენკაცის ნადიმში პლუტარქე გვიამბობს, თუ როგორ მიუყვანა პერიანდრეს, კორინთოელ ტირანს, მისმა ერთ-ერთმა მწყემსმა ტყავის გუდით ის, რაც ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ფაშატმა შვა. ახალშობილს თავი, კისერი და მკლავები ადამიანისა ჰქონდა, ტანის დანარჩენი ნაწილი კი ცხენისა. ის ჩვილი ბავშვივით ტიროდა, რაც ყველამ ავისმომასწავებელ ნიშნად მიიჩნია. ბრძენმა თალესმა ყურადღებით დაათვალიერა ქმნილება, მერე კი გაიცინა და პერიანდრეს უთხრა, შენი მწყემსების საქციელს ნამდვილად ვერ მოვიწონებო.

ლუკრეციუსი თავისი პოემის მეხუთე წიგნში უარყოფს კენტავრების არსებობის შესაძლებლობას, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ცხენი ადამიანზე ბევრად ადრე აღწევს ზრდასრულ ასაკს და სამი წლის კენტავრი მოწიფული ცხენი და ამავე დროს ახლად ენაგატეხილი ბავშვი იქნებოდა. ეს ცხენი მის ადამიანურ ნაწილზე 50 წლით ადრე უნდა გარდაცვლილიყო.

კრაკენი

კრაკენი სარატანისა და არაბული ზღვის დრაკონის, იგივე ზღვის გველის სკანდინავიური შესატყვისია.

1752 წელს დანიელმა ერიკ პონტოპიდანმა, ბერგენის ეპისკოპოსმა, გამოაქვეყნა წიგნი „ნორვეგიის საბუნებისმეტყველო ისტორია“, რომელიც ზედმეტი გულუბრყვილობით გამოირჩევა. წიგნის ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ კრაკენი სიგრძით ერთნახევარი მილია, საცეცებით ის ყველაზე დიდ ხომალდს შემოწვდება, ხოლო ზურგი წყლიდან კუნძულივით ამოზიდვიაო. ერიკ პონტოპიდანი იმასაც ამტკიცებს, რომ ნებისმიერი მცურავი კუნძული კრაკენია. გარდა ამისა, ის ამბობს, რომ დროდადრო ეს გიგანტური რვაფეხა გამოყოფს სითხეს, რომლითაც ოკეანის წყალს ამღვრევს. პონტოპიდანისეული განმარტება იმის შესახებ, რომ კრაკენი უბრალოდ გოლიათური სიდიდის პოლიპია, დამაჯერებელი არ არის.

ტენისონის ადრეული ნაწერებიდან ერთი კრაკენს ეძღვნება:

„როცა წყლის ზედაპირზე მგრგვინავი ცის ქვეშ, უძირო ზღვის ფსკერზე სძინავს კრაკენს ხანგრძლივი და უსიზმრო ძილით, მზის მკრთალი სხივები ეცემიან წყვდიადს შეფარებულ მის სხეულს... ათასწლოვანი ზღვის ღრუბლები თავზე დაჰყურებენ და შორს, მბჟუტავ სინათლეში საოცარი ქვაბულებიდან და იდუმალი საკნებიდან უზარმაზარი პოლიპები გოლიათური მკლავებით არღვევენ დადუმებულ მყუდრო სიმწვანეს. ასეული წლებია იქ განისვენებს და თვლემს, ძილში ზღვის უზარმაზარი ჭიებით ნაყრდება. და ასე იქნება, ვიდრე ამ ჯურღმულს სამსჯავროს ცეცხლი არ გაანათებს. მაშინ მას კაცნი და ანგელოზნი იხილავენ, წყლიდან შლეგივით ამოვარდნილს, რათა იქვე დალიოს სული“.

კროკოტები და ლევკროკოტები

ცნობილია, რომ არტაქსერქსე მნემონის კარის მკურნალმა ქტესიასმა ინდოეთის აღწერისას სპარსული წყაროებით ისარგებლა. ამ ნაწარმოებს შეუფასებელი ღირებულება აქვს, რადგან მისი დახმარებით ვიგებთ, თუ რას ფიქრობდნენ არტაქსერქსეს თანამედროვე სპარსელები ინდოეთის შესახებ. ქტესიასის ნაშრომის XXXII თავი

გვამცნობს მგელ-ძაღლის შესახებ. პლინიუსმა (VIII, 30) ამ გამოგონილ ცხოველს კროკოტა უწოდა და აღნიშნა, რომ ქვეყნად არაფერი არსებობდა ისეთი, რასაც ის ბასრი კბილებით ვერ დაგლეჯდა და მოინელებდა.

კროკოტაზე დაწვრილებით დახასიათებულია ლევკროკოტა. მთხრობელთა ნაწილი მას ანტილოპა გნუს ადარებს, ნაწილი აფთარს, ხოლო ნაწილი ამ უკანასკნელთა ნაჯვარს. ის წარმოუდგენლად სწრაფია, ტანით გარეული ვირის ხელაა, აქვს ირმის ფეხები, ლომის ყელი, მკერდი და კუდი, მაჩვის თავი, შუაზე გაყოფილი ჩლიქები, ყურებამდე ახეული პირი და კბილების ნაცვლად ერთიან, ძვლოვან ყბას იყენებს.

ლევკროკოტა ეთიოპიაში ბინადრობს (იქ, სადაც მოძრავი რქებით დამშვენებული ველური ხარებიც ცხოვრობენ) და ადამიანის ხმისთვის მიბაძვის უნარითაა დაჯილდოებული.

კუების დედა

ძველი წელთაღრიცხვით ოცდამეორე საუკუნეში სამართლიანმა იმპერატორმა, რომლის სახელიც დიდებული იუ გახლდათ, თავისი ნაბიჯით გადაზომა ცხრა მთა, ცხრა მდინარე და ცხრა ჭაობი, ხოლო ამის შემდეგ ქვეყანა ქველმოქმედებისა და მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგ ცხრა ნაწილად დაყო. ამ გზით მან დაიმორჩილა წყლები, რომლებიც დედამიწასა და ცას წყალდიდობით ემუქრებოდნენ. მემატიანეთა ცნობით, ქვეყნის ასეთი გონივრული დანაწილების გეგმა მას ერთ-ერთი ნაკადულიდან ამოსულმა ზებუნებრივი თუ ანგელოზური ბუნების კუმ შთააგონა. მავანნი ამტკიცებენ რომ ეს რეპტილია, ყველა კუების დედა, წყლისა და ცეცხლისგან იყო ნაშობი. სხვანი არანაკლებ გასაოცარ ნაერთს მოიხსენიებენ, კერძოდ კი მშვილდოსნის თანავარსკვლავედის შემადგენელი მნათობების შუქს. კუს ბაკანზე გამოსახული იყო კოსმიური ტრაქტატი სახელწოდებით ჰონ ფანი (ზოგადი წესები), ან ამ ტრაქტატის ცხრა ნაწილის თეთრი და შავი წერტილებისგან შემდგარი დიაგრამა.

ჩინელების წარმოდგენით, ზეცას ნახევარსფეროს ფორმა აქვს, ხოლო დედამიწას – ოთხკუთხედი. ამიტომაც კუს ისინი სამყაროს მოდელად მიიჩნევენ. გარდა ამისა, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც კოსმიურს გვაგონებს. განა ბუნებრივი არ არის, მარტორქასთან, დრაკონთან, ფენიქსთან და ვეფხვთან ერთად მისი ერთ-ერთ სპირიტუალურ არსებად მიჩნევა და წინასწარმეტყველთა მიერ მათ ბაკანზე განსაკუთრებული მინიშნებების ძიება?!

თან-ქი (კუ-სული) ასე ჰქვია კუს, რომელმაც იმპერატორს ჰონ ფანი გაანდო.

ლამედ ვუფნიკები

დედამიწაზე ცხოვრობდა და ყოველთვის იცხოვრებს ოცდათექვსმეტი სიმართლის გამრიგე კაცი, რომელთა მისიას წარმოადგენს სამყაროს და მის ბინადართა გამართლება ღვთის წინაშე. მათ ლამედ ვუფნიკები ეწოდებათ. ეს ადამიანები ერთმანეთს არ იცნობენ და ისინი ძალიან ღარიბები არიან. თუ რომელიმე მათგანი მიხვდა, რომ ის ლამედ ვუფნიკია, დაუყოვნებლივ კვდება და მის ადგილს დედამიწის ამა თუ იმ კუთხეში სხვა იკავებს. ეს ადამიანები სამყაროს საიდუმლო საყრდენი სვეტები არიან. ისინი რომ არ არსებობდნენ, ღმერთი ადამიანთა მოდგმას დაუყოვნებლივ გაანადგურებდა. ისინი ჩვენი გადამრჩენლები არიან, თუმცა თავად ამის შესახებ არაფერი იციან.

ებრაელი ხალხის ეს მისტიკური რწმენა მაქს ბროდმა განმარტა.

ამ თქმულების შორეული ფესვები ბიბლიის პირველ წიგნში „დაბადება“ (18) უნდა ვეძიოთ, სადაც ღმერთი ამბობს, რომ ის არ დაანგრევს სოდომს, თუ მასში ათი მართალი კაცი მაინც მოიძებნება.

ანალოგიური ფიგურა – ქუთბი ანუ წმინდანი – ჰყავთ არაბებსაც.

ლამიები

რომაელი და ბერძენი კლასიკოსების მიხედვით ლამიებს აფრიკაში ედოთ ბინა. წელს ზევით ისინი ულამაზესი ქალები იყვნენ, წელს

ქვემოთ კი გველები. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით ისინი ჯადოქრები იყვნენ, ზოგი კი მათ ბოროტ ურჩხულებად მოიხსენიებდა. მართალია ლაპარაკი არ შეეძლოთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მელოდიურად სტვენდნენ. ამ სტვენით ისინი მოგზაურებს უდაბნოში იტყუებდნენ და ჭამდნენ. ისინი ღვთაებების ჩამომავალნი იყვნენ. მათი წარმოშობა ზევსის მრავალრიცხოვანი სასიყვარულო თავგადასავლებიდან ერთ-ერთს უკავშირდება. რობერტ ბერტონი ვნებიან სიყვარულზე დაწერილ თავის წიგნში მელანქოლიის ანატომია (1621) გვიყვება ლამიას ამბავს, რომელიც ადამიანის სახეს იღებს და აცდუნებს ახალგაზრდა ფილოსოფოსს, „მასზე არანაკლებ მომხიბვლელს“ და შინ მიჰყავს, კორინთოს გარეუბანში. ქორწილში მიწვეულმა აპოლონიოს ტიანელმა ამოიცნო პატარძლის ნამდვილი ვინაობა და ლამიაც და მისი სასახლეც მაშინვე გაქრა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ბერტონით შთაგონებულმა ჯონ კიტსმა (1795-1821) დაწერა პოემა ლამია.

ლევიათანის პირმშო

შორეულ წარსულში მდინარე რონას ნაპირზე არლსა და ავინიონს შორის ბინადრობდა ურჩხული – ნახევრად ცხოველი და ნახევრად თევზი. იგი ხარზე დიდი და ცხენზე გრძელი იყო და რქებივით წაწვეტებული, ხანჯალივით ბასრი კბილები და რქოვანი ლაყუჩები ჰქონდა. ურჩხული წყალში განაბული ელოდა თავის მსხვერპლს, მოგზაურებს ახრჩობდა და გემებს ძირავდა. ის აზიაში მდებარე გალატიის ზღვიდან მოვიდა, ხოლო იშვა ზღვის ურჩხულთა შორის უმრისხანესი ლევიათანისა და გარეული ვირისგან, რომელიც გალატიაში ბინადრობდა, უკანალიდან ელვას ისროდა და ირგვლივ ყველას და ყველაფერს ცეცხლის ალში ხვევდა.

ლემურები

ლემურებს ლარვებსაც უწოდებდნენ. განსხვავებით შინაური ლარებისგან, რომლებიც ოჯახის მფარველად მიიჩნეოდნენ, ლარვები, ანუ ლემურები მიცვალებულთა ბოროტი სულები არიან, რომლებიც დედამიწაზე ადამიანებს სდევნიან და შიშის ზარს სცემენ. ისინი განურჩევლად აწამებენ ყველას – ბოროტსა თუ კეთილს. წინა ქრისტიანული პერიოდის რომში მათ პატივსაცემად მაისის თვეში მართავდნენ დღესასწაულს, რომელსაც ლამურიები ერქვა. ის რომულუსმა დააწესა, მის მიერ სიკვდილით დასჯილი რემუსის სულის დასაშოშმინებლად. ერთხელ რომულუსის მმართველობის დროს რომში ეპიდემიამ იფეთქა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. რომულუსმა მის ჩასაქრობად ორაკულს ჰკითხა რჩევა. ორაკულმა უთხრა, რომ უნდა დაეწესებინა ყოველწლიური დღესასწაული, რომელიც სამი ღამე გაგრძელდებოდა. დღესასწაულის დროს ტაძრები და სხვა წმინდა ადგილები იკეტებოდა და ქორწინებაც იკრძალებოდა. მოზეიმეები ჩვეულებისამებრ მიცვალებულთა საფლავებზე ლობიოს მარცვლებს აბნევდნენ ან კოცონში ყრიდნენ, რათა ცაში ასულ კვამლს ლემურები გაეფანტა. მათ დაფდაფების ცემა და შელოცვაც აფრთხობდა. ცნობისმოყვარე მკითხველს ამ არსებების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მოპოვება შეუძლია ოვიდიუსის პოემაში დღეობანი.

ლილიტი

„რამეთუ ევამდე იყო ლილიტი“, – გვამცნობს ებრაული ტექსტი. ამ ქმნილების შესახებ ლეგენდამ ინგლისელი პოეტი დანტე გაბრიელ როსეტი (1828-1882) შთააგონა შეეთხზა თავისი სამოთხის წიაღი. ლილიტი ქვეწარმავალი გახლდათ. ის ადამის პირველი ცოლი იყო და მას „ბრწყინვალე ვაჟები და სხივოსანი ქალები“ აჩუქა. შემდეგ ღმერთმა შექმნა ევა. ადამის ხორციელ მეუღლეზე შურის საძიებლად, ლილიტმა აცდუნა ევა, რათა მას აკრძალული ხის ნაყოფი ეჭამა და

ეშვა კაენი, აბელის ძმა და მისივე მკვლელი. ეს არის მითის პრიმიტიული ვერსია, რომელიც როსეტიმ აირჩია. შუასაუკუნეებში კი, ებრაული სიტყვის *„layil“* ზეგავლენით, რომელიც „ღამეს“ ნიშნავს, ამ ლეგენდამაც თანდათანობით სულ სხვა სახე მიიღო, სადაც ლილიტი ქვეწარმავლის ნაცვლად ღამის სულად მოგვევლინა. ხანდახან ის ანგელოზიც კი იყო, რომელიც მამაკაცების ნაყოფიერებას მფარველობდა, ხან კი დემონად გარდაისახებოდა, რომელიც მხოლოდ მძინარ ან ღამით მარტო მიმავალ ადამიანებს ესხმოდა თავს. ყველაზე გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით ის მაღალი, მდუმარე ქალია, გრძელი შავი თმით.

მანდრაგორა

ისევე როგორც ბორამეცი, მანდრაგორაც ცხოველურ სამყაროს ენათესავება, რადგან მიწიდან ამოღებისას ეს მცენარე ყურისწამღებად გაჰკივის. ყველა, ვინც კი ამ კივილს გაიგონებს, ჭკუიდან იშლება (რომეო და ჯულიეტა, IV, 3). პითაგორას აზრით, ის ანტროპომორფულია. რომაელი აგრონომი ლუციო კოლუმელა მის ნახევრად ადამიანურ ბუნებას აღიარებდა, ხოლო ალბერტუს დიდი მიიჩნევდა, რომ მანდრაგორებს ადამიანების მსგავსად განსხვავებული სქესი გააჩნდათ. მანამდე კი პლინიუსი ფიქრობდა, რომ თეთრი მანდრაგორა მამრობითი, ხოლო შავი – მდედრობითი სქესისა იყო. გარდა ამისა, ის წერდა, რომ მცენარის მიწიდან ამომღებს მის ირგვლივ მახვილით სამი წრე უნდა შემოეხაზა, თავად კი დასავლეთისკენ გაეხედა. მანდრაგორას ფოთლებს ისეთი მძაფრი სუნი აქვს, რომ ადამიანებს მეტყველების უნარს ართმევს. ის, ვინც მანდრაგორას ამოთხრას მოინდომებდა, თავს დიდ საფრთხეში იგდებდა. იოსებ ფლავიუსი იუდეველთა ომის ისტორიის ბოლო თავში გვირჩევს, რომ მანდრაგორის ამოძირკვისას სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი დავიხმაროთ, რომელიც მართალია ამ პროცედურას ეწირება, მაგრამ, სამაგიეროდ, მცენარის ფოთლებისგან საუკეთესო ჯადოსნური მალამოები, ნარკოტიკული და სასაქმებელი საშუალებები მზადდებაო. მანდრაგორას

ადამიანის მსგავსმა ფორმამ წარმოშვა ცრურწმენა, რომ ის ეშაფოტის ძირში იზრდება. ბრაუნი გავრცელებულ შეცდომებში ეშაფოტიდან მიწაზე დაწვეთებულ ჩამომხრჩვალთა ქონზე საუბრობს, ხოლო ჰანს ჰაინც ევერსი (მანდრაგორა, 1913) მათ სპერმაზე. გერმანულად მანდრაგორას *„Alraune“* ჰქვია, ძველებურად *„Alruna“*. იგი მომდინარეობს სიტყვისგან *„Runa“*, რაც „იდუმალს“ ნიშნავს. შემდგომში სწორედ ეს სახელი დაერქვა ძველგერმანული დამწერლობის ასო-ნიშნებს.

წიგნი დაბადებისა (XXX, 14) საინტერესო ცნობას შეიცავს მანდრაგორას შესახებ. XII საუკუნეში თალმუდის ერთი გერმანულ-ებრაული წარმოშობის კომენტატორი მასზე ასეთ რამეს ამბობს: „მისი ფესვიდან რაღაც ღვედის მსგავსი ამოდის და ამ ღვედზე ჭიპლარივით, როგორც გოგრა ან საზამთრო, გამობმულია ცხოველი, სახელად იადუა. მაგრამ იადუა გარეგნულად – სახით, სხეულით, ხელებით და ფეხებით ადამიანს ჰგავს. მიწიდან ამოღებული, სადამდეც ყლორტის სიგრძე გასწვდება, ყველაფერს ანადგურებს. და თუ ვინმე ამ ყლორტს ისრით გაწყვეტს, ცხოველსაც მოკლავს“.

დიოსკორიდე მანდრაგორას ცირცესთან ან ცირცეს შხამიან ბალახთან აიგივებდა. ამის შესახებ ოდისეას X სიმღერაში ვკითხულობთ: „ფესვი შავი ჰქონდა ამ ბალახს, ყვავილი კი რძისფერი. მას მოლს უწოდებენ ნეტარი ღმერთები, მათ გარდა არავის ძალუძს მიწიდან მისი ფესვებიანად ამოგლეჯა“.

მანტიკორა

პლინიუსი მოგვითხრობს (VIII, 30) რომ არტაქსერქსე მნემონის ბერძენი ექიმის, ქტესიასის თანახმად „ეთიოპიელებს ერთი ცხოველი ჰყავთ, რომელსაც მანტიკორას ეძახიან; მისი სამი წყება კბილები, სავარცხლებივით ერთმანეთშია ჩაჭდობილი; სახე და ყურები ადამიანისა აქვს, თვალები – ცისფერი, ალისფერი ბეწვი და კუდი კი ლომის, რომელიც მორიელის მსგავსი ნესტრით მთავრდება. ის წარმოუდგენლად სწრაფად დარბის და ადამიანის ხორცს გეახლებათ. მისი ხმა ფლეიტისა და საყვირის ჟღერას მოგვაგონებს“.

ფლობერმა თავის წმინდა ანტონიუსის ცდუნებაში ამ დახასიათების გაუმჯობესება შეძლო: მანტიკორა - ბუმბერაზი, წითელი ლომი ადამიანის სახითა და სამი წყება კბილებით: „ჩემი ალისფერი ბეწვი ქვიშის დიუნების ელვარებას ერთვის. ჩემი ნესტოებით მარტოობის საშინელებას ვისუნთქავ. ჭირს ვაფრქვევ. ხოლო ლაშქრებს, რომლებიც უდაბნოში შემობედავენ, ერთიანად ვნთქავ. მაქვს დაგრეხილი კლანჭები და ხერხისებური კბილები, ხოლო მორკალული კუდი ჯაგრისს მიმიგავს ეკალთა სიმრავლით, რომელთაც მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან ისრებივით ვისვრი. შემომხედე! აი, ასე!”

მანტიკორა კუდს იქნევს და ყველა მიმართულებით ისვრის ეკლებს, როგორც ისრების ტყეს. სისხლის წვეთები აწვიმს ფოთლებს.

მარტორქა

მარტორქას პირვანდელი აღწერა თითქმის მთლიანად ემთხვევა ბოლო მონაცემებს მის შესახებ. ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ოთხი საუკუნით ადრე, ბერძენი ქტესიასი, მკურნალი არტაქსერქსე მნემონის კარზე, იუწყებოდა, რომ ინდოეთის სამეფოში გავრცელებული იყვნენ ერთობ ფეხმარდი გარეული ვირები, თეთრი ბეწვით, მეწამული თავით, ცისფერი თვალებითა და წვეტიანი რქით შუბლზე. ამ რქას, ქტესიასის თქმით, ძირი თეთრი ჰქონდა, წვეტი წითელი, ხოლო შუა ნაწილი კუპრივით შავი. პლინიუსი (VIII, 31) კი მას უფრო დეტალურად აღგვიწერს:

„ინდოეთში კიდევ ერთ ცხოველზე, მარტორქაზე ნადირობენ, რომელიც ტანით ცხენს ჰგავს, თავით ირემს, ტერფებით სპილოს, კუდი კი გარეული ტახისა აქვს. ბოხი ხმით ბღავის და შუბლის შუაგულში წვეტიანი რქა ეზრდება. ამბობენ, მისი ცოცხლად შეპყრობა ყოვლად შეუძლებელიაო“.

1892 წელს აღმოსავლეთმცოდნე შრადერი მიიჩნევდა, რომ შესაძლოა ბერძნებისთვის მარტორქის არსებობის იდეა ზოგიერთ სპარსულ ბარელიეფს ჩაესახა, რომლებზეც ხარები პროფილში ერთი რქით არიან გამოსახულნი.

ისიდორე სევილიელის ეტიმოლოგიაში, რომელიც მეშვიდე საუკუნის დასაწყისში დაიწერა, ვკითხულობთ, რომ მარტორქის რქას სპილოს მოკვლა შეუძლია. ეს მოგვაგონებს კარკადანის (მარტორქის) მსგავს გამარჯვებას სინდბადის მეორე მოგზაურობიდან. მარტორქის კიდევ ერთი მტერი ლომი გახლდათ და ალეგორიებით ცნობილი ეპოსის ფერიების დედოფალი მეორე წიგნის ერთი მერვედიც სწორედ მის საბრძოლო მანერაზე გვესაუბრება. ლომი ხესთან დგება. მარტორქა თავს ხრის და ლომის რქაზე წამოგებას ცდილობს. ლომი მას გვერდს უქცევს, მარტორქა კი რქით ხეში ერჭობა. ეს მონათხრობი მეთექვსმეტე საუკუნით თარიღდება. მეთვრამეტე საუკუნეში კი ინგლისის სამეფოს შოტლანდიის სამეფოსთან გაერთიანებამ, დიდი ბრიტანეთის სამეფოს ღერბზე ინგლისურ ლომს შოტლანდიური მარტორქა დაუპირისპირა.

მითოლოგიურ ცხოველთა სამყაროს შესახებ შუასაუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერებიდან ვგებულობთ, რომ მარტორქის შეპყრობა მხოლოდ ქალწულს ხელეწიფება. წიგნში ბერძნული ფიზიოლოგი ვკითხულობთ: „მისი შეპყრობა აი, ამგვარად ხდებოდა: ტყეში, სადაც მარტორქა ბინადრობდა ქალწული მარტო უნდა შესულიყო. მარტორქა დანახვისთანავე ქალწულს კალთაზე მიახტებოდა, ქალწული კი ალერსიანად მოხვევდა მკლავებს და ხელმწიფის სასახლეში მიჰყავდა“.

პისანელოს მედალიონი და არაერთი ცნობილი გობელენი ეძღვნება ამ ტრიუმფს, რომლის ალეგორიული მნიშვნელობაც ყველასთვის ნათელია. მარტორქა ხელოვნებაში სულიწმიდის, იესო ქრისტეს, მერკურისა და ბოროტების სიმბოლოა.

იუნგის ნაშრომში ფსიქოლოგია და ალქიმია (ციურიხი, 1944) ეს სიმბოლიკა კარგადაა აღწერილი და გაანალიზებული.

ყალყზე შემდგარი ანტილოპისფეხებიანი თეთრი ცხენი, თხის წვერითა და ერთი გრძელი და მოხრილი რქით – ასე გამოსახავენ ხშირად ამ გამოგონილ ცხოველს.

ლეონარდო და ვინჩი მარტორქის ცოცხლად შეპყრობის ხერხს მისი მგრძნობელობით ხსნის: მას ავიწყდება, რომ ველურია და ქალწულის კალთას ეხუტება. მონადირეები მას სწორედ ამ გზით იჭერენ.

მელნის მაიმუნი

ეს არსება ჩრდილოეთში ბინადრობს, დაახლოებით 4-5 ინჩის სიგრძისაა და საოცარი ინსტინქტით არის დაჯილდოებული. მას კარნეოლივით წითელი თვალები, გიშერივით შავი და ბალიშივით ფუმფულა და დამყოლი ბეწვი აქვს. გამოირჩევა ერთი უცნაური თვისებით – ჩინური მელნით პირის ჩატკბარუნება უყვარს. როდესაც ადამიანები წერენ, ის სადღაც ახლომახლო ფეხმორთხმით, გულზე ხელებდაკრეფილი ზის და მოთმინებით ელოდება, როდის დაამთავრებენ ისინი წერას, რათა დაუყოვნებლივ ამოწრუპოს სამელნეში დარჩენილი მელანი და კმაყოფილი პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდეს.

მთვარის კურდღელი

ინგლისელების რწმენით, მთვარის ლაქები ადამიანის გამოსახულებაა; ზაფხულის ღამის სიზმარში მთვარის კაცი რამდენჯერმე გვხვდება, როდესაც შექსპირი მის ეკლიან გვირგვინს, თუ უბრალოდ ეკლიან ბუჩქს ახსენებს. დანტეს ჯოჯოხეთის XX კარში გვხვდება „კაენი თვისი ეკლებით“. თომასო კასინის კომენტარი ამ წინადადების შესახებ, შეგვახსენებს ტოსკანურ ლეგენდას, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ მიუსაჯა ღმერთმა კაენს საპყრობილედ მთვარე და ამ უკანასკნელს უკუნითი უკუნისამდე ეკლიანი გვირგვინის ტარება დააკისრა. მავანნი მთვარის ლაქებში წმინდა ოჯახის სილუეტს ხედავენ. სწორედ ამის შესახებ წერს ლუგონესი თავის სენტიმენტალურ კალენდარში:

„იქ ყველას ერთად ნახავთ, ქალწულსაც და ჩვილსაც,
წმინდა იოსებიც მათ მისდევთ რიდით,
ვინმე იღბლიანი მის კვერთხსაც დაინახავს,

თეთრ ვირსაც, მთვარეზე რომ ნელ-ნელა მიდის“.

აი, ჩინელები კი მთვარის კურდღელზე გვიყვებიან. წინა ცხოვრებათაგან ერთ-ერთში ბუდა შიმშილს შეუწუხებია. მისთვის შიმშილის მოსაკლავად ერთი კურდღელი თავად ჩამხტარა ცეცხლში. ჯილდოდ ბუდას მისი სული მთვარეზე გაუგზავნია და იქ, ერთი აკაციის ხის ქვეშ, კურდღელი უკვდავების ელექსირის საჭირო ბალახებს ნაყავს. სხვადასხვა რეგიონებში ხალხი მას სხვადასხვა სახელით – სწავლულად, დიდებულ კურდღლად ან იასპის კურდღლად მოიხსენიებს.

რაც შეეხება ჩვეულებრივ კურდღელს, არსებობს რწმენა, რომ ის ათასი წელი ცოცხლობს და სიბერეში ჭაღარავდება.

მინოტავრი

დამეთანხმებით, ბევრად უფრო უცნაურია ისეთი სახლის აშენება, რომლის ლაბირინთებშიც გინდა რომ ადამიანი დაიკარგოს, ვიდრე ისეთი მამაკაცის არსებობა, რომელსაც ჩვეულებრივის ნაცვლად ხარის თავი აქვს. მაგრამ ლაბირინთი და მინოტავრი მშვენიერი ტანდემია და, გასაკვირი არაფერია, რომ ურჩხულისთვის გამიზნულ სახლში ურჩხული ბინადრობდეს.

მინოტავრი – ნახევრად ხარი და ნახევრად ადამიანი, კრეტას დედოფლის პასიფეასა და იმ თეთრი ხარის სასიყვარულო თავგადასავლის ნაყოფია, პოსეიდონმა რომ ამოუშვა ზღვიდან. დედალოსმა, რომლის ეშმაკურმა გამოგონებამ პასიფეასა და ხარს შორის აალებული ვნების დაცხრობა მოახერხა, ააგო სწორედ ის ლაბირინთი, რომელიც მათი ურჩხული პირმშოს ჩასამწყვდევად და უცხო თვალისგან მოსარიდებლად იყო გამიზნული. მინოტავრი ადამიანთა ხორცით იკვებებოდა. ამიტომაც კრეტას ხელმწიფე ათენისგან ყოველწლიურ ხარკს მოითხოვდა შვიდი ჭაბუკისა და შვიდი ქალწულის სახით. თეზევსმა გადაწყვიტა სამშობლო ამ საშინელი განსაცდელისგან ეხსნა. მეფის ასულმა არიადნემ მას ძაფის გორგალი მისცა, ლაბირინთში გზა რომ არ აბნეოდა. გმირმა მინოტავრიც გამოასალმა სიცოცხლეს და ლაბირინთიდანაც უვნებელი გამოვიდა.

ოვიდიუსი ერთ-ერთ პენტამენტრში, ცდილობს სიახლე შემოიტანოს და მინოტავრს მოიხსენიებს, როგორც „კაცს, რომელიც ნახევრად ხარია და ხარს, რომელიც ნახევრად კაცია“. დანტემ, რომელმაც ძველ ბერძენთა თქმულებები კარგად იცოდა, მაგრამ მათი მონეტები და ქანდაკებები არასოდეს ენახა, მინოტავრი ადამიანის თავითა და ხარის ტანით გამოსახა (ჯოჯოხეთი, XII:1-30).

ხარისა და ორლესული ნაჯახის სახელად „*labrys*”-ის (რაც შესაძლოა შემდგომში „ლაბირინთად“ ქცეულიყო) კულტი დამახასიათებელი იყო პრეჰელინისტური რელიგიებისთვის, სადაც ხარებთან ბრძოლა ერთ-ერთ რიტუალს წარმოადგენდა. უძველესი ფრესკების მიხედვით, კრეტას დემონოლოგიაში მრავლად იყვნენ ხარისთავიანი ადამიანები. არ არის გამორიცხული, რომ ბერძნული თქმულება უძველესი მითის მიახლოებული ვერსია იყოს – აჩრდილი სხვა, ბევრად უფრო საშინელი ზმანებისა.

მირმეკოლეო

მირმეკოლეო ძნელად წარმოსადგენი არსებაა, რომელსაც გუსტავ ფლობერი შემდეგნაირად ახასიათებს: „წინიდან ლომი, უკნიდან კი ჭიანჭველა უკუღმა განლაგებული სასქესო ორგანოებით“. ამ ურჩხულს ერთობ საინტერესო ისტორია აქვს. წმინდა წერილში ასეთ რამეს ვკითხულობთ: „ნადავლის გარეშე ლომი დაიღუპება...“ (იობი, IV, 11). ებრაულ ტექსტში გამოყენებულია ლომის აღმნიშვნელი სიტყვა – *layish*. საჭირო გახდა ამ გამორჩეული სიტყვისთვის შესაბამისი თარგმანის მოძებნა. სეპტუაგინტას შემდგენლებს ელიანოსისა და სტრაბონის მიერ მირმექსად წოდებული არაბული ლომი გაახსენდათ და ლომს მირმეკოლეო უწოდეს.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ ეს სიტყვათწარმოება დავიწყებას მიეცა. მირმექსი ბერძნულად ჭიანჭველას ნიშნავს. გაურკვეველი შინაარსის ფრაზიდან „ნადავლის გარეშე ლომი-ჭიანჭველა დაიღუპება“, ადამიანის ფანტაზიამ შექმნა არსება, რომელმაც შუა საუკუნეების ლიტერატურაში კიდევ უფრო ფანტასტიკური სახე შეიძინა.

ბერძნული ფიზიოლოგი ლომ-ჭიანჭველას ასე ახასიათებს: „ამ არსების მამას ლომის სახე აქვს, დედას – ჭიანჭველისა. მამა ხორცით იკვებება, დედა – მცენარეების ჭამას ამჯობინებს. ამ უკანასკნელთა-გან წარმოიშვა ლომი-ჭიანჭველა, რომელიც ორივე მათგანის ნაჯვა-რია და ორივეს ჰგავს, რადგან წინა ნაწილი მას ლომისა აქვს, ხოლო უკანა ჭიანჭველისა. ქვეყნად ამ გზით მოვლენილი, ის ვერც ხორცით იკვებება მამასავით და არც დედასავით მცენარეების ჭამა შეუძლია, რის გამოც იღუპება“.

მიწისმტკეპნელი

მუსიკოსსა და პედაგოგს იაკობ ლორბერს 1840 წლიდან მოყოლე-ბული 1964 წლამდე ჰქონდა ხილვების სერია, რომლის საშუალები-თაც სინათლის მამამ (რომელსაც სხვაგვარად შინაგან ხმასაც უწოდე-ბენ) მას მზის სისტემაში შემავალ ციურ სხეულებზე მცხოვრები ხალ-ხების ფაუნასა და ფლორის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მიაწო-და. ერთ-ერთი შინაური ცხოველი, რომლის არსებობაც ჩვენ ლორბე-რის ხილვების მეშვეობით შევიტყვეთ, არის სწორედ მიწისმტკეპნე-ლი. ის პლანეტა მირონზე (ლორბერის ახლანდელი გამომცემლის მიხედვით პლანეტა ნეპტუნი) ცხოვრობს და იქ არაერთი სახის სამუ-შაოს ასრულებს.

მიწისმპტკეპნელი ძალიან ჰგავს სპილოს, მაგრამ მასზე ათჯერ დიდია. სპილოსთან შედარებით უფრო მოკლე ხორთუმი და სწორი და გრძელი ეშვები აქვს, ღია მწვანე ფერისაა და კონუსისებრი ფეხები აქვს, რომელთა წვერები თითქოს სხეულში აქვს შერჭობილი. ეს ცხო-ველი, რომელიც მიწას ასწორებს და ტკეპნის, კალატოზებს და მშე-ნებლებს საქმეს უადვილებს. ისინი ცხოველს უსწორმასწორო ად-გილს უჩვენებენ, რომელსაც მიწისმტკეპნელი თავისი ხორთუმით და ტერფებით ასწორებს.

მიწისმტკეპნელი ბალახითა და სხვადასხვა მცენარის ბოლქვე-ბით იკვებება და მწერების რამდენიმე სახეობის გარდა მტრები არ ჰყავს.

ნაგები

ნაგებს ინდური მითოლოგიიდან ვიცნობთ. ისინი გველები არიან, რომელებსაც ხანდახან ადამიანის სახის მიღება შეუძლიათ.

მაჰაბჰარატას ერთ-ერთ წიგნში ნაგა, ხელმწიფის ქალიშვილი ულუპი არჯუნას მიმართ ვნებით არის შეპყრობილი; არჯუნა ცდილობს უბიწობის აღთქმა არ დაარღვიოს, მაგრამ ქალწული შეახსენებს, რომ ის ვალდებულია უბედურებაში მყოფთ დახმარების ხელი გაუწოდოს, და გმირიც მას ერთ ღამეს ჩუქნის. ლეღვის ხის ქვეშ მჯდომ და მედიტაციით გართულ ბუდას მოულოდნელად წვიმა და ქარიშხალი დაატყდება თავს; ერთი გულმოწყალე ნაგა მას შვიდჯერ შემოეხვევა გარს და თავის შვიდ თავს სახურავივით გადააფარებს. ბუდა მას თავის რჯულზე მოაქცევს.

კერნი, თავის ინდური ბუდიზმის სახელმძღვანელოში ნაგებს ღრუბლების მსგავს გველებად ახასიათებს. ისინი ღრმა მიწისქვეშეთში უზარმაზარ სასახლეებში ბინადრობენ. მაჰაიანას მიმდევრებს სწამთ, რომ ბუდა ადამიანებისა და ღმერთებისთვის განსხვავებულად ქადაგებდა. ღმერთებისთვის განკუთვნილი – ეზოთერული ქადაგება, ნაგა გველების სასახლეებში იყო დაცული, სანამ ისინი ამ უკანასკნელს, საუკუნეების შემდეგ, ბერ ნაგარჯუნეს გადასცემდნენ.

პილიგრიმი ფა-სიენი, რომელიც V საუკუნის დასაწყისში ინდოეთში მოგზაურობდა, იქ მოსმენილ ასეთ ლეგენდას გვიყვება:

„მეფე ასოკა მივიდა ტბასთან, რომლის ნაპირზეც ერთი კოშკი აღმართულიყო. მას ამ კოშკის დანგრევა ჰქონდა განზრახული, რათა მის ადგილას უფრო მაღალი აეგო. ერთმა ბრაჰმანმა ხელმწიფეს სთხოვა, კოშკში შესულიყო და როცა მეფე ასე მოიქცა, შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: „ჩემი ადამიანური სახე ილუზიაა; სინამდვილეში მე ნაგა ვარ, ურჩხული. ჩადენილი ცოდვების საზღაურად ამ საშინელ სხეულში გამომწყვდეული, მაგრამ ბუდას ქადაგებას მივსდევ და გადარჩენის იმედს არ ვკარგავ. შენ კი ამ სიწმინდის დანგრევის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვს, თუ უკეთესის აგებას შეძლებ“.

მან ხელმწიფეს წმინდა ჭურჭელი აჩვენა. ჭურჭელი იმდენად განსხვავდებოდა ადამიანის ხელით შექმნილისგან, რომ გაოცებულმა მეფემ თავის განზრახვაზე ხელი აიღო.

ნაჯვარი

„ერთი უცნაური ცხოველი მყავს. ნახევრად კნუტი და ნახევრად ბატკანი. მამაჩემის ქონებიდან მემკვიდრეობით მერგო. ის ჩემ ხელში გაიზარდა. ადრე ბატკანი უფრო ეთქმოდა, ვიდრე კნუტი. ახლა კი ორივეს თანაბრად ჰგავს. კატას თავი და ბრჭყალები უგავს, ბატკანს – ზომა და აღნაგობა; თვალები ორივესი აქვს, მოელვარე და ველური, ბეწვი – რბილი და დაბალი. მოძრაობითაც – ხან მიკუნტრუშებს, ხან კი უხმო ნაბიჯით მიიპარება. მზიან დარში ის ფანჯრის რაფაზე მოირკალება ხოლმე და კრუტუნებს, მდელოზე ისე შეშლილივით დარბის, ვერ მოიხელთებ. კატებს გაურბის, ბატკნების დანახვაზე კი მათზე თავდასხმა სწადია. მთვარიან ღამეს სახლის სახურავზე ჯდომას ამჯობინებს. კნავილი არ ეხერხება და ვირთხები ჭირივით სძულს. საქათმის გვერდით საათობით უსაფრდება ხოლმე, მაგრამ ჯერ არც ერთი არ მოუკლავს.

ტკბილი რძით ვკვებავ და კარგადაც ირგებს. დიდი ყლუპებით შეისრუტავს ხოლმე მტაცებელი მხეცის კბილებს მიღმა. ბავშვებისთვის საუკეთესო სანახაობაა. მათ ნებას ვაძლევ, კვირაობით შუადღემდე ეწვიონ ხოლმე. ამ დროს ცხოველი კალთაში მიზის, მთელი სამეზობლოს ბავშვები კი გარს მეხვევიან და ისეთ საოცარ შეკითხვებს მისვამენ, პასუხის გაცემა მიჭირს: რატომ არის ის ერთადერთი და რა ბედი ეწევა სიკვდილის შემდგომ, თავს მარტოსულად გრძნობს თუ არა, რატომ არ მრავლდება, რა ჰქვია და ასე შემდეგ.

პასუხების ძებნით თავს არ ვიწუხებ. ნანახით უნდა დაკმაყოფილდნენ. ბავშვებს ხანდახან კატები მოჰყავთ თან, ერთხელ ორი ბატკანიც კი მოიყვანეს. მოლოდინი გაუცრუვდათ. ცხოველებს დაახლოება არ უცდიათ. ისინი მშვიდად უცქერდნენ ერთმანეთს და ერთურთის არსებობას ღვთის ნებად მიიჩნევდნენ.

ჩემს კალთაში მჯდომს მას არც შიში ეუფლება და არც არავის დევნის სურვილი. მჭიდროდ მეკვრის და სიამოვნებისგან კრუტუნებს. ის თავისი გამზრდელი ოჯახის ერთგულია. ეს ალბათ ინსტინქტი უფროა, ვიდრე იმ ცხოველის უჩვეულო ერთგულება, რომელსაც დედამიწაზე უამრავი შორეული ნათესავი ჰყავს, მაგრამ სისხლით ნათესავი – არც ერთი. ამიტომ ადგილს, სადაც მასზე ასე ზრუნავენ, სიწმინდესავით უფრთხილდება.

ხანდახან სიცილს ვერ ვიკავებ, როდესაც მყნოსავს, მელაქუცება, და მის თავიდან მოცილებას დიდი ძალისხმევითაც ვერ ვახერხებ. თითქოს ის არ კმაროდეს, ერთდროულად კატაც რომ არის და ბატკანიც, ახლა ძაღლობაც მომინდომა. ერთხელ, ასეთი რამ ნებისმიერს შეიძლება შეემთხვეს, საქმეები ისე ამეწეწა, რომ გამოსავალს ვეღარ ვხედავდი. ამიტომ გადავწყვიტე ყველაფრისთვის თავი მიმენებებინა და ასე დათრგუნული შინ, კალთაში ცხოველით, სარწეველა სავარძელში ვიჯექი. შემთხვევით დაბლა დავიხედე და მის გრძელ ულვაშებზე დაკიდებული ცრემლები შევნიშნე. ვისი ცრემლები იყო – ჩემი თუ მისი? ნუთუ ეს კატა ბატკნის სულით, ადამიანობასაც იჩემებდა? მამაჩემისგან მემკვიდრეობით ბევრი არაფერი მრგებია, მაგრამ ეს ცხოველი ნამდვილად ერთ რამედ ღირდა.

ღელვითაც ორმაგად ღელავს – ისე, როგორც კატა და ისე, როგორც ბატკანი, როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან. ამიტომ ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ საკუთარი სხეული ძალიან ვიწრო საკანია მისთვის. ხანდახან სავარძელზე ამოხტება, წინა თათებს მხარზე დამაყრდნობს და ცხვირს ყურთან მომიტანს, თითქოს რაღაც უნდა მიჩურჩულოსო. მერე კი მართლა გადმოიხრება ხოლმე წინ და სახეში მაცქერდება, თითქოს იმის დანახვა უნდოდეს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა ნათქვამმა. მეც თავაზიანობას ვიჩენ და თავს ისე ვუქნევ, თითქოს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად გამეგოს. კმაყოფილი ხტება იატაკზე და კუნტრუშით მივლის გარს.

ვინ იცის, იქნებ ამ ცხოველისთვის ყასბის დანა ხსნაც ყოფილიყო, მაგრამ მამაჩემის დანატოვარია და ამისთვის ვერ გავიმეტებ. ამიტომ

მანამდე უნდა ელოდოს, სანამ თავისით არ ამოხდება სული, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან გონიერი ადამიანის თვალებით მიყურებს, რაც ჩემგანაც გონიერ ქმედებას ითხოვს“.

ფრანც კაფკა, მოთხრობები

ნიმფები

პარაცელსუსს მიაჩნდა, რომ ნიმფები წყალში ბინადრობენ, უძველესი გადმოცემები კი წყლისა და ხმელეთის ნიმფებს განასხვავებენ. ამ უკანასკნელთა ნაწილი, ამადრიადები, ტყეში, ხეებში შემალულები ცხოვრობდნენ და ხეებთან ერთად იღუპებოდნენ. თქმულებების მიხედვით სხვა ნიმფები უკვდავები არიან, ან ათასობით წელს ცოცხლობენ. ზღვის ბინადარ ნიმფებს ოკეანიდებს ან ნერეიდებს უწოდებენ, მდინარეში მცხოვრებთ – ნაიადებს. მათი ზუსტი რიცხვი არავინ იცის, მაგრამ ჰესიოდეს მიხედვით ისინი დაახლოებით 3 000 არიან. ნიმფები დინჯი და ლამაზი ქალწულები იყვნენ. ვინც თვალს მოჰკრავდა, ჭკუიდან იშლებოდა, ხოლო ვინც შიშველს იხილავდა, ადგილზე კვდებოდა. ამ ფაქტის შესახებ გვამცნობს პროპერციუსის ნაშრომი.

უხსოვარ დროში ადამიანები ნიმფებს მსხვერპლად სწირავდნენ თაფლს, ზეთს და რძეს. იმის გამო, რომ ნიმფები დაბალი რანგის ღვთაებებად მიიჩნეოდნენ, მათ ტაძრებს არავინ უშენებდა.

ნისნები

ფლობერის წმინდა ანტონიუსის ცდუნებაში აღწერილ ურჩხულთა შორის არიან ნისნები, რომელთაც „მხოლოდ თითო თვალი, ლოყა, ხელი, ფეხი, ნახევარი სხეული და გული აქვთ“. ჟან-კლოდ მარგოლენი თავის კომენტარებში ამბობს, რომ ნისნები თავად ფლობერის ფანტაზიის ნაყოფნი არიან, მაგრამ ლეინის ათას ერთი ღამის პირველი ტომის მიხედვით, ისინი ადამიანებისა და დემონების ურთიერ-

თობის შედეგად წარმოიშვნენ. ნესნა, როგორც მას თვით ლეინი უწოდებს, ნახევარადამიანია. მას აქვს ნახევარი თავი, ნახევარი ტანი, ერთი ხელი და ერთი ფეხი, რომლითაც ის გასაოცარი მოხერხებულობით გადაადგილდება. ის იემენისა და ჰადრამუთის უკაცრიელ ადგილებში ბინადრობს და ლაპარაკიც შეუძლია. ზოგიერთ მათგანს, ისევე როგორც ბლემიებს, ნახევარი სახე მკერდზე აქვთ, ხოლო კუდი ცხვრისას მიუგავთ. მათ ნაზ ხორცს მოტკბო გემო აქვს და ამიტომაც ძალიან ფასობს. ნისნების სხვა სახეობას ღამურის ფრთები აქვს და ის ჩინეთის დასავლეთ სანაპიროსთან, კუნძულ რაიჯზე (შესაძლოა ბორნეო იგულისხმებოდეს), ბინადრობს. სიმართლე კი, ამატებს ბოლოს ურწმუნო მთხრობელი, მხოლოდ ალაჰმა უწყისო.

ნორნები

შუა საუკუნეების სკანდინავიურ მითოლოგიაში ნორნები რომაულ პარკებს შეესატყვისებიან. სნორი სტურლუსონის აზრით, რომელმაც XIII საუკუნეში ერთობ ქაოტური სკანდინავიური მითოლოგიის სტრუქტურირება მოახდინა, არსებობდა სამი მთავარი ნორნა და მათ სახელად წარსული, აწმყო და მომავალი ერქვათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნორნების დროსთან დაკავშირებული სახელები საღვთისმეტყველო ხასიათის დახვეწილი ნიუანსი ან დამატებაა, ძველგერმანულ ტომებს კი, საეჭვოა, რომ ასეთი აბსტრაქტული აზროვნების უნარი ჰქონოდათ. სნორი აღგვიწერს სამყაროს ხის, იგდრასილის, ძირში მჩქეფარე შადრევანთან მჯდომ სამ ქალს, რომლებიც დაუღალავად რთავენ ჩვენი ბედისწერის ძაფს.

დრომ (რომელიც ამ სამი ქმნილების დედააზრს წარმოადგენდა) თანდათანობით დაივიწყა ისინი, მაგრამ 1606 წელს უილიამ შექსპირმა დაწერა ტრაგედია მაკბეტი, რომლის პირველსავე მოქმედებაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა სამივე ნორნა. ისინი სამი კუდიანის სახით გვევლინებიან, რომლებიც ჯარისკაცთა ხვედრს წინასწარმეტყველებენ. შექსპირი მათ ქადაგად დაცემულ დებს უწოდებს,

ბედისმწერლებს, პარკებს. ანგლოსაქსებს ჰყავდათ უაირდი, უტყვი ქალღმერთი, რომელიც წყვეტდა უკვდავთა და მოკვდავთა ბედს.

ოდრადეკი

„ერთნი ამბობენ, რომ ოდრადეკი სლავური სიტყვაა და ამის საფუძველზე ცდილობენ მისი წარმომავლობის გარკვევას. სხვები მიიჩნევენ, რომ სიტყვა გერმანულია და უფრო სლავური გავლენისკენ იხრებიან. მაგრამ ორივე შეხედულების არასანდოობა და ბუნდოვანება იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ მართებული არც ერთია და არც მეორე. მით უმეტეს, სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ვერც ერთის მეშვეობით ვერ ხერხდება.

ცხადია, ამგვარი წიაღსვლებით თავს არავინ შეიწუხებდა, რომ არა ოდრადეკის არსებობა. ის პირველ ყოვლისა ბრტყელი, ვარსკვლავის ფორმის ძაფის კოჭია, რა თქმა უნდა, ძაფიანი, მაგრამ ეს უფრო ძველი, გადანასკვული, ან ერთმანეთში აბურდული სხვადასხვა სიგრძისა და ფერის ნაგლეჯებიანი კოჭია და არა სრულყოფილი კოჭისძაფი. თანაც ის მარტო კოჭიც არ არის, მასზე, ვარსკვლავის გულში გაყრილ პატარა ჩხირზე, მართი კუთხით, დამაგრებულია კიდევ ერთი კოჭი და ეს ყველაფერი ორ ფეხზე, თითქოს, ერთი მხრივ, სწორედ ამ უკანასკნელზე და, მეორე მხრივ, ვარსკვლავის ქიმებზე დაყრდნობით დგება.

კაცი იფიქრებს, ამ უცნაურ ქმნილებას ერთ დროს გარკვეული ფუნქცია ჰქონდა და ახლა მისგან მხოლოდ რაღაც ნაწილიღა შემორჩაო. მაგრამ როგორც ირკვევა, ასე არ არის; ყოველ შემთხვევაში, არაფერი მეტყველებს ამაზე; არსად ჩანს დამატებითი დეტალებისთვის ბუდეები ან რაიმე ჩამონატეხის კვალი; მთელი, მართალია ცოტა უაზროდ გამოიყურება, მაგრამ თავისებურად, რაღაც მთლიანობას მაინც განასახიერებს. უფრო დეტალური დაკვირვება კი, რაც უფრო ღრმა დასკვნების საფუძველი გახდებოდა, შეუძლებელია, რადგან ოდრადეკი ძალზე მოძრავი და მოუხელთებელია.

ის ხან კიბეზეა ხანაც სხვენზე და წინაკარში; ხან თვეების განმავლობაში ვეღარსად მოჰკრავს თვალს კაცი; აღარც კი იცი, აქაა თუ სხვაგან გადასახლდა; და მაინც, აუცილებლად დაბრუნდება უკან, სახლში. ხანდახან, როდესაც სახლიდან გადიხარ და კიბის მოაჯირს ეყრდნობი, გინდა გამოელაპარაკო. ცდილობ, რაც შეიძლება მარტივი კითხვები დაუსვა, ეპყრობი როგორც ბავშვს და ამას თითქოს მისი ჩია აღნაგობა გკარნახობს. „მაშ, რა გქვია?“ – ეკითხები. „ოდრადეკი“, – გპასუხობს ის. „და სად ცხოვრობ?“ – „საცხოვრებელი ადგილი – გაურკვეველი“, – ამბობს და იცინის; მაგრამ უცნაური სიცილია. თითქოს მასში ფილტვები არც კი მონაწილეობდეს. ჟღერს, როგორც დაფანტული ფურცლების შრიალი და საუბარიც, როგორც წესი, ამით მთავრდება. ხშირად ამ პასუხებსაც ვერ ეღირსები; უმეტესად დუმს, როგორც ხე, და როგორც ჩანს, არის კიდეც.

ხშირად ვეკითხები თავს, რა ელის მომავალში, სიკვდილი? ყველა მოკვდავს, ვიდრე ეს დრო დაუდგებოდეს, აქვს თავისი მიზანი, საქმიანობის სფერო, და ამას ანდომებს მთელ ძალას და ენერგიას; მაგრამ ოდრადეკს ეს არ ეხება. დაგორდება ერთხელაც კიბეზე ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ფეხებთან, უკან დადევნებული ძაფის კუდით. რა თქმა უნდა, არავის ვნებს; მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ ის ჩემზე დიდხანს იცოცხლებს, სევდას მგვრის და ტკივილს მაყენებს“.

ფრანც კაფკა, ოჯახის უფროსის წუხილი

ორეული

ყველა კულტურაში არსებობს ორეულის ცნება, რომელიც სარკეებით, წყლის ზედაპირითა და ტყუპებით არის შთაგონებული. არ არის გამორიცხული, რომ პითაგორას „მეგობარი შენი მეორე მეა“ და პლატონის „შეიცან თავი შენი“ სწორედ ამ კონცეფციით იყოს ნაკარნახევი. გერმანიაში მას *Doppelgänger* ჰქვია, შოტლანდიაში *fetch*, რადგან ის მოდის და ადამიანები საიქიოში მიჰყავს. საკუთარ თავთან შეხვედრა ძველ დროში განსაკუთრებულ ნიშნად მიიჩნეოდა.

რობერტ ლუის სტივენსონმა ბალადა *„Ticonderoga“* სწორედ ამ თქმულებაზე ააგო. შეგვიძლია ასევე გავიხსენოთ როსეტის უცნაური ტილოც – სახელწოდებით „როგორ შეხვდნენ ერთმანეთს“, და მასზე გამოსახული ორი სატრფო, რომელიც უღრან ტყეში საკუთარ თავებს გადაეყარა. გარდა ამისა, ამ თემას თავიანთ შემოქმედებაში ჰოთორნი, დოსტოევსკი და ალფრედ დე მიუსეც ეხებიან.

როგორც გერშომ შოლემი ამბობს, ებრაელებისთვის ორეულის გამოცხადება სიკვდილს კი არ მოასწავებდა, არამედ იმის ნიშანი იყო, რომ ადამიანი, რომელმაც ის იხილა, წინასწარმეტყველის რანგში ამაღლდა. თალმუდში მოთხრობილია ამბავი ადამიანისა, რომელიც ღმერთს ეძებს და თავის თავს პოულობს.

პოს მოთხრობაში „უილიამ უილსონი“ ორეული მთავარი გმირის სინდისად გვევლინება. როდესაც გმირი ორეულს კლავს, თვითონაც კვდება. უილიამ ბატლერ იეიტსის პოეზიაში ორეული ჩვენი მეორე, მოწინააღმდეგე მხარეა, ის, ვინც ჩვენ გვამთლიანებს, ის პიროვნება, რომელიც ჩვენ არ ვართ და ვერც ვერასოდეს გავხდებით.

პლუტარქე წერდა, რომ ბერძნები მეფის შიკრიკს „მეორე მეს“ უწოდებდნენ.

ორი მეტაფიზიკური არსება

ფიქრმა იმის შესახებ, თუ საიდან ჩნდება იდეები, ფანტასტიკურ ზოოლოგიას კიდევ ორი საინტერესო არსება შემატა. ერთი მე-18 საუკუნის შუა ხანებში გამოიგონეს, ხოლო მეორე დაახლოებით ასი წლის შემდეგ.

პირველი არსება კონდილაკის „მგრძნობიარე ქანდაკება“ იყო. ეტიენ ბონო დე კონდილაკმა თანდაყოლილი იდეების შესახებ დეკარტის ცნობილი თეორიის უარსაყოფად, შემოგვთავაზა, რომ წარმოგვედგინა მამაკაცის ქანდაკება, რომელსაც სული უდგას, მაგრამ არც უფიქრია არასოდეს და არც რაიმე შეუგრძნია. პირველი, რაც კონდილაკმა ამ ქანდაკებას მიანიჭა, იყო ყველა სხვა გრძნობათა შორის უმარტივესი – ყნოსვა. ქანდაკების ბიოგრაფიაც ამ გრძნობით იწყება

– ჟასმინის სუნით. წამიერად თავად სამყარო იქცა ჟასმინის სუნად, რომელიც მალევე ჯერ ვარდის, შემდეგ კი მიხაკის სურნელად იქცა.

თუ ქანდაკებას ერთ სუნს შევაგრძნობინებთ, ჩვენ ამით მხოლოდ მის ყურადღებას მივიპყრობთ. ხოლო თუ ეს სუნი ცნობიერებაში იმაზე მეტხანს დარჩება, ვიდრე უბრალოდ სტიმულირებისთვის არის საჭირო, უკვე მეხსიერებასთან გვექნება საქმე. მეხსიერებაში მყოფი და ახალი შთაბეჭდილებები ქანდაკებას ფიქრს აწყებინებს და ის ძველის და ახლის ერთმანეთთან შედარების უნარს იძენს. თუ ქანდაკება შთაბეჭდილებებს შორის არსებულ მსგავსებას და განსხვავებას დაინახავს, მაშინ საკუთარი აზრი უყალიბდება. თუ შთაბეჭდილებების შედარების და საკუთარი აზრის გამომუშავების პროცესი მეორდება, მაშინ ქანდაკება უკვე ფიქრობს. და თუ სასიამოვნო მოგონება უსიამოვნოზე უფრო მძაფრი იქნება, ამას უკვე წარმოსახვასთან მივყავართ. აზროვნების უნარის მატებასთან ერთად ჩნდება სიყვარული და სიძულვილი (მავანთა მიზიდვა და განზიდვა), იმედი და შიში. გარკვეული ფორმაციის განცდის შემდეგ ქანდაკებას რიცხვების აბსტრაქტული აღქმის უნარი უჩნდება. იმის გაცნობიერება, რომ ის (ქანდაკება) ჯერ ჟასმინის სუნი იყო, ახლა კი მიხაკისაა, მასში „მეს“ შეგრძნებას ბადებს.

ავტორი თავის ჰიპოთეზურ ადამიანს თანდათანობით სმენის, გემოვნების, ხედვისა და სულ ბოლოს, შეხების უნარსაც ანიჭებს და იმის შეცნობაში ეხმარება, რომ მას გარშემო სივრცე აკრავს, ხოლო თავად ამ სივრცეში არსებულ სხეულშია მოქცეული. ბგერები, სუნი და ფერები მისი ცნობიერებისთვის აქამდე მხოლოდ უბრალო ვარიაციებს ან მოდიფიკაციას წარმოადგენდა.

ეს ალეგორია, რომლის შესახებაც ზემოთ გიამბეთ ტრაქტატი შეგრძნებების შესახებ სახელწოდებით არის ცნობილი და 1754 წლით თარიღდება. მის გადმოსაცემად ჩვენ ემილ ბრეიეს ფილოსოფიის ისტორიის მეორე ტომი მოვიშველიეთ.

მეორე არსება, რომელიც შემეცნებაზე ფიქრმა წარმოშვა, ლოტსეს „ჰიპოთეზური არსება“ გახლავთ. ეს უკანასკნელი, კონდილაკის ქან-

დაკებასთან შედარებით იზოლირებულია და მთელ სხეულზე ერთადერთი მგრძნობიარე წერტილი გააჩნია, რომელიც მისი საცეცის უკიდურესი წერტილია და მასთან ერთად გადაადგილდება. ასეთი აგებულებიდან გამომდინარე, ამ არსებას რამდენიმე შეგრძნების ერთდროულად აღქმა არ შეუძლია. ლოტცეს მიაჩნდა, რომ გარემოსთან ყოველგვარ კავშირს მოწყვეტილი ამ არსებისთვის მისი ერთადერთი საცეცის დაგრძელების ან შეკუმშვის უნარი (კანტის მიერ ჩამოყალიბებული კატეგორიების მოშველიების გარეშე) სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მან გარემომცველი სამყარო შეიცნოს და უძრავი ნივთები მოძრავისგან განასხვაოს. ამ ჰიპოთეზამ ვაინგერის დიდი მოწონება დაიმსახურა და მისი სამედიცინო ფიზიოლოგიის 1852 წლის გამოცემაში შევიდა.

პანტერა

შუა საუკუნეებით დათარიღებულ და მითოლოგიურ ცხოველთა სამყაროსადმი მიძღვნილ ნაწერებში, სიტყვა „პანტერა“ სულ სხვა ცხოველს გულისხმობს და ის საერთოდ არ ჰგავს თანამედროვე ზოოლოგიის მიერ აღწერილ ხორცისმჭამელ ძუძუმწოვარს. არისტოტელე წერდა, რომ თავისი კეთილსურნელებით ის სხვა ცხოველებს იზიდავდა. რომაელი მწერალი ელიანუსი, რომელსაც თანამედროვეები ბერძნული ენის სრულყოფილი ფლობისთვის „დათაფლულ ენად“ მოიხსენებდნენ, ამტკიცებდა, რომ ეს სუნი ადამიანებისთვისაც არანაკლებ საამური იყო (ამ თვისებას რაც შეეხება, მავანთა აზრით, ელიანუსს აქ პანტერა აზიურ ვივერაში შეეშალა). პლინიუსი წერდა, რომ პანტერას ზურგზე ერთი მრგვალი ლაქა ჰქონდა, რომელიც მთვარის ფაზების შესაბამისად იზრდებოდა ან პატარავდებოდა. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ბერძნული სეპტუაგინტა ერთ ადგილას სიტყვა პანტერას იესო ქრისტესთან მიმართებაში იყენებს (ოსია, 5:14).

ანგლოსაქსურ მითოლოგიურ კრებულში, რომელიც ექსეტერის წიგნის სახელწოდებით არის ცნობილი, პანტერა ეულად მცხოვრები

და უწყინარი ცხოველია, მელოდიური ხმითა და სურნელოვანი ამონასუნთქით. ბუნაგს მთებში, მიუვალ ადგილებში იკეთებს. მისი ერთადერთი მტერი დრაკონია, რომელსაც გამუდმებით ებრძვის. სამი ღამე პანტერას გადაბმულად სძინავს და როდესაც სიმღერით იღვიძებს, მისი ნაზი ხმითა და სასიამოვნო სურნელით მოხიბლული ადამიანები და ცხოველები მახლობელი მინდვრებიდან, ქალაქებიდან და სასახლეებიდან მისკენ მოილტვიან. დრაკონი, პანტერას დაუძინებელი მტერი, დემონის სიმბოლოა, გამოღვიძება – უფლის აღდგომისა, ხალხი, რომელიც მისკენ მოილტვის – მისი მრევლია, ხოლო თავად პანტერა – იესო ქრისტე.

აღსანიშნავია, რომ ანგლოსაქსები პანტერას ველურ მხეცად კი არა, ეგზოტიკურ ჰანგად აღიქვამდნენ, რომელსაც რაიმე ხელშესახები გამოსახულება საერთოდ არ ჰქონდა. არც იმის გახსენება იქნებოდა ურიგო, რომ ელიოტის პოემაშიც “*Gerontion*” (1920) ვხვდებით ქრისტე-ვეფხვს. ლეონარდო და ვინჩი წერს: „აფრიკული პანტერა ძუ ლომს ჰგავს, მაგრამ მასთან შედარებით უფრო გრძელი ფეხები და ნაზი სხეული აქვს. თეთრი ტყავი შავი ლაქებით დაფარვია, რომლებიც ორნამენტებს მოგვაგონებენ. თავისი სილამაზით სხვა ცხოველებს ხიბლავს და რომ არა მისი საზარელი გამოხედვა, ალბათ მუდმივად წრეში ეყოლებოდათ მოქცეული. პანტერამ კარგად უწყის ამის შესახებ და ამიტომ ხშირად თვალებს დაბლა ხრის. ცხოველები თანდათან უახლოვდებიან, რათა ბოლომდე დატკბნენ მისი მშვენიერებით, ის კი ყველაზე ახლოს მყოფს პირს სტაცებს და სანსლავს“.

პერიციები

როგორც ჩანს, ერითრეელმა სიბილამ თავის ერთ-ერთ ორაკულში იწინასწარმეტყველა, რომ რომს პერიციები დაანგრევდნენ. როდესაც ეს ორაკული ახ.წ.აღ. 671 წელს გაუჩინარდა (შემთხვევით ხანძარს ემსხვერპლა), მათ, ვინც მისი ხელახლა შედგენა ითავა, მხედველობიდან გამორჩათ ეს წინასწარმეტყველება, ამიტომ ახალ კრებულში, ინფორმაცია მის შესახებ აღარ მოიპოვება.

საჭირო გახდა დამატებითი წყაროს პოვნა, რომელიც საქმეს მეტ სინათლეს მოჰფენდა. დიდი ძალისხმევის შედეგად მოძიებულ იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც XVI საუკუნეში მავან რაბინს ფეზიდან (დიდია იმის ალბათობა, რომ საუბარია რაბინ აარონ-ბენ ხაიმზე) ფანტასტიკური ცხოველების შესახებ მცირე მოცულობის წიგნი გამოუქვეყნებია, რომელშიც ის არაბი ავტორის თხზულებას ახსენებს და ამ უკანასკნელში ჩვ.წ.აღ. 640 წელს ხალიფა ომარის მიერ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დაწვის შემდეგ პერიციათა შესახებ არსებული წინასწარმეტყველების დაკარგვის ფაქტია აღწერილი.

მართალია რაბინი არაბი ავტორის სახელს არ ახსენებს, მაგრამ ამის სანაცვლოდ ის ნაწარმოების რამდენიმე აბზაცს ციტირებს და ამით პერიციათა შესახებ მეტად საჭირო ინფორმაციას გვაძლევს.

სხვა წყაროების უქონლობის გამო, უმჯობესი იქნება, თუ შესაბამის აბზაცებს ჩვენც სიტყვა-სიტყვით მოვიყვანთ:

„...პერიციები ატლანტიდაზე ბინადრობენ და ირმისა და ფრინველის ნაჯვარს წარმოადგენენ. ირმისგან მათ თავი და ფეხები ერგოთ, სხეულის დანარჩენი ნაწილები კი ფრინველისა აქვთ.

...მათ ის უცნაურობა ახასიათებთ, რომ მათი ჩრდილი სხეულს არ შეესაბამება და მას ადამიანის ფორმა აქვს. მავანნი აქედან ასკვნიან, რომ პერიციები იმ ადამიანთა სულები არიან, რომლებიც იმ ადგილებში დაიხოცნენ, სადაც მათი ღმერთების მფარველი ხელი ვერ წვდებოდა...

...მათ მშრალი მიწის ჭამისას წაასწრეს...

...ისინი გუნდებად დაფრინავენ და ჰერკულესის სვეტებზე მაღლა ასულებიც კი უნახავთ...

...ისინი (პერიციები) ადამიანთა მოდგმის დაუძინებელი მტრები არიან. როდესაც ვინმეს სიცოცხლეს გამოასალმებენ, მათი ჩრდილი მსხვერპლის ფორმას იღებს, რითაც ღმერთების კეთილგანწყობას მოიპოვებენ.

...ერთხელ, როდესაც სციპიონის ლაშქარი კართაგენის დასაპყრობად ზღვის გადასერვას ლამობდა, მათი ეს ძალისხმევა კინაღამ მარ-

ცხით დასრულდა. რადგან უეცრად, არავინ იცის საიდან, თავს დაესხათ პერიციების მრავალრიცხოვანი გუნდი, რომელმაც ძალიან ბევრი მებრძოლი დახოცა...

...მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი იარაღი უძლურია პერიციების წინააღმდეგ, თითოეულ ცხოველს მხოლოდ ერთი ადამიანის მოკვლა შეუძლია...

...ის მისი მსხვერპლის სისხლში გორავს, რის შედეგადაც უფრო მაღლა ფრენა შეუძლია...

...რავენაში, სადაც ისინი სულ რამდენიმე წლის წინ უნახავთ, ამბობენ, რომ მათ ლაჟვარდისფერი ბუმბული აქვთ, რამაც საგონებელში ჩამაგდო, რადგან მე წამიკითხავს, რომ ის მუქი მწვანეა...“

მიუხედავად იმისა, რომ ეს გადმოცემა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პერიციებზე, დასანანია, რომ დრომ სხვა წყაროები არ შემოგვინახა. რაბინის ეს პატარა წიგნი, რომელმაც პერიციების დახასიათების შესაძლებლობა მოგვცა, პირველ მსოფლიო ომამდე მიუნხენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ახლა ისიც დაკარგულია და არავინ იცის, რისი ბრალია ეს – დაბომბვის თუ ნაცისტების მიერ გაცემული ბრძანების.

თუ ამის მიზეზი დასახელებულთაგან უკანასკნელია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს წიგნი ისევ გამოჩნდება და მსოფლიოს რომელიმე ბიბლიოთეკას გაამდიდრებს.

პიგმეები

ძველ ხალხს მიაჩნდა, რომ ინდოეთსა და ეთიოპიას შორის სახლობდა ჯუჯა ადამიანთა რასა (პლინიუსის გადმოცემით სულ რაღაც ოცდაშვიდი ინჩის სიმაღლისა). ზოგიერთი ავტორის მონათხრობით, ისინი სახლებს კვერცხის ნაჭუჭისგან იშენებდნენ; სხვები, მაგალითისთვის არისტოტელე, წერდა, რომ მიწისქვეშა გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. პურის ყანა რომ გადაევლოთ, ისინი ნაჯახებით იარაღდებოდნენ და გზის გასაკვალად თავთავებს ისე ჭრიდნენ, თითქოს უსიერ ტყეში ხეებს კაფავენო. პიგმეები ცხვრებზე და თხებზე

ამხედრებულნი გადაადგილდებოდნენ, რადგან აღნაგობა მათ ამის საშუალებას აძლევდა. პიგმეებს ყოველ წელიწადს თავს ესხმოდა სადღაც რუსეთის შორეული სტეპებიდან მოფრენილი წეროების გუნდი.

პიგმეა ერქვა ასევე ღვთაებას, რომელსაც კართაგენელები თავიანთი საომარი გემების კიჩოზე მტრის შესაშინებლად ამოკვეთდნენ ხოლმე.

რემორა

რემორა ლათინურად დაბრკოლებას, შეფერხებას ნიშნავს. და ეს სახელი ეჰანს იმიტომ შეურჩიეს, რომ მას სწორედ ხომალდების დაბრკოლებაში ედებოდა ბრალი. დღეს ყველაფერი საპირისპიროდ არის. რემორა თევზის სახელწოდებაა, „დაბრკოლება“ კი მისი მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობაა. რემორა ერთი ფერფლისფერი თევზია, თავსა და კისერზე ოვალური ფარით, რომლის ხრტილოვანი ფურცლები წყალში მყოფ სხვა სხეულებს ეწებება. პლინიუსი ასე აღწერს მის ამ უნარს:

„არსებობს ერთი თევზი, სახელად რემორა, რომელიც ქვებს შორის დაძრომიალობს. ის ხომალდის კილს მიეწებება ხოლმე და ამით მის სიჩქარეს ანელებს. სწორედ ამის გამო შეერქვა მას ეს სახელი და ავტორიტეტიც ამ თვისებამ შეულახა. გარდა ამისა, მას სიყვარულშიც მარცხი მოაქვს. მისით აჯადოებენ მამაკაცებს და ქალებს, უნელებენ ტრფობის სურვილს და უხშობენ ვნებას. რემორას წარუმატებლობა მოაქვს სასამართლო საქმეებშიც, აჭიანურებს რა გადაწყვეტილების მიღებას და სამართლის პოვნას. მაგრამ ამდენ უარყოფითთან ერთად, მას ერთი დადებითი თვისებაც აქვს: თუ ორსული ქალი რემორას მუცელზე მიიდებს, ის დედის საშოში სახიფათო სისხლდენას შეაჩერებს და ბავშვი უდღეური აღარ დაიბადება. რემორას ხორცი საკვებად არ გამოიყენება. არისტოტელე ვარაუდობს, რომ მას უამრავი ფეხი აქვს, რადგან რემორას ხშირი ფარფლები ფეხებს მოგვაგონებს“.

საკითხავია, რა კავშირია ხომალდების ცურვის შენელებას, საპროცესო საქმის შეფერხებასა და ცოცხალი არსებების დაბადების შეყოვნებას შორის.

პლინიუსი სხვა ადგილას მოგვითხრობს, რომ ერთ რემორას რომის იმპერიის ბედ-იღბალიც კი გადაუწყვეტია, რადგან აქციუმის ბრძოლის წინ მას ის გალერა შეუჩერებია, რომლიდანაც მარკუს ანტონიუსი თავის ფლოტს ათვალიერებდა; მეორე რემორას გამო კი, ოთხასი მენიჩბის თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, კალიგულას ხომალდი ადგილიდან ვეღარ დაუძრავთ. „ქარები ქრიან და ქარიშხლები მძვინვარებენ“, გაიძახის პლინიუსი, „მაგრამ რემორა უმკლავდება მათ ძლიერებას, უბრძანებს ხომალდებს შეწყვიტონ ცურვა და იმას აღწევს, რასაც ვერც ერთი ღუზა და ვერც ერთი ბაგირი ვერ შეძლებდა“.

„განა ყოველთვის ძალა იმარჯვებს. დიდი ხომალდის ცურვის შეჩერება ერთ პატარა რემორასაც შეუძლია“, იმეორებს დიეგო დე საავედრა ფახარდო.

რვად განტოტილი გველი

იაპონურ კოსმოგენურ თქმულებებში შეხვდებით კოშის თავზარდამცემი გარეგნობის რვად განტოტილ გველს. მას ერთ ტანზე რვა თავი და რვა კუდი აბია, თვალები კი ალუბლებივით წითლად უღუის. ზურგზე ნაძვები და ხავსი ეზრდება, ხოლო რვა შუბლზე – კეთილშობილი ნაძვები. თუ მისრიალებს, მისი სხეული რვა დაბლობსა და რვა გორაკს სწვდება. ის მუდამ სისხლითაა მოსვრილი. ქვეწარმავალმა შვიდ წელიწადში ერთი ხელმწიფის შვიდი ასული გადასანსლა და ის იყო „ბრინჯის ყანების ყვავილად“ წოდებული ნაბოლარას შესაჭმელად ემზადებოდა, რომ ერთმა ღვთაებამ, სახელად „მამაცმამრდმა-დაუდგრომელმა კაცმა“, მასთან შერკინება გაბედა და ქალწული სიკვდილს გადაარჩინა. ამ რაინდმა რვა პლატფორმა ააგო და ყველა მათგანი წრიულ ღობეში მოაქცია. თითოეულ პლატფორმაზე თითო ბრინჯის ლუდით სავსე კასრი დადგა. რვამაგი გველი მოვიდა,

თავები კასრებში ჩაყო, ლუდი გემრიელად მიირთვა და სულ მალე ღრმა ძილით დაიძინა. ამ დროს „მამაცმა-მარდმა-დაუდგრომელმა კაცმა“ მას რვავე თავი მოჰკვეთა. ჭრილობებიდან სისხლის მდინარეებმა იფეთქა. ქვეწარმავლის ერთ-ერთ კუდში იმალებოდა ხმალი, რომელიც დღეს აცუტას ტაძარშია დაცული და მას როგორც სიწმინდეს, ისე სცემენ თაყვანს. ეს ამბავი ერთ მთაზე მოხდა, რომელსაც მაშინ გველის მთას, ახლა კი რვა ღრუბლის მთას უწოდებენ. რვა იაპონიაში წმინდა რიცხვია და სხვაგვარად ბევრს ნიშნავს. ამ ქვეყნის ქაღალდის ფული დღესაც შეგვახსენებს რვამაგი გველის სიკვდილის ამბავს.

მოდით, იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მეფის ასულის მხსნელმა ის, როგორც წესი, ცოლად შეირთო, ისევე როგორც პერსევსმა ანდრომედა.

პოსტ უილერი თავის კოსმოგონიებისა და თეოგონიების ინგლისურენოვან გამოცემაში (ნიუ-იორკი, 1952) მოიხსენიებს მონათესავე თქმულებებს ჰიდრაზე, ფაფნირსა და ეგვიპტურ ქალღმერთ ჰათორზე, რომელმაც ერთი ღმერთი სისხლისფერი ლუდით დაათრო, რათა ადამიანთა მოდგმა განადგურებისგან გადაერჩინა.

სალამანდრა

სალამანდრა მხოლოდ პატარა, ცეცხლის ბინადარი დრაკონი როდია; ის ასევე (თუ ესპანური ენის აკადემიური ლექსიკონი არ ცდება) „სიმეტრიული ყვითელი ლაქებით დაფარული შავი და პრიალა კანის მქონე ხვლიკია, რომელიც მწერებით იკვებება“. მისი ამ ორმაგი ბუნებიდან უფრო მეტად ისაა ცნობილი, რომლის შესახებაც ლეგენდები გვიყვება. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ჩვენს პატარა წიგნშიც მასზე გვექნება საუბარი.

ისტორიის X თავში პლინიუსი ამბობს, სალამანდრა ისეთი ცივია, რომ უბრალო შეხებითაც კი ცეცხლს აქრობსო; XXI თავში ის კვლავ უბრუნდება ამ თემას, ამჯერად უკვე ერთობ სკეპტიკურად განწყობილი,

და ამბობს, რომ ჯადოქრების თქმით, სალამანდრას ხანძრის ჩაქრობის იშვიათი უნარი გააჩნიაო. XI თავში ის ერთგვარი ოთხფეხა ფრთოსანი არსების შესახებ მოგვითხრობს. მას „*pyrausta*“-ს უწოდებენ და იგი კვიპროსის სამჭედლოებში მოგიზგიზე ცეცხლის შუაგულში ცხოვრობს. როგორც კი ის კოცონს მიატოვებს და გარეთ გამოფრინდება, მაშინვე უსულოდ ეცემა მიწაზე. ერთი მოგვიანებით დათარიღებული მითი სალამანდრაზე, ამ მივიწყებულ არსებაზე მოგვითხრობს.

თეოლოგებს ხშირად მოჰყავთ ფენიქსი იმის მაგალითად, რომ სხეულის აღდგომა შესაძლებელია; სალამანდრა კი იმის დასტურია, რომ სხეულს ცეცხლში ცხოვრება შეუძლია. ნნეტარი აუგუსტინეს ღვთის ქალაქის შესახებ XXI წიგნში ერთი თავია, სახელწოდებით „შეუძლია თუ არა სხეულს ცეცხლში გაძლება“, რომელიც ასე იწყება: „რატომ უნდა ვცდილობდე ამის დამტკიცებას, თუ არა ურწმუნოთა დასარწმუნებლად, – რომ ადამიანთა სულჩადგმულ, ცოცხალ სხეულებს არა მარტო უკვდავება ძალუძთ, არამედ შეუძლიათ მარადიული ცეცხლით წამებასაც გადაურჩნენ. მათ არ აკმაყოფილებთ, რომ ჩვენ ამ სასწაულს უფლის ძლევამოსილებით ვხსნით, ამის დადასტურებას მაგალითით მოითხოვენ. ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ ნამდვილად არსებობენ ცხოველები, რომლებიც შეიძლება გაიხრწნან კიდეც, იმიტომ რომ მოკვდავნი არიან, მაგრამ ამავე დროს შუაგულ ცეცხლშიც ცხოვრობდნენ“.

შთაბეჭდილების გასამძაფრებლად ფენიქსისა და სალამანდრას ალეგორიას პოეტებიც ხშირად მიმართავენ. მათ შორისაა კევედოც. მისი ერთ-ერთი, სიყვარულისა და სილამაზისთვის ხოტბისშემსხმელ სონეტში ესპანური პარნასის IV ტომიდან, ვკითხულობთ:

„მე მწამს მწველ ალში ჩასახლებულ ფენიქსის, ცეცხლის,
სადაც ვიშვები, ვიბადები, ხელახლა ვჩნდები,
მამაკაცური სიძლიერე რო არის ხვედრი,
მწამს იმ ცეცხლისა, ვინც მამაა, ვინც ცხოვრობს ჩემში.
ვბედავ დავიცვა სალამანდრა, არსება ცივი,
რომელსაც ერთხმად უარყოფენ მცოდნე კაცები,

რადგან ხანძრებში, მწყურვალივით რომ ვეწაფები,
ჩემი გული ძევს, და მათ ვერ გრძნობს, ცხოვრობს, არ იწვის“.

XII საუკუნის შუა წლებში ევროპის ქვეყნებში ერთი ყალბი უსტარი გავრცელდა, რომელიც ვითომდა მეფე-ხუცესმა იოანემ გაუგზავნა ბიზანტიის კეისარს. ეს უსტარი, დაუჯერებელ არსებათა ჩამონათვალი, მოგვითხრობს გოლიათ ჭიანჭველებზე, რომლებიც ოქროს საბადოებს თხრიან, ქვის მდინარეებსა და ცოცხალი თევზით სავსე ქვიშის ოკეანეებზე, ვეებერთელა სარკეზე, რომელშიც ყველაფრის დანახვა შეიძლება, რაც სამეფოში ხდება, ზურმუხტისგან გამოთლილ კვერთხზე, კენჭებზე, რომლებიც ადამიანებს უჩინარებად აქცევენ ან ღამეულ გზას უნათებენ. მის ერთ-ერთ აბზაცში კი ვკითხულობთ:

„ჩვენს ქვეყანაში ერთი მუხლუხო ცხოვრობს, რომელსაც სალამანდრა ჰქვია. სალამანდრები ცეცხლში ცხოვრობენ და აბრეშუმის ძაფებს ართავენ, რომლებსაც სასახლის კარის ქალბატონები აგროვებენ, გორგლებად ახვევენ და მისგან სამოსისთვის ქსოვილებს ამზადებენ. ამ ქსოვილებს გასარეცხად და გასაწმენდად ცეცხლში ყრიან“.

ქსოვილებს, რომელთაც ცეცხლი არ ეკიდებათ, პლინიუსი (XIX, 4) და მარკო პოლოც (XXXIX) მოიხსენიებენ. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ „სალამანდრა ნივთიერებაა და არა ცხოველი“. თავდაპირველად მისი არავის სჯეროდა; აზბესტისგან დამზადებულ ქსოვილებს სალამანდრას ტყავად ასაღებდნენ და ამით სალამანდრას არსებობის უდავო საბუთს იძლეოდნენ.

ბენვენუტო ჩელინის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ხუთი წლისას მას ცეცხლში მოთამაშე მომცრო ცხოველი უნახავს, რომელიც ხვლიკს ჩამოჰგავდა. ამის შესახებ მან მამას უამბო, მან კი აუხსნა, რომ ცხოველს სალამანდრა ერქვა და გემრიელი სილაც გააწნა, რათა ეს იშვიათი სანახაობა სამუდამოდ დამახსოვრებოდა.

ალქიმიის სიმბოლიკაში სალამანდრები ცეცხლის ელემენტარული სულები არიან. აქედან და აგრეთვე არისტოტელეს დასკვნიდან, რომელიც ციცერონმა თავის ტრაქტატში ღმერთების ბუნების შესახებ მომავალი თაობებისთვის ჩაინიშნა, თვალნათლივ ჩანს, თუ რატომ სწამდათ ადამიანებს სალამანდრას არსებობის. სიცილიელმა

მკურნალმა ემპედოკლე აგრიგენტელმა ჩამოაყალიბა „არსობის ოთხი ფესვის“ თეორია, რომლის მიხედვითაც მათი ერთმანეთისგან დაშორება, ან ერთმანეთთან დაკავშირება – გამოწვეული სიძულვილისა და სიყვარულისგან – მსოფლიო პროცესებს წარმართავენ. ამ ფესვების განადგურება შეუძლებელი გახლდათ. შესაძლებელი მხოლოდ რომაელთა მიერ „ელემენტებად“ მონათლული მათი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთისგან დაშორება იყო. ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცით (ან გვგონია, რომ ვიცით), რომ ეს დოქტრინა მცდარია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვენი მისით აღტაცებულნი იყვნენ, და სიმართლე რომ ვთქვათ, მას არაერთი დადებითი მხარე გააჩნდა. „ოთხ ელემენტს“, რომლებიც სამყაროს ქმნიან და ჩვეული ფორმით ინარჩუნებენ, და რომლებმაც ხალხის წარმოდგენებსა და ლექსებში ჰპოვეს უკვდავება, გრძელი და ცნობილი ისტორია აქვს“, – წერდა თეოდორ გომპერცი. დოქტრინა ოთხივე ელემენტს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა. თუკი წყლისა და ხმელეთის ცხოველები არსებობდნენ, მაშინ, ცხადია, ცეცხლის ბინადარ ცხოველებსაც უნდა ეარსებათ. მეცნიერების ღირსების დასაცავად ამიტომაც იყო ასეთი აუცილებელი სალამანდრას არსებობა.

ერთ-ერთ თავში ისიც კი წერია, რომ არისტოტელეს ცხოველების ჰაერიდან შექმნა შეეძლო.

ლეონარდო და ვინჩი ფიქრობდა, რომ სალამანდრა ცეცხლით იკვებებოდა, რაც მას ტყავის გამოსაცვლელად სჭირდებოდა.

სამფეხა სახედარი

პლინიუსი ამტკიცებს, რომ ზარატუსტრამ, რომლის მიერ დაფუძნებულ რელიგიას დღესაც მისდევენ ბომბეის პარსები, ორი მილიონი ლექსი დაწერა. არაბი ისტორიკოსი ალ თაბარი ამტკიცებს, რომ მორწმუნე მწერალთაგან გადაწერილ სრულ კრებულს, რათა ის მომავალ თაობებს შემონახვოდა, თორმეტი ძროხის ტყავი დასჭირდა. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა პერსეპოლისში ამ პერგამენტე-

ბის დაწვა ბრძანა, მაგრამ მოგვების მეხსიერების წყალობით მოხერხდა ძირითადი ტექსტების აღდგენა და შემონახვა; მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული მათ ენციკლოპედიური ხასიათის ნაწარმოებით, ბუნდადიშით ავსებენ, რომელშიც ასეთ რამეს ამოვიკითხავთ:

„სამფეხა სახედარზე ამბობენ, რომ ის შუაგულ ოკეანეში დგას, სამი - მისი ჩლიქების რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვია, ექვსი – თვალების, ცხრა – პირის, ორი – ყურების. მას მხოლოდ ერთი რქა და თეთრი ბეწვი აქვს, ხოლო მისი საკვები სულიერია. ხასიათით ის სამართლიანია. ექვსი თვალიდან ერთი წყვილი თვალების ადგილას უზის, ორი – ზემოთ, თავზე, ორიც – კეფაზე. ვისაც ამ ექვსივე თვალს მიაშტერებს, წამსვე იმონებს და ანადგურებს. ცხრა პირიდან სამი თავზე აქვს, სამი კეფაზე და სამიც ფერდებზე. მისი თითო ჩლიქი, რომელსაც დედამიწაზე ადგამს, ათასი ცხვრისგან შემდგარი ფარის ადგილს იკავებს, მისი დეზის ქვეშ კი ათას მხედარს შეუძლია მოძრაობა. რაც შეეხება მის ყურებს, მათ მაზანდარანის დაფარვა შეუძლიათ. მისი ფუტურო რქა გარეგნულად ოქროსას ჰგავს და ათასობით პატარა რქადაა დატოტვილი. ამ რქის მეშვეობით ის ბოროტმოქმედებს ამარცხებს და იგერიებს“.

ქარვაზე ამბობენ, რომ სამფეხა სახედრის ჩონჩორიკია. მაზდეანური მითოლოგიის მიხედვით სამფეხა სახედარი ქველმოქმედი ურჩხულია, სინათლის, სიცოცხლისა და სიმართლის მბრძანებლის აჰურა მაზდას ერთ-ერთი თანაშემწე.

სარატანი

არსებობს ერთი ლეგენდა, რომელსაც თითქმის ყველა ქვეყნისა და ყველა დროის გადმოცემებში ვხვდებით: მეზღვაურები უცხო და უსახელო კუნძულზე გადმოსხდებიან, რომელიც მათთან ერთად იძირება, რადგან ეს კუნძული, არც მეტი არც ნაკლები, ცოცხალი არსებაა. ამ გამონაგონ კუნძულს სინდბადის პირველ მოგზაურობაშიც ვხვდებით და შმაგი ორლანდოს VI სიმღერაშიც „ჩვენ ის პატარა კუნძული

გვეგონა“ („*Ch’ella sia una isoletta ci credemo*“); ირლანდიურ თქმულებაში წმინდა ბრენდანის შესახებ და ალექსანდრიაშიც, მითოლოგიური არსებების ბერძნულ ჩამონათვალში; შვედი პრელატის ოლაო მაგნუსის ჩრდილოეთის ხალხების ისტორიაში (რომი, 1955) და დაკარგული სამოთხის პირველი ქების იმ სტრიქონებშიც, სადაც გაქვავებული სატანა ნორვეგიის ზღვის ქაფში მთვლემარე უზარმაზარ ვეშაპთანაა შედარებული.

პარადოქსულია, რომ ამ ლეგენდის პირველივე ვერსიის დამაჯერებლობას ეჭვქვეშ აყენებენ. მუსლიმანი ზოოლოგის ალ-ჯაჰიზის ცხოველების წიგნში ვკითხულობთ:

„რაც შეეხება სარატანს, არასოდეს მსმენია, რომ ვინმეს ის საკუთარი თვალით ენახოს. რამდენიმე მეზღვაურის მტკიცებით, ისინი ყოფილან ტყეებით, ტაფობებითა და ხეობებით დაფარულ კუნძულებზე, სადაც დიდი კოცონი დაუნთიათ; როდესაც ცეცხლს სარატანის ზურგში ჩაუღწევია, მას გაუცურავს და მეზღვაურებიც და ყველა ის მცენარეც, რომელიც მის ბაკანზე იზრდებოდა, თან გაუყოლებია. მეზღვაურთაგან ცოცხალი ის გადარჩენილა, ვისაც დროულად უშველია თავისთვის. ეს მონათხრობი ყველაზე დაუჯერებელია დაუჯერებელთა შორის“.

მოდით, აქვე კიდევ ერთი ლეგენდა გავიხსენოთ, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება. კოსმოგრაფი ალ-ყაზვინი თავის თხზულებაში სასწაული შემოქმედებისა ასეთ რამეს გვიყვება:

„რაც შეეხება ზღვის კუს, ის ისეთი უშველებელია, რომ ხომალდებზე მყოფთ კუნძული ჰგონიათ. ერთმა მოგზაურმა ვაჭარმა გვიამბო: „ზღვაში ერთი მწვანით დაფარული კუნძული აღმოვაჩინეთ. გადავედით კუნძულზე და ორმოების თხრა დავიწყეთ, ცეცხლის დანთება და რამე წვნიანის მომზადება გვინდოდა. უცებ კუნძული შეინძრა, მეზღვაურებმა იყვირეს, უკან დაბრუნდით, ეს კუნძული კი არა ზღვის კუ ყოფილა, ჩვენი კოცონების სიმხურვალემ ის გააღვიძა და ახლა სიკვდილისგან ვეღარაფერი გვიხსნის“.

ეს ამბავი კიდევ ერთხელ გვხვდება წმინდა ბრენდანის საზღვაო მოგზაურობაში: „...და შემდეგ ისინი დიდხანს მიცურავდნენ ზღვაში

და ბოლოს და ბოლოს, ხმელეთს მიადგნენ, მაგრამ რადგან ზოგიერთ ადგილას წყალი მარჩხი იყო, ზოგან კი უზარმაზარი ლოდები ეყარა, ერთ კუნძულზე გადმოვედით, რომელიც უსაფრთხო გვეჩვენა, ცეცხლი გავაჩაღეთ და საჭმლის მომზადებას შევუდექით, მაგრამ წმინდა ბრენდანი ხმელეთზე არ გადმოსულა, ხომალდზე დარჩა. ცეცხლი კარგად რომ აბრიალდა და ხორციც ის-ის იყო აშიშხინდა, კუნძული შეინძრა. ბერები საშინლად დაფრთხნენ, კოცონი და ხორცი მიატოვეს და კუნძულის უეცარი ამოძრავებით შეშინებულებმა გემისკენ მოკურცხლეს. წმინდა ბრენდანმა კი ისინი დაამშვიდა და აუხსნა, რომ ეს იყო უზარმაზარი თევზი ჯასკონი, რომელიც დღედაღამ იმის მცდელობაში იყო, როგორმე თავისი კუდი პირით მოეხელთებინა, მაგრამ სიდიდის გამო ამას ვერ ახერხებდა“.

ანგლოსაქსურ ექსეტერის წიგნში, ურჩხულთა ჩამონათვალში, ნათქვამია, რომ ეს საშიში კუნძული „ვერაგობით განთქმული“ ვეშაპია, რომელსაც ადამიანები განზრახ შეჰყავს შეცდომაში. როგორც კი ხანგრძლივი მოგზაურობისგან დაღლილი მეზღვაურები შესასვენებლად მის ზურგზე ჩამოსხდებიან, ვეშაპი მაშინვე ჩაყვინთავს და მეზღვაურებს ახრჩობს. ურჩხულთა ბერძნულ ჩამონათვალში ვეშაპი იმ უზნეო ქალის სიმბოლოა, რომელიც სოლომონის იგავთა კრებულში გვხვდება („ფეხებს სიკვდილში ჩაჰყავს ის. მისი ნაბიჯები სამარისკენ მიემართება“), ანგლოსაქსურში – ეშმაკეულისა და ბოროტის. ამ სიმბოლურ სახეს ის მობი დიკშიც ინარჩუნებს, რომელიც ათი საუკუნის შემდეგ დაიწერა.

სარკისეული არსებები

Lettres édifiantes et curieuses-ს ერთ-ერთ გამოცემაში, რომელიც პარიზში მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გამოდიოდა, იეზუიტების ორდენის მისიონერმა მამა სალინჟემ აზრი გამოთქვა კატალოგის შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდოდა კანტონის პროვინციაში მცხოვრებ უბრალო ხალხში გავრცელებული წარმოდგენები და

ცრურწმენები. კატალოგის პირველ ვერსიაში თევზის შესახებ ვკითხულობთ, რომ ის არის სლიპინა და ბრჭყვიალა არსება, რომლის დაჭერაც მართალია ჯერ ვერავინ მოახერხა, მაგრამ სამაგიეროდ არაერთ ადამიანს (მათ სიტყვებს თუ დავუჯერებთ) დაუნახავს სარკეების სიღრმეში. მამა სალინჟე 1736 წელს გარდაიცვალა და მისი ნაშრომი დაუსრულებელი დარჩა. დაახლოებით 150 წლის შემდეგ ჰერბერტ ალენ ჯაილესმა შეძლო შეწყვეტილი ნაშრომის დასრულება. ჯაილესის მიხედვით, თევზის ამბავი მხოლოდ ნაწილია იმ შედარებით დიდი თქმულებისა, რომელიც ლეგენდარული ყვითელი იმპერატორის მმართველობის დროიდან იღებს სათავეს.

იმ ძველ დროში, დღევანდელისგან განსხვავებით, ადამიანებისა და სარკეების სამეფო გამიჯნული იყო. თუმცაღა ეს სამეფოები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. არც მათი ბინადრები, არც მათი გამოსახულებები და არც ფერები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ორივე სამეფო, ადამიანურიც და სარკისეულიც, ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ, სარკეებში კი თავისუფლად შესვლა და გამოსვლა შეიძლებოდა. ერთ ღამეს, სარკისეული სამეფოს ბინადარნი სარკეებიდან გამოვიდნენ და ადამიანთა სამეფოს დაესხნენ თავს. მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა, რამდენიმე სისხლიანი ბრძოლის შემდეგ ყვითელმა იმპერატორმა თავისი ჯადოსნური ძალისა და ხერხის გამოყენებით იმარჯვა და დაამარცხა ისინი. მან მომხვდურნი ისევ უკან, სარკეებში შერეკა და უბრძანა, ამიერიდან, როგორც ერთგვარ მუდმივ სიზმარში მყოფთ, მხოლოდ ადამიანთა მოქმედებები გაემეორებინათ; წაართვა მათ ძალა, გარეგნული იერი და მონებად აქცია. მაგრამ დადგება დრო და ისინი ამ ჯადოსნური ძილიდან გამოფხიზლდებიან. პირველი თევზი გაიღვიძებს. სარკის სიღრმეში ჩვენ შევნიშნავთ წვრილ ზოლს, რომლის ფერიც ჩვენთვის ნაცნობი არც ერთი ფერის მსგავსი არ იქნება. ამის შემდგომ ერთიმეორის მიყოლებით სხვა არსებებიც გაიღვიძებენ. თანდათანობით ისინი საკუთარ სახეს დაიბრუნებენ და ჩვენი ასლები აღარ იქნებიან. ისინი დაამსხვრევენ და

მოშლიან შუშისა და რკინის ზღუდეებს და მათი დამარცხება უკვე შეუძლებელი გახდება. ამ ბრძოლაში წყლის არსებები სარკისეულ არსებებს მიემხრობიან.

იუნანში ხალხი თევზის ნაცვლად სარკისეული ვეფხვის შესახებ ჰყვება. დანარჩენებს კი სწამთ, რომ აჯანყების წინ სარკეების სიღრმეებიდან იარაღის ჩხარუნს გავიგონებთ.

სატირები

ამ სახელით მათ ბერძნები მოიხსენიებდნენ. რომში მათ ფაუნებს, პანებსა და სილვანებს უწოდებდნენ. ისინი წელს ქვემოთ თხები იყვნენ. ტანი, მკლავები და სახე ადამიანისა ჰქონდათ, თუმცა თმით დაფარული; ყურები წაწვეტებული ჰქონდათ, ცხვირი – მოკაუჭებული, შუბლზე კი ორი მომცრო რქა ადგათ. ამასთან, ავხორცები იყვნენ და ღვინოს ეტრფოდნენ. სატირები თან ახლდნენ ბახუსს ინდოეთის „მშვიდობიანი დაპყრობისას“. ისინი უსაფრდებოდნენ და იჭერდნენ გულუბრყვილო ნიმფებს; უყვარდათ ცეკვა და სალამურზეც ოსტატურად უკრავდნენ. სოფლელები თაყვანს სცემდნენ მათ და უშურველად უნაწილებდნენ ახალ მოსავალს. ხშირად ბატკნებსაც კი იმეტებდნენ მათთვის შესაწირად.

ერთი თქმულება მოგვითხრობს, რომ ოდესღაც თესალიაში, ამ ნახევარღვთაებათაგან ერთ-ერთი სულას ჯარისკაცებმა გამოქვაბულში მძინარე შეიპყრეს და თავიანთ მხედართმთავარს მიჰგვარეს. სატირი დაუნაწევრებელ ბგერებს გამოსცემდა და ისეთი ამაზრზენი შესახედავი იყო და ისე ყარდა, რომ სულამ ბრძანება გასცა, დაუყოვნებლივ უკან, მთებში გაეშვათ.

სატირის გარეგნობამ გავლენა იქონია შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ ეშმაკის გამოსახულებაზე.

სვედენბორგის ანგელოზები

სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო ოცი წლის განმავლობაში ცნობილი სწავლული და ფილოსოფოსი ემანუელ სვედენბორგი (1688--1772) ლონდონში ცხოვრობდა. ვინაიდან ინგლისელები სიტყვანძუნწი ხალხია, სვედენბორგმა ანგელოზებთან და დემონებთან დაიწყო საუბარი. ღმერთმა მას უფლება მისცა ჯოჯოხეთში ჩასულიყო და მის ბინადრებს გასაუბრებოდა. სამოთხეში მოსახვედრად ადამიანის სული უცოდველი უნდა იყოსო, ამბობდა ქრისტე, სვედენბორგმა ამ აუცილებლობას გონიერებაც დაუმატა. მოგვიანებით კი ბლეიკმა განაცხადა, რომ სული აუცილებლად ხელოვნებისკენაც უნდა ყოფილიყო მიდრეკილი. სვედენბორგის ანგელოზები სულები არიან, რომელთაც სამუდამო სასუფევლად ზეციური სამეფო აირჩიეს. მათ საურთიერთოდ სიტყვები არ სჭირდებათ. საკმარისია ერთმა ანგელოზმა მეორეზე იფიქროს, ის დაუყოვნებლივ მასთან გაჩნდება. აქ, დედამიწაზე შეყვარებული წყვილისგან ზეცაში წარმოიშობა ერთი ანგელოზი. მათ სამყაროს სიყვარული მართავს. თითოეული ანგელოზი თავად არის სამოთხე. ანგელოზის სახე სრულქმნილი ადამიანის სახეა, ისევე როგორც თვით სამოთხისა. საითაც არ უნდა იყურებოდეს ანგელოზი – ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით, მისი სახე ყოველთვის ღმერთს უყურებს. ისინი არიან უპირველესი და წამყვანი თეოლოგები. ლოცვა და სულიერების საკითხებზე ბჭობა მათ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. მიწიერი მოვლენები ზეციური მოვლენების სიმბოლოებია: მზე – უფლის სახეა. ზეციურ სამეფოში დრო არ არსებობს. სამოთხის ბინადართა იერსახე მხოლოდ მათი განწყობის მიხედვით იცვლება. ანგელოზთა სამოსი მათი გონებრივი განვითარების მიხედვით ანათებს. ის, ვინც მიწაზე მდიდარია, ზეცაშიც მდიდარი იქნება, რადგან სიმდიდრესაა შეჩვეული. ზეცაში ნივთები, ავეჯი და ქალაქები ბევრად უფრო მყარი და რთული აგებულებისაა, ვიდრე დედამიწაზე. ფერებიც უფრო მრავალია და უფრო ხასხასა. ინგლისური წარმომავლობის ანგელოზებს მიდრეკი-

ლება აქვთ პოლიტიკისადმი, ებრაული წარმოშობისას – წვრილმანებით ვაჭრობისადმი, გერმანელები თან სქელ ფოლიანტებს დაატარებენ და კითხვაზე პასუხის გაცემამდე შიგ იხედებიან. რადგან მუსლიმანები მუჰამედს განადიდებენ, ღმერთმა მათ ანგელოზი აჩუქათ, რომელიც მას განასახიერებს. სულით მდაბალთ და ასკეტებს არა აქვთ უფლება სამოთხის სიამეებს ეზიარონ, რადგან ისინი მათ სათანადოდ მაინც ვერ დააფასებენ.

სვედენბორგის დემონები

ემანუელ სვედენბორგის (1688-1772) დემონები განსაკუთრებული ქმნილებები არ არიან. ისინი ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებიან. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთი აირჩიეს. მართალია, ისინი არც მის ჭაობებში, უკაცრიელ უდაბნოებში, უსიერ ტყეებში, გადაბუგულ დასახლებებში, საროსკიპოებსა და ბნელ ჯურღმულებში არიან ბედნიერები, მაგრამ სამოთხეში კიდევ უფრო უბედურები იქნებოდნენ. თუმცა ზოგჯერ მათ სამყოფელშიც ჩადის ზეციდან წამოსული სხივი, რომელიც დემონებს წვავს და იქაურობას მყრალი სუნით ავსებს. დემონებს მიაჩნიათ, რომ კარგად გამოიყურებიან, მაგრამ სინამდვილეში მათი უმეტესობა ურჩხულს ჰგავს, ზოგს კი სახის ნაცვლად უფორმო ხორცის მასა აქვს. ისინი გაუთავებელ სიძულვილსა და ომებში ცხოვრობენ და თუ გაერთიანდნენ, ეს იმის მაუწყებელია, რომ ან ერთმანეთის, ან ვინმე გარეშეს განადგურება აქვთ განზრახული. ღმერთი უკრძალავს ადამიანებსა და ანგელოზებს ჯოჯოხეთის რუკის შედგენას, მაგრამ ჩვენთვის ისედაც კარგადაა ცნობილი, რომ მისი მოხაზულობა დემონის კონტურებს ემთხვევა. ჯოჯოხეთის ყველაზე ამაზრზენი და საშინელი რეგიონები მის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

სითბური სხეულები

ვიზიონერისა და თეოსოფის რულდოლფ შტაინერის მიხედვით, ჩვენმა პლანეტამ, სანამ ის ჩვენთვის კარგად ცნობილი დედამიწა გახდებოდა, მზისა და სატურნის პლანეტარული მდგომარეობა გამოიარა. ადამიანი შედგება ფიზიკური, ეთერული, ასტრალური სხეულებისა და „მე“-სგან. სატურნის პლანეტარული მდგომარეობის დასაწყისში ის მხოლოდ ფიზიკური სხეულისგან შედგებოდა. ეს სხეული უჩინარი გახლდათ და მეტიც, მისი შეგრძნებაც შეუძლებელი იყო, რადგან იმ პერიოდისთვის დედამიწაზე არ არსებობდა გაზისებრი, თხევადი და მით უმეტეს, მყარი ნივთიერებები. მაშინ დედამიწაზე მხოლოდ სითბური სხეულები იყო, რომლებიც სითბოს ასხივებდნენ. კოსმოსურ სივრცეში არსებული სინათლე აძლევდა მათ სხვადასხვა ფორმას; თითოეული ადამიანი მხოლოდ სითბოსგან შედგებოდა. რუდოლფ შტაინერისეული ადამიანი სატურნის პლანეტარულ მდგომარეობაში ბრმა, ყრუ და უსხეულო ქმნილებაა. „სულისმეცნიერი მკვლევრისთვის ...სითბო წარმოადგენს ...გაზზე კიდევ უფრო მეტად ნატიფ სუბსტანციას...“ ვკითხულობთ იდუმალთმეტყველების ნარკვევის ერთ-ერთ გვერდზე. მზის პლანეტარული მდგომარეობის დასაწყისამდე ამ „ადამიანებს“ ცეცხლის სულებმა ან მთავარანგელოზებმა შთაბერეს სული, რის შემდეგაც მათ ციმციმი და ბრწყინვა დაიწყეს.

იქნებ ესიზმრა შტაინერს ეს ყველაფერი? იქნებ იმიტომ ესიზმრა, რომ მისი მონათხრობი ოდესღაც მართლაც რეალობა იყო? ამას ვერასოდეს შევიტყობთ. თუმცა ერთი რამ კი ცხადია: შტაინერისეული წარმოდგენა ბევრად უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე სხვა კოსმოგონიების დემიურგები, ქვეწარმავლები და ხარები.

სილფები

იმ ოთხივე ელემენტს, რომლებადაც ბერძნებმა მატერია დაყვეს, თავისი შესატყვისი სული ჰყავს. მიწას – გნომები, წყალს – ნიმფები,

ცეცხლს – სალამანდრები და ჰაერს – სილფები ან სილფიდები. ამ ინ-ფორმაციას ვპოულობთ XVI საუკუნის შვეიცარიელი ალქიმიკოსისა და ექიმის, პარაცელსუსის ნაშრომებში. სიტყვები – სილფები და სილფი-დები, ბერძნული წარმოშობისაა. ლიტრე სიტყვა „სილფის“ ეტიმო-ლოგიას კელტურ ენებში დაეძებდა, მაგრამ თითქმის შეუძლებელია, რომ პარაცელსუსს ასეთი ენების არსებობის შესახებ სცოდნოდა ან თუნდაც ევარაუდა.

დღეს სილფების არსებობისა აღარავის სჯერა, მაგრამ გაცვეთი-ლი გამოთქმა – „სილფისმაგვარი აღნაგობა“, ჯერ კიდევ გამოიყენე-ბა ტანწერწეტა ქალის ქათინაურად. სილფები მატერიალურ და არა-მატერიალურ არსებათა შორის მოქცეულ სივრცეში ბინადრობენ. გარდა ამისა, მათ ხშირად შეხვდებით რომანტიკულ პოეზიასა და ბა-ლეტში.

სიმორღი

სიმორღი უკვდავი ფრინველია, რომელიც შემეცნების ხის ტოტებ-ზე ბინადრობს. ბერტონი მას სკანდინავიურ არწივს ადარებს, რო-მელმაც, როგორც პოეტური ედა გვიამბობს, ბევრი რამ იცის და ბუდეს სიცოცხლის ხეზე, იგდრასილზე იკეთებს.

საუთის თალაბა (1801) და ასევე ფლობერი თავის წმინდა ანტო-ნიუსის ცდუნებაში მოიხსენიებენ სიმორღ ანკას. ფლობერმა ის დე-დოფალ შებას მსახურად ჩამოაქვეითა და მას გვიხასიათებს ადა-მიანისთავიან, ლითონივით მოელვარე ნარინჯისფერი ბუმბულით შემოსილ ფრინველად, რომელსაც სვავის კლანჭები და ფარშავანგის კუდი აქვს. ორიგინალურ წყაროებში სიმორღი უფრო მაღალ საფე-ხურზე დგას: ფირდოუსი თავის წიგნში შაჰნამე, სადაც ის ძველ ირა-ნულ თქმულებებს ლექსის ფორმით გადმოგვცემს, სიმორღს ზალის მამინაცვლად მოიხსენიებს, რომელიც, თავის მხრივ, პოემის გმირის მამაა. მეცამეტე საუკუნის პოეტის, ფარიდ ალ-დინ ათარის წიგნში ფრინველების გასაუბრება (*Mantiq al-Tayr*) კი სიმორღი ღვთაების სიმ-ბოლოა. ამ ალეგორიის თემა ოთხი ათას ხუთას სტროფს იკავებს და

საკმაოდ ორიგინალურია. ფრინველთა უძველესი მეფის, სიმორღის ერთი ბუმბული ჩინეთში ჩავარდება. ერთმანეთში გამუდმებული კინკლაობით დაღლილი ფრინველები სიმორღის მოძებნას გადაწყვეტენ. მათ იციან, რომ თავიანთი მეფის სახელი „ოცდაათ ფრინველს“ ნიშნავს და რომ ის კაფში ბინადრობს. თავდაპირველად რამდენიმე ფრინველი ამ წამოწყებიდან თავს შორს დაიჭერს: ბულბული ყოყმანს ვარდის მიმართ სიყვარულს აბრალებს, თუთიყუში – საკუთარ სილამაზეს, რომლის გამოც იძულებულია გალიაში იცხოვროს, გნოლი მთიან ლანდშაფტს ვერ ელევა და ტაფობების გადაფრენა უჭირს, ყანჩა – ჭაობების, ხოლო ბუ ნანგრევების გარეშე ვერ იცოცხლებს. საბოლოოდ, როგორც იქნა შეთანხმდნენ და ყველამ ერთად გასწია სიმორღის საძებნელად. ფრინველებმა შვიდი ზღვა და შვიდი მთა გადაიარეს. ბოლოს წინა ზღვას სახელად „სიცრუე“ ერქვა, უკანასკნელს – „განადგურება“. პილიგრიმთა ნაწილმა გუნდი გზაში მიატოვა, ნაწილი მოგზაურობისას დაიღუპა. სიმორღის ბუდემდე მხოლოდ ოცდაათმა მათგანმა მიაღწია. და როდესაც ფრინველებმა სიმორღი იხილეს, ირწმუნეს, რომ ის თითოეული მათგანი იყო და იმავდროულად ყველა ერთად.

კოსმოგრაფი ალ-ყაზვინი თავის წიგნში სასწაული შემოქმედებისა წერდა, რომ სიმორღი ანკა ათას შვიდას წელს ცოცხლობს და რომ მამა, რომლის ვაჟიც სრულწლოვანებას მიაღწევს, თავს კოცონზე იწვავს. ეს კი, როგორც ლეინი აღნიშნავდა, ძალიან ჰგავს თქმულებას ფენიქსის შესახებ.

სკილა

სანამ ურჩხულად იქცეოდა, სკილა ნიმფა იყო, რომელიც ღმერთ გლავკოსს ჩაუვარდა გულში. გლავკოსმა დახმარება სთხოვა ცირცეს, რომელიც ჯადოსნური ბალახების ცნობითა და შელოცვების ცოდნით იყო განთქმული. ცირცეს თავად შეუყვარდა გლავკოსი და რადგან გლავკოსმა სკილას დავიწყება ვერ შეძლო, ცირცემ ის წყარო მოწამლა, რომელშიც სკილა ბანაობდა ხოლმე.

მოწამლულ წყალში შევიდა თუ არა, სკილას სხეული წელს ქვემოთ მყეფარე ძაღლებად იქცა. მისი ნახევარი სხეული ახლა ექვს ფეხზე იდგა, სამი თავი ება და თითოეულ მათგანზე სამ-სამი წყება კბილი ჰქონდა. ამ სახეცვლილებამ სკილა ისე შეაძრწუნა, რომ ის იტალიის სიცილიისგან გამყოფ სრუტეში ჩაინთქა და ღმერთებმა კლდედ აქციეს. ქარიშხლიან ამინდში მეზღვაურებს დღესაც ჩაესმით ამ კლდეზე შენარცხებული ტალღების ღმუილი.

ჰომეროსმა, ოვიდიუსმა და პავსანიუსმა ეს თქმულება თავიანთ ნაწარმოებებში გამოიყენეს.

სპილო, რომელმაც ბუდას დაბადება იწინასწარმეტყველა

ქრისტეს დაბადებამდე ხუთი საუკუნის უკან ნეპალის დედოფალ მაიას დაესიზმრა, რომ ღმერთების მთიდან ჩამოსული თეთრი სპილო მის სხეულს დაეუფლა. ამ სიზმრისეულ ცხოველს ექვსი ეშვი ჰქონდა, რომელიც ინდოეთის ატერიტორიის ექვსი მიმართულების სიმბოლო იყო: ზემოთ, ქვემოთ, უკან, წინ, მარცხნივ და მარჯვნივ. სამეფო კარის ასტროლოგებმა იწინასწარმეტყველეს, რომ დედოფალი მაია შობდა ვაჟს, რომელიც ან დედამიწის მბრძანებელი გახდებოდა, ან ადამიანთა მოდგმას მხსნელად მოევლინებოდა. როგორც ვუწყით, ამ წინასწარმეტყველებათაგან მეორე ახდა.

ინდოეთში სპილო შინაური ცხოველია. თეთრი ფერი თავმდაბლობის სიმბოლოა, ხოლო ციფრი 6 წმინდა ციფრადაა მიჩნეული.

სფეროსებრი არსებები

სფერო მყარი სხეულების ყველაზე იდეალური ფორმაა, რამეთუ მისი ზედაპირის ნებისმიერი წერტილი თანაბარი მანძილით არის დაშორებული ცენტრიდან. სწორედ ამ მიზეზისა და იმ უნარის გამო, რომ მას გადაადგილების გარეშე საკუთარი ღერძის გარშემო ბრუნვა შეუძლია, პლატონი (თიმეუსი, 33) იწონებდა დემიურგის წინადადე-

ბას დედამიწისთვის სფეროსებრი ფორმის მიცემის შესახებ. პლატონის შეხედულებით, სამყარო ცოცხალი არსებაა. თავის კანონებში (898) ის ამტკიცებდა, რომ პლანეტებსა და ვარსკვლავებსაც სული უდგათ, ანუ მან ფანტასტიკური ზოოლოგია უზარმაზარი სფეროსებრი არსებებით გაამდიდრა და გააქილიკა არცთუ ისე ჭკვიანი ასტრონომები, რომლებსაც ისიც კი ვერ შეეტყოთ, რომ ციური სხეულების წრიული მოძრაობა მხოლოდ მათსავე ნება-სურვილს ექვემდებარება.

ხუთ ასწლეულზე მეტი ხნის შემდეგ, ალექსანდრიაში ორიგენი ქადაგებდა, რომ ნეტარნი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ხელახლა დაიბადებიან, სფეროსებრ ფორმას მიიღებენ და მარადისობაში იგორებენ.

რენესანსის ეპოქაში ცის, როგორც ცოცხალი არსების შესახებ წარმოდგენამ ვანტინისთან ხელახლა იჩინა თავი. ნეოპლატონისტი მარსილიო ფიჩინო საუბრობდა დედამიწის თმაზე, კბილებსა და ძვლებზე. ხოლო ჯორდანო ბრუნოს სწამდა, რომ პლანეტები ვეება, მშვიდობისმოყვარე, თბილსისხლიანი, გონიერი და ჩამოყალიბებული უნარ-ჩვევების მქონე ცხოველები იყვნენ. მე-17 საუკუნის დასაწყისში კეპლერი ინგლისელ ალქიმიკოსს რობერტ ფლუდს იმაზე ეკამათებოდა, თუ რომელმა მათგანმა მოიხსენია პირველად დედამიწა ცოცხალ ურჩხულად, რომლის ძილისა და ღვიძილის პროცესებთან დაკავშირებული ვეშაპის მაგვარი სუნთქვა ზღვის მიქცევებს და მოქცევებს იწვევს. კეპლერი იკვლევდა ამ ურჩხულის ანატომიას, მის კვებას, ფერს, მეხსიერებას და წარმოსახვით და პლასტიკურ შესაძლებლობებს.

მე-19 საუკუნის გერმანელმა ფსიქოლოგმა გუსტავ თეოდორ ფეხნერმა (კაცი, რომელიც უილიამ ჯეიმსმა თავის პლურალისტულ სამყაროში მოიხსენია) ბავშვური გულუბრყვილობით აიტაცა და გადაამუშავა ზემოხსენებული იდეები. ყველას, ვინც მზად ხართ ირწმუნოთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დედამიწა, ჩვენი დედაპლანეტა, ორგანიზმია, და თანაც ადამიანებთან, ცხოველებთან და მცენარეებთან შედარებით განვითარების უმაღლეს საფეხურზე მდგომი ორგა-

ნიზმი, შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ფეხნერის ზენდ--ავესტას. ამ წიგნში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ დედამიწის სფეროსებრი ფორმა ჩვენი სხეულის ყველაზე კეთილშობილი ორგანოს თვალის ფორმაა, და „თუ ცა მართლაც ანგელოზთა სახლია, მაშინ ანგელოზები აუცილებლად ვარსკვლავები უნდა იყვნენ, რამეთუ ცას სხვა ბინადრები არა ჰყავს“.

სფინქსი

სფინქსის ეგვიპტური ქანდაკება (ჰეროდოტე მას ანდროსფინქსს უწოდებდა, რათა ის ბერძნული სფინქსისგან განესხვავებინა), მიწაზე გაწოლილი ადამიანისთავიანი ლომის გამოსახულებაა. როგორც ვარაუდობენ, ის ფარაონთა ღირსებას განასახიერებდა და ამქვეყნიურ სამარხებსა და ტაძრებს სდარაჯობდა. კარნაკის ქუჩებში სფინქსებს კრავის, ამონის წმინდა ცხოველის თავი აქვთ. წვერით მოსილი და გვირგვინით შემკული სფინქსები ნაპოვნია ასურულ ძეგლებზე, მათ ხშირად ვხვდებით სპარსულ საოქრომჭედლო ნაკეთობებზეც. პლინიუსს სფინქსები მის მიერ შედგენილ ეთიოპიურ ცხოველთა კატალოგში შეაქვს, მაგრამ მისეული აღწერა საკმაოდ მწირია – „ყავისფერი თმა და მკერდზე ორი თანაბარი ძუძუ“.

ბერძნულ სფინქსს ქალის თავი და მკერდი, ფრინველის ფრთები და ლომის ტან-ფეხი აქვს. მავანნი კი ირწმუნებიან, რომ მას ძაღლის თავი და გველის კუდი აქვს. ზოგი თქმულება იმასაც ამბობს, თითქოს სფინქსმა თებეს სამეფო გაანადგურა; რომ თურმე თებელ მამაკაცებს გამოცანას ეუბნებოდა (მას ადამიანის ხმით შეეძლო ლაპარაკი) და ვინც ვერ გამოიცნობდა, ადგილზე სანსლავდა. ოიდიპოსს, იოკასტეს ძეს, მან ასეთი კითხვა დაუსვა: „დამისახელე ცხოველი, რომელსაც, ოთხი, ორი ან სამი ფეხი აქვს და რაც მეტი ფეხი აქვს, მით უფრო სუსტია?“ ოიდიპოსმა უპასუხა, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც ყრმობის ასაკში ოთხ ფეხზე დახოხავს, როცა წამოიზრდება ორ ფეხზე და-

დის, ხოლო სიბერეში სიარულის დროს ხელჯოხს ეყრდნობაო. რადგან ოიდიპოსის პასუხი სწორი იყო, სფინქსი იმ მთის წვერიდან, რომელზეც იდგა, უფსკრულში გადაეშვა და დაიღუპა.

დე ქუინსი 1849 წელს ავრცელებდა კიდევ ერთ მოსაზრებას, რომლითაც ძველი გადმოცემების შევსება ჰქონდა განზრახული. ის ამბობდა, რომ სფინქსის გამოცანის სწორი პასუხი იყო არა ზოგადად ადამიანი, როგორც ასეთი, არამედ თავად ოიდიპოსი – უმწეო და უპატრონო – ცხოვრების დასაწყისში, მარტოსული – მოწიფულ ასაკში და ანტიგონეზე დაყრდნობილი სიბერის გაუხარელ და უკუნით მოცულ წლებშიო.

სქუონკი
(Lacrimacorpus dissolvens)

„სქუონკის გავრცელების არეალი საკმაოდ მცირეა. პენსილვანიის საზღვრებს გარეთ თითქმის არავინ იცნობს ამ უცნაურ არსებას, რომელსაც თურმე საკმაოდ ხშირად შეხვდებით დასახელებული შტატის ტერიტორიაზე ციკუტას ჭალებში. სქუონკი თავს არიდებს ადამიანებთან შეხვედრას, ამიტომაც ის შებინდებულზე გამოდის გარეთ. მომჩვარული ტყავი მთლიანად მეჭეჭებით და ხალებით აქვს დაფარული. ვინც მას იცნობს, ამბობს, რომ ცხოველთა შორის ყველაზე უბედური არსებაა. მის კვალში ჩადგომა ძალიან ადვილია, რადგან ის გაუთავებლად ტირის და განვლილ გზას ცრემლებით ნამავს. თუ ვინმე მოიხელთებს, გაქცევასაც კი ვერ ახერხებს, ხოლო როდესაც დააფრთხობენ ან შეაშინებენ, სქუონკი ცრემლის გუბედ გადაიქცევა ხოლმე. მონადირეები სქუონკს უმეტესად ცივ, მთვარიან ღამეებში უსაფრდებიან, მაშინ, როდესაც ცრემლებიც ნელა ჩამოსდის და თავადაც ზანტად მოძრაობს; მისი მოთქმა ციკუტას ბნელი ტოტების ქვეშ გაისმის.

ბატონ ჯ. პ. უენტლინგს რომელიც წარმოშობით პენსილვანიიდანაა, ხოლო დღესდღეობით მინესოტაში ცხოვრობს, სქუონკთან მიმართებაში სევდიანი ამბავი გადახდა თავს. მან ცხოველის ქვითინის

მიბაძვით ეს უკანასკნელი ტომარაში შეიტყუა, ტომარა ზურგზე მოიგდო და სახლის გზას დაადგა. უცბად ტომარამ წონა დაკარგა და ქვითინიც შეწყდა. უენტლინგმა ტომარას თავი მოხსნა და იქ ცრემლებისა და ჰაერის ბუშტუკების მეტი აღარაფერი დახვდა“.

უილიამ თ. კოქსი, ლამბერვუდსის შემაძრწუნებელი არსებები
ვაშინგტონი, 1910

ტაო ტე

პოეტებისა და ფოლკლორისტებისთვის ის შედარებით უცნობი უნდა იყოს, მაგრამ თითოეული ჩვენგანი მას ერთხელ მაინც გადაჰყრია სადმე კაპიტელის კუთხეში ან ფრიზის შუაგულში და გვარიანადაც დაზაფრულა. ძაღლს, რომელიც სამთავიანი და სამტანიანი ბუმბერაზის, გერიონის საქონელს მწყემსავდა, ორი თავი და ერთი ტანი ჰქონდა, და ის, საბედნიეროდ, ჰერკულესმა გამოასალმა სიცოცხლეს. ტაო ტეს შემთხვევაში პირიქითაა. აქ ორი სხეული აბია უზარმაზარ თავს – ერთი მარჯვნიდან, მეორე მარცხნიდან, რაც ამ არსებას კიდევ უფრო საზარელს ხდის. მთლიანობაში მას ექვსი ფეხი აქვს, რადგან წინა ფეხები ორივე სხეულს ემსახურება. ტაო ტეს შესაძლოა დრაკონის, ვეფხვის ან ადამიანის სახე ჰქონდეს. ხელოვნებათმცოდნეები მას „მაქციის ნიღაბს“ უწოდებენ. ტაო ტეს ფორმა მოქანდაკეებსა და მეთუნეებს სიმეტრიის დემონმა თუ შთააგონა. მისი გამოსახულება შანის დინასტიის ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელზე გვხვდება, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე თოთხმეტი საუკუნის უკანაა დამზადებული.

ტაო ტე უძღებს ნიშნავს. ჩინელები მას ხშირად ჭურჭელზე ხატავენ, რათა ჭამის დროს ზომიერებამ არ უღალატოთ.

ტროლები

ინგლისელებმა ვალკირიები ჯერ სოფლად განდევნეს, სადაც ისინი კუდიანებად იქცნენ; ასე გადაგვარდნენ სკანდინავიის ქვეყნებში

ანტიკური მითოლოგიის გოლიათებიც, რომლებიც ღმერთ თორს ებრძოდნენ და მერე სოფლელ ტროლებად მოგვევლინნენ. პოეტური უფროსი ედას კოსმოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ ღმერთების დაისის დღეს გოლიათებმა ბიფროსტს, ცისარტყელას ხიდს კიბე მიადგეს, ზედ ავიდნენ, ჩამოგლიჯეს და მგლისა და გველის დახმარებით სამყარო გააცამტვერეს. უბრალო ხალხში გავრცელებული ცრურწმენის მიხედვით ტროლები ბოროტი სულები არიან, მთის გამოქვაბულებისა და დანგრეული ქოხმახების ბინადარი ბრიყვი ელფები. მათ შორის განსაკუთრებულებს ორი ან სამი თავი აქვთ.

ჰენრიკ იბსენმა მათი სახელი უკვდავყო დრამატულ პოემაში პეერ გინტი (1867). იბსენის წარმოდგენით ისინი პირველ და მხურვალე ნაციონალისტებად გვევლინებიან. ისინი ფიქრობენ, ან ცდილობენ იფიქრონ, რომ ის საშინელი სითხე, რომელსაც ხარშავენ, შესანიშნავი სასმელია, მათი გამოქვაბულები კი სასახლეები. პეერ გინტმა მათი სამყოფლის სიბინძურე რომ არ იხილოს, მას თვალების დათხრით ემუქრებიან.

ურობოროსი

დღეს ოკეანე ჰქვია ზღვას, ან ზღვათა სისტემას, ძველ ბერძნებს კი მიაჩნდათ, რომ ის მდინარე იყო, რომელიც დედამიწას სარტყელივით ერტყა გარს. ყველა წყალი მისგან იღებდა სათავეს, თვითონ კი არც სათავე ჰქონდა და არც სადმე ჩაედინებოდა. ის იყო ასევე ერთ-ერთი ღმერთთაგანი ან ტიტანი, სავარაუდოდ ტიტანთა შორის უხუცესი, რომელსაც ილიადას მეთოთხმეტე სიმღერა ღმერთების მამად მოიხსენიებს. ჰესიოდეს თეოგონიის მიხედვით ის მსოფლიოს ყველა მდინარის მამაა, რომელთა რიცხვი სამი ათასია და რომლებიც ნილოსითა და ალფეიოსით იწყება. მოხუცი თეთრი და დატალღული წვერით – ჩვეულებრივ მას ასე გამოსახავენ ხოლმე. ასწლეულების შემდეგ ადამიანთა მოდგმამ მისთვის უკეთეს სიმბოლოს მიაგნო.

ჰერაკლიტე ამტკიცებდა, რომ წრის დასაწყისი და დასასრული ერთსა და იმავე წერტილშიაო. მესამე საუკუნის ერთი ბერძნული ავგაროზი, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ალბათ ამ უსასრულობის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებაა. მასზე გამოსახულია გველი, რომელიც თავისსავე კუდს კბენს, ანუ როგორც მარტინეს ესტრადა ხატოვნად იტყოდა, „ის, ვინც საკუთარი კუდის ბოლოთი იწყება“. ურობოროსი (ის, ვინც საკუთარ კუდს ჭამს) ამ არსების ტექნიკური სახელწოდებაა, რომელმაც მოგვიანებით ალქიმიკოსების წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

სახელის განდიდებას სინამდვილეში ის სკანდინავიურ კოსმოგონიას უნდა უმადლოდეს. პროზაულ ედაში ვკითხულობთ, რომ ლოკიმ ერთი მგელი და ერთი გველი წარმოშვა. მისანმა გააფრთხილა ღმერთები, რომ ეს ორი არსება დედამიწას გაანადგურებდნენ. მათ მგელი, სახელად ფენრირი, ჯაჭვით დააბეს, რომელიც გამოჭედილი იყო ფანტაზიის ექვსი ნაყოფისგან: კატის ნაბიჯის ხმისგან, ქალის წვერისგან, კლდის ფესვისგან, დათვის მყესისგან, თევზის სუნთქვისა და ჩიტის ნერწყვისგან. გველი, სახელად იორმურგანდრი კი „ზღვაში ჩააგდეს, რომელიც დედამიწას ერტყა გარს, სადაც ის იმხელა გაიზარდა, რომ ახლა თავად შემოერტყა დედამიწას და თავისივე კუდი უჭირავს პირში. იოტუნჰაიმში, გოლიათების ქვეყანაში, უტგარდა-ლოკი ღმერთ თორს ერთი კატის ხელში აყვანას სთხოვს. თორი მთელი ძალით ცდილობს კატა მიწას მოსწყვიტოს. კატა სინამდვილეში გველია. თორი კი ჯადოქრული ხრიკებით გააცურეს.

როდესაც ღმერთების დაისი მოახლოვდება, გველი დედამიწას გადაყლაპავს, მგელი კი – მზეს.

ფასტიტოკალონი

შუასაუკუნეებში გავრცელებული რწმენის მიხედვით სულიწმიდამ ორი წიგნი დაწერა. პირველი, ჩვენთვის კარგად ცნობილი ბიბლია გახლავთ, მეორე კი სამყარო, რომლის ბინადრებიც უკვდავ სწავლე-

ბებს შეიცავენ. ამ უკანასკნელში თავმოყრილი გაკვეთილების გასაგებად, ბესტიარიუმების შექმნა გახდა საჭირო. ერთ-ერთი ანგლოსაქსური ბესტიარიუმი შეიცავს ტექსტს, რომელიც თანამედროვე ენაზე ასე იკითხება:

„ვამბობ სიმღერას უშველებელი ვეშაპისას. ის მეზღვაურებისთვის საშიშია. ზღვათა ამ ბინადრის სახელია ფასტიტოკალონი. ის ქვიშით დაფარულ ლოდს ჰგავს, რომელიც მეზღვაურებს კუნძული ჰგონიათ. ამიტომაც უშიშრად უშვებენ მასთან ღუზას, მაცდურ ნაპირზე გადადიან, კოცონს ანთებენ და დაქანცულები იძინებენ. ამ დროს მოღალატე წყალში ყვინთავს, გემს ძირავს, მეზღვაურებს კი ახრჩობს. ხშირად ხახიდან მოტკბო სურნელს აფრქვევს, რითაც თევზებს იზიდავს, მერე საზარელ ყბებს ხურავს და შთანთქავს მათ. ასეთ ჯოჯოხეთს გვიმზადებს ეს ურჩხული“.

მსგავს თქმულებებზე მოგვითხრობენ წიგნი ათას ერთი ღამისა, ლეგენდა წმინდა ბრენდანზე და მილტონის დაკარგული სამოთხე, სადაც „ნორვეგიის ზღვის ქაფში მთვლემარე ვეშაპია“ ნახსენები.

ფენიქსი

ეგვიპტელები უკვდავებას მონუმენტებში, ქვის პირამიდებსა და მუმიებში ეძებდნენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ სწორედ მათ ქვეყანაში იშვა ლეგენდა უკვდავი, მრავალგზის მკვდრეთით აღმდგარი ფრინველის შესახებ, თუმცა პირველნი მაინც ბერძნები და რომაელები იყვნენ, ვინც მას დასრულებული სახე მიანიჭა. ერმანი წერს, რომ ფენიქსი (ბენუ) ჰელიოპოლისის მითოლოგიაში დღესასწაულებისა და დროის ხანგრძლივი ციკლების ღვთაება გახლდათ. ჰეროდოტე კი თავისი ნაშრომის ცნობილ მონაკვეთში (II, 73) აშკარა სკეპტიციზმით მოგვითხრობს ამ ლეგენდის ადრეული ვერსიის შესახებ:

„იქ კიდევ ერთი წმინდა ფრინველია, რომელიც მხოლოდ ნახატზე მინახავს. თვითონ ეს ფრინველი იშვიათად ჩნდება. ჰელიოპოლისში ამბობენ, რომ ის ეგვიპტეში ხუთას წელიწადში ერთხელ მოფრინავს და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მამამისი კვდება. თუ ის მართლაც

იმხელა და ისეთი ფორმისაა, როგორსაც ხატავენ, მაშინ ის არწივს ჰგავს, მისი ბუმბული კი ნაწილობრივ ოქროსფერი, ნაწილობრივ კი მეწამული ფერისაა. მასზე არაერთ საოცარ ამბავს ჰყვებიან და, მიუხედავად იმისა, რომ მე ამ ამბების არ მჯერა, მაინც მინდა აქაც დავწერო: გარდაცვლილი მამის ცხედრის არაბეთიდან მზის ტაძარში გადასასვენებლად ის ჯერ მურისგან ამზადებს დიდ კვერცხს, იმხელას, რამხელას ტარებასაც შეძლებს. შემდეგ წონას ამოწმებს, დაძრავს თუ არა. მერე მანამდე ღრუტნის, სანამ შიგნით მამამისის ცხედარი ჩაეტევა, რომელსაც ასევე მურით ფარავს. დარჩენილ სივრცესაც მურით ავსებს მანამდე, სანამ კვერცხი თავდაპირველ წონას არ დაიბრუნებს. ამის შემდგომ ის ხვრელს ამოქოლავს და კვერცხი ეგვიპტეში, მზის ტაძარში მიაქვს. ამ ფრინველის შესახებ სიმართლეს ასე მოგვითხრობენ. მაგრამ ეს ამბავი მართალია თუ ტყუილი, დანამდვილებით არავინ იცის“.

დაახლოებით ხუთასი წლის შემდეგ ტაციტუსმა და პლინიუსმა ამ საოცარ თქმულებას ხელახლა შთაბერეს სული. პირველმა მათგანმა ზედმიწევნით მართებულად შენიშნა, რომ მიუხედავად ქრონიკებში დამადასტურებელი ფაქტების არარსებობისა, ტრადიციულად, ფენიქსის სიცოცხლის ხანგრძლივობად ათას ხუთას სამოცდაერთი წელი მიიჩნეოდა („ანალები“, IV, 28). პლინიუსიც, თავის მხრივ, ცდილობდა, გამოეკვლია ფენიქსის ქრონოლოგია. ის წერდა (X, 2), რომ მანილუსის თანახმად ფენიქსის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთ პლატონურ, ანუ დიდ წელიწადს უდრიდა. პლატონურ წელიწადში დროის ის მონაკვეთი იგულისხმება, რომელიც მზეს, მთვარესა და ხუთ პლანეტას საწყის მდგომარეობაში დასაბრუნებლად სჭირდება. ნაშრომში დიალოგი ორატორების შესახებ ტაციტუსი პლატონურ წელიწადს თორმეტი ათას ცხრაასს ოთხმოცდათოთხმეტ ჩვეულებრივ წელიწადს უტოლებს. ანტიკური ხანის ადამიანებს სწამდათ, რომ ამ უზარმაზარი ციკლის დასრულების შემდეგ პლანეტების საწყისი მდებარეობის გამო მსოფლიო ისტორია ხელახლა, უმცირეს დეტალებშიც კი ზუსტად უნდა განმეორებულიყო. ფენიქსი სამყაროს სარკედ, ანარეკლად უნდა განხილულიყო. დაახლოებით ამის თქმა უნდოდათ

სტოიკოსებსაც, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ სამყარო ცეცხლს უნდა შთაენთქა, რის შემდეგაც ის თავიდან უნდა შობილიყო ცეცხლიდან და ამ მოვლენას არც დასაბამი უნდა ჰქონოდა და არც დასასრული.

დრომ ფენიქსის წარმოშობის მექანიზმიც გაამარტივა. ჰეროდოტე კვერცხს, ხოლო პლინიუსი ჭუპრს ახსენებს, სამაგიეროდ კლავდიანუსი მეოთხე საუკუნის დასასრულს უკვდავ ფრინველს უმღერის, რომელიც ფერფლიდან აღსდგება, როგორც საკუთარი თავის მემკვიდრე და წარსული დროის მემატიანე.

იშვიათია, რომელიმე მითი ასე გავრცელებულიყოს, როგორც მითი ფენიქსზე. ზემოთ ნახსენებ ავტორებს უნდა დავუმატოთ: ოვიდიუსი (მეტამორფოზები, XV), დანტე (ჯოჯოხეთი, XXIV), შექსპირი (ჰენრი VIII, V, 4), პელისერი (ფენიქსი და მისი საბუნებისმეტყველო ისტორია), კევედო (ელ პარნას ესპანიოლ, VI), მილტონი (სამსონ აგონისტესი). გარდა ამისა, უნდა გავიხსენოთ ლათინურენოვანი ლექსი *De Arte Phoenice',* რომელსაც ლაკტანციუსს მიაკუთვნებენ და ასევე, ამავე ლექსის მერვე საუკუნით დათარიღებული ანგლოსაქსური იმიტაციაც. ტერტულიანემ, წმინდა ამბროსმა და კირილე იერუსალიმელმა ფენიქსი სხეულის აღდგენის მაგალითად მოიყვანეს. პლინიუსი დასცინის მკურნალებს, რომლებიც ავადმყოფებს ფენიქსის ბუდისგან ან მისი ფერფლისგან დამზადებულ საშუალებებს ურჩევენ.

ფერიები

ამ არსების სახელი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „*fatum*“, რაც „ბედისწერას“, „ხვედრს“ ნიშნავს. მათ თავიანთი ჯადოსნური ძალის წყალობით ადამიანთა საქმეებში ჩარევის უნარი შესწევთ. მავანთა თქმით, ფერიები დაბალი რანგის ქალღმერთთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი, ლამაზები და შთამბეჭდავები არიან. მათ არც კონკრეტული სამყოფელი გააჩნიათ და არც დრო. ძველი ბერძნები, ესკიმოსები და ამერიკელი ინდიელები მოგვითხრობენ გმირებზე, რომელთაც ამ არსებების გული მოიგეს. ასეთი თავგადასავლები კი უსაფრთხო სულაც არ იყო, რადგან როგორც კი ფერია

ვნებას დაიცხრობს, ის სატრფოს დაუყოვნებლივ უსწრაფებს სიცოცხლეს.

ირლანდიასა და შოტლანდიაში სწამთ, რომ ფერიები მიწისქვეშეთში ბინადრობენ, სადაც მათ მოტაცებული მამაკაცები, ქალები და ბავშვები ჰყავთ გამომწყვდეული. ხალხს სჯერა, რომ ნეოლითური ხანის ისრის წვერები, რომლებსაც ისინი მინდვრებში პოულობენ, ადრე ფერიებს ეკუთვნოდათ და მათ სასწაულმოქმედ სამკურნალო თვისებებს მიაწერენ.

ფერიებს სიმღერა, მუსიკა და მწვანე ფერი უყვართ. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, შოტლანდიელმა სასულიერო მოღვაწემ, ვინმე რევერენდმა კირკმა აბერფოილიდან, შეადგინა ტრაქტატი სახელწოდებით „ელფების, ფერიებისა და ფაუნების საიდუმლო ორგანიზაცია“. 1815 წელს სერ უოლტერ სკოტმა დაბეჭდა კირკის ხელნაწერი. თავად რევერენდ კირკზე კი ხმები დადიოდა, რომ მათი საიდუმლოს გამჟღავნებისთვის ფერიებმა გაიტაცეს. იტალიის ზღვებში ფერია სახელად ფატა მორგანა ცხოვრობს, რომელიც მეზღვაურებს მისგან მოვლენილი მირაჟებით უბნევს თავგზას და დასახულ მარშრუტს აკარგვინებს.

ფერტე-ბერნარის ბანჯგვლიანი ურჩხული

შუა საუკუნეებში პატარა და ერთი შეხედვით უსაფრთხო მდინარის უისნეს ნაპირას ბინადრობდა *la velue* – ბანჯგვლიანი მხეცი. თქმულებები ირწმუნებიან, რომ ეს ცხოველი მეორედ მოსვლას ისე გადაურჩა, რომ ნოეს კიდობნისთვის თავი არ შეუფარებია. ის ხარის ზომისა იყო და გველის თავი ჰქონდა. მრგვალ სხეულს მწვანე ბეწვი და შხამიანი ეკლები უფარავდა და მიწაზე კუს მსგავსი და წარმოუდგენლად ფართო ტერფებით დააბიჯებდა. გველისებრი კუდით ურჩხულს ადამიანებისა და ცხოველების მოკვლა შეეძლო. განრისხებული ბანჯგვლიანი ურჩხული ცეცხლს აფრქვევდა, რომელიც ახლომდებარე მინდვრებს ერთიანად ბუგავდა. ღამღამობით ის ბოსლებს ესხმოდა თავს. თუ გლეხები კვალში ჩაუდგებოდნენ, იგი უისნეს აფარებდა

თავს, რომელიც მყისვე ადიდდებოდა და ირგვლივ ყველაფერს ტბორავდა.

განსაკუთრებული სიამოვნებით ურჩხული უმანკო არსებებს, ქალწულებსა და ბავშვებს მიირთმევდა. ის თვითონ ირჩევდა ყველაზე კდემამოსილ ქალწულს, რომელსაც კრავს (*L'Agnello*) უწოდებდნენ. ერთ ღამესაც მან ერთ-ერთი ასეთი „კრავი“ შეიპყრო და ხორცებდაფლეთილსა და სისხლში ამოთხვრილს უისნეს ნაპირისკენ მიათრევდა. ქალწულის საქმრომ ურჩხულს ხმლით გველისებრი კუდი მოჰკვეთა, რადგან მისი მოკვდინება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი. ურჩხულმა სული ადგილზევე განუტევა. ხალხმა მისი სხეული ბალზამში შეინახა, მისი სიკვდილი კი დაფდაფებისა და სალამურების დაკვრითა და ცეკვა-თამაშით იზეიმა.

ფრინველი რუქი

ფრინველი რუქი ბუმბერაზ არწივს ან სვავს წააგავს, ზოგი კი მიიჩნევს, რომ არაბებს მისი არსებობა ჩინეთისა და ინდოეთის ზღვების თავზე გზააბნეულმა კონდორმა შთააგონა. ლეინი უარყოფს ამ შეხედულებას: მისი აზრით, ის ჭეშმარიტად ლეგენდარული ფრინველია ან სულაც არაბული სიმორღის შესატყვისი. რუქი ევროპაში თავის პოპულარობას ათას ერთი ღამის წიგნს უნდა უმადლოდეს. ჩვენს მკითხველს შეუძლია გაიხსენოს მისი მეზღვაურების მიერ უკაცრიელ კუნძულზე დატოვებული სინდბადი, რომელმაც შორს სივრცეში უზარმაზარი თეთრი გუმბათი დალანდა, მეორე დღეს გიგანტურმა თეთრმა ღრუბელმა მზე დაფარა. ის თეთრი გუმბათი იმ ფრინველის კვერცხი იყო, რომელსაც რუქი ერქვა, თეთრი ღრუბელი კი ბუდეს დაბრუნებული დედა ჩიტი. სინდბადი ჩალმის მეშვეობით ახერხებს ფრინველის უშველებელ ფეხზე ჩამოკიდებას, ამ გზით რუქს ის მაღალი მთის მწვერვალზე მიჰყავს და იქ ტოვებს ისე, რომ ეს ყველაფერი ფრინველისთვის შეუმჩნეველი რჩება. მთხრობელი კი ამატებს, რომ რუქი მის ბარტყებს სპილოებით კვებავს.

მოგზაურის დღიურის ოცდამეთექვსმეტე თავში მარკო პოლო წერს:

„კუნძულ მადაგასკარის მცხოვრებლები ყვებიან, რომ წელიწადის გარკვეულ დროს სამხრეთიდან მოდის საოცარი ფრინველი, სახელწოდებით რუქი. ის არწივს ჰგავს, მაგრამ ზომით მასზე ოთხჯერ დიდია; ამასთან, ისეთი ძლიერია, რომ კლანჭებში სპილოს მოიგდებს, გარკვეულ მანძილზე ჰაერში მიაფრენს და დიდი სიმაღლიდან ძირს ანარცხებს, შემდეგ კი გემრიელად შეექცევა. ვისაც რუქი საკუთარი თვალით უნახავს, ამტკიცებს, რომ მისი ფრთების სიგრძე ერთი ბოლოდან მეორემდე სულ ცოტა თექვსმეტი ნაბიჯია, ხოლო მისი ბუმბულის სიგრძე რვა ნაბიჯს უდრის“.

იქვე მარკო პოლო იმასაც დასძენს, რომ დიდი ხნის წინათ ხაგანის დესპანმა რუქის ფრთა ჩინეთში ჩაიტანა.

ქიმერა

ქიმერა პირველად ილიადას მეოთხე სიმღერაშია ნახსენები. ჰომეროსი მოგვითხრობს, რომ ის ღვთაებრივი წარმომავლობისა იყო, სხეულის წინა ნაწილი ლომისა ჰქონდა, შუა ნაწილი – თხისა, ბოლო კი გველისა. ხახიდან ცეცხლს აფრქვევდა. ღმერთების წინასწარმეტყველების თანახმად ის გლავკოსის ვაჟმა, წარმოსადეგმა ბელეროფონტმა მოკლა. ლომის თავი, დედალი თხის ტანი და გველის კუდი – ასე გამოიყურება ქიმერა და მას სწორედ ამ სახით წარმოაჩენს ბრინჯაოს ქანდაკება არეცოდან, რომელიც მე-5 საუკუნით თარიღდება. ზურგის შუაში, მას თხის თავი აქვს, თავსა და ბოლოში კი ლომისა და გველის თავები.

ენეიდას მეექვსე სიმღერაში კიდევ ერთხელ ვხვდებით „ცეცხლისმფრქვეველ ქიმერას“. ვირგილიუსის კომენტატორი სერვიუს ჰონორაციუსი აღნიშნავს, რომ ქიმერას სამშობლოდ ყველა ავტორიტეტი ერთხმად აღიარებს ლიკიას, სადაც ამავე სახელწოდების ვულკანი არსებობდა. ამ ვულკანის ძირში გველები იკლაკნებიან, მის კალთებ-

ზე თხები ბალახობენ, მწვერვალი კი ცეცხლს აფრქვევს და იქვე, გამოქვაბულებში, ლომები ბინადრობენ. არ არის გამორიცხული, რომ ქიმერა ამ არაჩვეულებრივი მთის მეტაფორა იყოს. გაცილებით უფრო ადრე პლუტარქე ვარაუდობდა, რომ ქიმერა მეკობრეთა ერთ--ერთი კაპიტნის სახელი უნდა ყოფილიყო, რომლის გემიც ლომის, დედალი თხისა და გველის გამოსახულებებით იყო დამშვენებული.

ასეთი აბსურდული მოსაზრებები მხოლოდ იმის დასტური შეიძლება იყოს, რომ ხალხს მობეზრდა ქიმერას გარეგნობაზე ბჭობა. ადამიანებს ერჩივნათ მისთვის სახე ეცვალათ, ვიდრე ის ნამდვილი სახით აღეწერათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ მისი შემადგენელი ნაწილების – ლომის, თხისა და გველის (ზოგ ტექსტებში გველის ნაცვლად დრაკონი გვხვდება) – მკვეთრი განსხვავებულობის გამო, არცთუ ისე იოლი იყო ერთი არსების შექმნა. დროთა განმავლობაში ქიმერა „ქიმერულ ბუნებას“ იძენდა. ქიმერას საზარელი გამოსახულებაც თანდათან გაქრა. სამაგიეროდ შემოგვრჩა მისი სახელწოდება, რომელიც „შეუძლებელს“ ნიშნავს. „ილუზია, გამონაგონი“ – ასე განმარტავენ თანამედროვე ლექსიკონები ქიმერას.

ქრონოსი ან ჰერაკლე

ტრაქტატში პირველსაწყისთა სირთულეები და განმარტებები ნეოპლატონიზმის მიმდევარი დამასკუს სირიელი განიხილავს ორფული თეოგონიისა და კოსმოგონიის საინტერესო ვერსიას, რომლის მიხედვითაც ქრონოსი ანუ ჰერაკლე არის ურჩხული:

„იერონიმესა და ჰელანიკოსის (თუ ეს ორი ავტორი საერთოდაც ერთი და იგივე არ იყო), ორფეული დოქტრინა გვასწავლის, რომ თავდაპირველად იყო წყალი და ტალახი, რომლითაც დედამიწა შეიქმნა. ანუ არსებობდა ორი პირველსაწყისი – წყალი და მიწა. მათგან წარმოიშვა მესამე – დრაკონი, რომელსაც წინ ხარის თავი ჰქონდა, უკან ლომის, სხეულის შუაში კი ფრთოსანი ღვთაების გამოსახულება. ამ არსებას ეწოდა „უბერებელი ქრონოსი“, ასევე ჰერაკლე. მასთან ერთად

გაჩნდა ანანკე, (აუცილებლობა, ან გარდუვალობა), რომელმაც მთელი სამყარო მოიცვა და მის ორივე საზღვარს მისწვდა... ურჩხულმა ქრონოსმა სამგვარი ნაყოფი გამოიღო: ნოტიო ეთერი, უსასრულო ქაოსი და ნისლისებრი ერებოსი. შემდეგ ამ სამეულის ქვეშ მან დადო კვერცხი, რომლისგანაც დედამიწა უნდა შობილიყო. ბოლო პირველსაწყისი იყო ღმერთი, რომელიც ერთდროულად კაციც გახლდათ და ქალიც, მხრებზე ოქროსფერი ფრთებით, ფერდებზე ხარის თავებით ხოლო კისერზე ყველა ცხოველის მსგავსი უშველებელი დრაკონის თავით...“

რადგან ყველაფერი ასეთი უშველებელი და საზარელი აღმოსავლურ კულტურას უფრო შეესაბამება ვიდრე ბერძნულს, ვალტერ კრანცმა ის აღმოსავლურ თქმულებებს მიაკუთვნა.

ქუიათა

ერთ-ერთი არაბული მითი მოგვითხრობს უზარმაზარ ხარზე, რომელსაც ოთხი ათასი თვალი, ყური, ცხვირი, პირი, ენა და ფეხი აქვს. ხარი იმხელაა, რომ მისი ერთი ფეხიდან მეორემდე მისვლას ხუთასი წელი სჭირდება. ქუიათა თევზ ბაჰამუთის ზურგზე დგას. მის ზურგზე ლალის მთა დგას, ლალის მთაზე – ანგელოზი, ანგელოზს კი ხელთ ჩვენი დედამიწა უპყრია.

შეერთებული შტატების ფაუნა

ვისკონსინისა და მინესოტას ტყისმჭრელების სალაღობო მითოლოგიაში ისეთ უცნაურ ქმნილებებს ვხვდებით, რომელთა არსებობის დაჯერება თითქმის შეუძლებელია.

ჰაიდ-ბიჰაინდი მუდამ რაღაცის უკან იმალება. რამდენჯერაც უნდა შებრუნდეს ადამიანი, ყოველთვის მის უკან აღმოჩნდება. სწორედ ამიტომ, ის თვალით არავის უნახავს, მიუხედავად იმისა, რომ მას გადმოცემის მიხედვით უამრავი ტყისმჭრელი მოუკლავს და შეუჭამია.

როუპრაითი, ზომით პონისხელა ცხოველია, რომელსაც თოკის მსგავსი ნისკარტი აქვს. ამ ნისკარტით ის ყველაზე ფეხმარდ კურდღელსაც კი თვალის დახამხამებაში იჭერს.

თიკეთლერი ამ სახელს მის მიერ გამოცემულ ხმებს უმადლის, რომლებიც ჩაიდანში მოთუხთუხე წყლის ხმას წააგავს; მას პირიდან ორთქლი ამოსდის და უკან-უკან დარბის, რის გამოც, გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რომ მისთვისაც ძალიან იშვიათად მოუკრავთ თვალი.

ნაჯახისტარა ძაღლის თავი ნაჯახს ჰგავს, ხოლო სხეული – ნაჯახის ტარს. მას მოკლე, სქელი ფეხები აქვს და ნაჯახის ტარებით იკვებება.

ამ მიდამოებში გავრცელებულ თევზებს შორის ვხვდებით მაღლობის კალმახებს, რომლებიც ბუდეებს ხეებზე იკეთებენ, შესანიშნავად დაფრინავენ და წყლის ეშინიათ.

მოშორებით ბინადრობს გუფანგი, რომელიც უკან-უკან დაცურავს, რათა თვალებში წყალი არ ჩაუვიდეს. ის გარეგნულად მთვარის თევზს ჰგავს, ოღონდ მასზე გაცილებით დიდია.

მოდით, ჩიტ გუფუსსაც ნუ დავივიწყებთ – ფრინველს, რომელიც ბუდეს თავდაყირა იკეთებს და ფრენითაც უკუღმა დაფრინავს, რადგან ის მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ იმას, საიდან მოდის და არა იმას, თუ საით მიემართება.

გილიგალუ ბუდეს ცნობილი მეორმოცე პირამიდის ფერდობზე იკეთებს. ის კვადრატული ფორმის კვერცხებს დებს, რათა ისინი არ დაგორდნენ და არ დაიმტვრნენ. ტყისმჭრელები ამ კვერცხებს მაგრად ხარშავენ და კამათლებად იყენებენ.

მწვერვალის როჭოს ერთი ფრთა აქვს, რომელიც მას მხოლოდ ერთი მიმართულებით ფრენის საშუალებას აძლევს. ამიტომაც ის განუწყვეტლივ ერთ კონუსისებრი ფორმის ბორცვს დასტრიალებს. მისი ბუმბულის შეფერილობა წლის დროისა და მნახველის მდგომარეობის შესაბამისად იცვლის ფერს.

ჩეშირისა და კილკენის კატები

ინგლისურ ენაში არის ასეთი გამოთქმა – „ჩეშირის კატასავით იკრიჭება“. არსებობს ამ გამოთქმის წარმოშობის რამდენიმე ვერსია: ერთ-ერთი ვერსიით, ჩეშირში იყიდებოდა მოცინარი კატის ფორმის ყველი; მეორე ვერსიის მიხედვით, ჩეშირი საგრაფოდ გამოცხადდა და მისთვის ასეთი პატივის მიგებამ ადგილობრივ კატებსაც კი სიცილი მოჰგვარა; მესამე ვერსია კი გვიყვება, რომ რიჩარდ მესამის მეფობის ხანაში ერთი მამასახლისი ყოფილა, სახელად კატერლინგი, რომელიც, თუ ბრაკონიერს ცხელ კვალზე დაიჭერდა, მზაკვრულად იკრიჭებოდა.

ლუის კეროლმა 1865 წელს გამოქვეყნებულ თავის სიზმარეულ რომანში ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში, ჩეშირის კატას ისეთი უნარი მისცა, რომ შეეძლო ნელ-ნელა გაუჩინარებულიყო, სანამ მისგან მხოლოდ ღიმილი არ დარჩებოდა.

რაც შეეხება კილკენის კატებს, სამწუხაროდ, ისინი თურმე ისეთი გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ მათგან ბოლოს კუდებიღა რჩებოდა. ეს გადმოცემა მეთვრამეტე საუკუნით თარიღდება.

ჩინეთის ფაუნა

ჩან ლიანს ვეფხვის თავი, ადამიანის სახე, ორი წყვილი ჩლიქი და გრძელი კიდურები აქვს, კბილებით კი გველი უჭირავს.

წითელი წყლის დასავლეთით ბინადრობს ცხოველი, სახელად ჩუ-ცი, რომელსაც სხეულის ორივე მხარეს თავები აქვს გამობმული.

ჩუან-ცუს ბინადრებს ადამიანის თავი აქვთ, ღამურის ფრთები და ჩიტის ნისკარტი. ისინი მხოლოდ უმი ხორცით იკვებებიან.

სიაო, ჭოტს ჩამოჰგავს, ოღონდ მას ადამიანის სახე, მაიმუნის ტანი და ძაღლის კუდი აქვს. მისი გამოჩენა ხანგრძლივი გვალვის მომასწავებელია.

სინ-სინი ერთი უთავო არსებაა. მას თავი იმისთვის მოჰკვეთეს, რომ ღმერთებთან შერკინება გაბედა, ახლა კი სამუდამოდ უთავოდ

უნდა იცხოვროს. სინ-სინს თვალები მკერდზე აქვს ჩასმული, ჭიპი კი პირის მაგივრობას უწევს. ის ტრიალ მინდორში დახტის და ფარსა და ნაჯახს იქნევს.

თევზი, სახელად ჰუა, სხვაგვარად – მფრინავი გველთევზა, აგებულებით თევზს ჰგავს, მაგრამ ფრთები ფრინველისა აქვს. მისი გამოცხადება გვალვას მოასწავებს.

მთის ბინადარი ჰუი ადამიანის სახიანი ძაღლია. ის მარდად დახტის და ისრის სისწრაფით გადაადგილდება; სწორედ ამიტომ ადამიანებს სწამთ, რომ ის ტაიფუნების წინასწარმეტყველია. გარდა ამისა, ჰუი ადამიანების დანახვაზე მზაკვრულად იცინის.

გრძელხელათა ქვეყნის მობინადრენი ხელებს მიწაზე მიითრევენ. ისინი ზღვაში დაჭერილი თევზებით იკვებებიან.

„ზღვის ადამიანებს“ ადამიანის თავი და მკლავები და თევზის ტანი და კუდი აქვთ. ისინი აქაფებული წყლის ზედაპირზე ამოდიან ხოლმე.

„მუსიკალურ გველს“ ქვეწარმავლის თავი და ორი წყვილი ფრთა აქვს. ის მუსიკალური ქვის მსგავს ხმებს გამოსცემს.

ჯადოსნური წყლის ქვეყანაში მცხოვრები პინ-ფენი შავ ღორს ჰგავს, იმ განსხვავებით, რომ მას სხეულის ბოლოშიც თავი აბია.

„ციური რაში“ შავთავიან თეთრ ძაღლს ჰგავს, რომელსაც ხორციანი ფრთები აქვს და ფრენა შეუძლია.

უცნაური მკლავის რეგიონის ბინადრებს თითო მკლავი და სამ-სამი თვალი აქვთ. ისინი წარმოუდგენლად ხელმარჯვენი არიან და მფრინავ ეტლებს ამზადებენ, რომლებშიც ქარებს აბამენ.

ტი-ჩანი ზეციური ფრინველია. ის ზეციურ მთებში ცხოვრობს. აქვს მოწითალო-მოყავისფრო ბუმბული, ექვსი ფეხი და ოთხი ფრთა. სამაგიეროდ, სახე და თვალები არ გააჩნია“.

ტაი პინ კუან ჩი

ჩინური დრაკონი

როგორც ჩინური კოსმოგონია გვასწავლის, სამყაროს შემადგენელი ათი ათასი არსება ორი ერთმანეთის შემავსებელი და მარადიული საწყისის, ინისა და იანის ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა. ინს მიეკუთვნება: კონცენტრაცია, სიბნელე, პასიურობა, წყვილი რიცხვები და სიცივე. იანს – ზრდა, სინათლე, ვნება, კენტი რიცხვები და სითბო. ინი ქალურობის, დედამიწის, ნარინჯისფრის, დაბლობების, მდინარეების, კალაპოტებისა და ვეფხვის სიმბოლოა, იანი – მამაკაცურობის, ზეცის, ლურჯი ფერის, მთების, სვეტებისა და დრაკონისა.

ჩინური დრაკონი ლუნგი ოთხ მაგიურ ცხოველთაგან ერთ-ერთია (დანარჩენები არიან მარტორქა, ფენიქსი და კუ). ევროპის დრაკონი უკეთეს შემთხვევაში საზარელია, უარეს შემთხვევაში – სასაცილო. ლუნგი კი გადმოცემების მიხედვით რანგით ღმერთებს უტოლდება და ანგელოზს მოგვაგონებს, რომელიც ამავდროულად ლომიცაა. ერთხელ კონფუცი არქივარიუსსა და ბიბლიოთეკარ ლაო-ძის გაენდო და რჩევა ჰკითხა. მარტოდ დარჩენილმა კი ასეთი რამ თქვა: „ფრინველები დაფრინავენ, თევზები დაცურავენ და ცხოველები დარბიან. ვინც დარბის, იმას მახეს დაუგებ, ვინც ცურავს, იმას ბადით დაიჭერ, ხოლო ვინც ფრენს, ისრით განგმირავ. მაგრამ რა შეიძლება მოვუხერხოთ დრაკონს? მე არ ვიცი, როგორ აჭენებს ის ქარებს, არც ის ვიცი, ზეცაში როგორ აიჭრება ხოლმე. მე დღეს ლაო-ძი ვნახე და შემიძლია ვთქვა, მე ვნახე დრაკონი”. – ვკითხულობთ სიმა ციანის ისტორიულ მემუარებში.

ერთი დრაკონი ან ცხენი-დრაკონი ამოვიდა ყვითელი მდინარიდან და კეისარს ჩვენთვის კარგად ცნობილი მრგვალი დიაგრამის შესახებ უამბო, რომელიც ინისა და იანის ურთიერთობის სიმბოლოა; ერთ ხელმწიფეს თავლაში აღვირითა და უნაგირით შეკაზმული დრაკონი ება; ერთიც დრაკონის ხორცით იკვებებოდა და მისი სამფლობელო ყვაოდა. ერთმა პოეტმა კი იმის კარგად გასააზრებლად, თუ რა საფრთხე ახლავს განდიდების სენით შეპყრობას, ასეთი მაგალითი

მოიყვანა: „მარტორქა სიცოცხლეს ლორის ნაჭრებად ამთავრებს, დრაკონი – ხორციან ღვეზლად“.

ი ძინში (ცვლილებათა წიგნში) დრაკონი სიბრძნის სიმბოლოა.

ასწლეულობის განმავლობაში დრაკონი იმპერატორის სიმბოლოს წარმოადგენდა. იმპერატორის ტახტი დრაკონის ტახტად იწოდებოდა, მისი სახე კი დრაკონის გამოსახულებად. იმპერატორი რომ გარდაიცვლებოდა, ასე ამბობდნენ, დრაკონზე ამხედრებული ცად აიჭრაო.

ხალხის რწმენით, დრაკონი ღრუბლებს, სოფლის მოსახლეობისგან ხშირად ნანატრ წვიმას და დიდ მდინარეებს განაგებდა, ხოლო წვიმაზე ლაპარაკისას იყენებენ ცნობილ გამოთქმას: „დედამიწა დრაკონს შეერწყაო“. დაახლოებით VI საუკუნეში ჩან ძინ-იუმ დახატა ფრესკა, რომელზეც ოთხი დრაკონი იყო გამოსახული. მნახველებმა მხატვარი გააკრიტიკეს, რადგან მის დრაკონებს თვალები არ ჰქონდათ. განრისხებულმა ჩანმა ფუნჯს ხელი დაავლო და, როგორც კი ორი დრაკონისთვის თვალების მიხატვა დაასრულა, „ჰაერი ჭექა--ქუხილმა გააპო, კედელი გაიბზარა და დრაკონები ცაში აიჭრნენ. ხოლო მეორე წყვილი, რომელთაც თვალები არ ჰქონდათ, ფრესკაზე დარჩა“.

ჩინურ დრაკონს რქები, ბრჭყალები და ქერცლი აქვს, ზურგი კი ეკლებით აქვს დაფარული. მას, როგორც წესი, ხახაში ერთი ცალი მარგალიტით გამოსახავდნენ, რომელიც მზის სიმბოლოა. მისი ძალა ამ მარგალიტშია. თუ ვინმე მისთვის მარგალიტის წართმევას მოახერხებს, დრაკონი მთელ თავის თვისებებს კარგავს.

ჩუან ძი მოგვითხრობს ერთ შეუპოვარ კაცზე, რომელიც დრაკონების მოკვდინების ხელოვნებას სამი სირთულით აღსავსე წელი ეუფლებოდა, მაგრამ სიცოცხლის განმავლობაში მას არ მიეცა ამ ცოდნის გამოყენების საშუალება.

ჩინური მარტორქა

ჩინური მარტორქა, ანუ კი-ლინი, ერთ-ერთია კარგი ამბის მაუწყებელ ოთხ ცხოველთა შორის. დანარჩენებად მოიხსენიებიან დრაკონი, ფენიქსი და კუ. მარტორქა ოთხფეხა ცხოველია – მას ირმის ტანი, ხარის კუდი და ცხენის ჩლიქები აქვს, შუბლზე ხორციანი რქა ეზრდება, ზურგზე ხუთ სხვადასხვა ფრად უელვარებს ბეწვი, მუცელზე კი ღია ყავისფერი ან ყვითელია. მარტორქა მწვანე მინდორს ფეხს არ აბიჯებს და სულიერთაგან არავის ერჩის. მისი გამოჩენა ღირსეული მეფის დაბადებას წინასწარმეტყველებს. მისთვის ზიანის მიყენებას ან მისი ლეშის პოვნას უბედურება მოაქვს. ჩვეულებისამებრ მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ათასი წელია.

როდესაც კონფუცის დედა ვაჟს ჯერ კიდევ მუცლით ატარებდა, ხუთი პლანეტის სულმა მას უცნაური ცხოველი მოუვლინა, რომელსაც „ძროხის ტანი და დრაკონის ქერცლი ჰქონდა, ხოლო შუბლზე ცალი რქა ამოზრდოდა“. ასე აღწერს სუთჰილი ხარებას. ამ ლეგენდის ვილჰელმისეული ვერსია კი იუწყება, რომ ცხოველი თვითონ მოვიდა, პირში იასპის ფირფიტით, რომელზეც შემდეგი სიტყვები იყო ამოტვიფრული: „მთის ბროლის (წყლის არსის) პირმშოვ, როდესაც დინასტია დაემხობა, შენ გახდები უგვირგვინო მეფე“.

დაახლოებით სამოცდაათი წლის შემდეგ მონადირეებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ერთი კი-ლინი, რომლის რქასაც ჯერ კიდევ ამშვენებდა კონფუცის დედის მიერ შებმული ლენტი. კონფუცი მის სანახავად წავიდა და მწარედ ატირდა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდა, თუ რას მოასწავებდა იდუმალი და უდანაშაულო ცხოველის სიკვდილი, არამედ იმიტომაც, რომ იმ ლენტში მთელი მისი წარსული ცხოვრება იყო თავმოყრილი.

მე-13 საუკუნეში ინდოეთში შეჭრილი ჩინგიზ-ხანის ლაშქარი უდაბნოში ერთ ცხოველს გადააწყდა, „ირმის მსგავსს, შუბლზე ერთი რქითა და მომწვანო ბეწვით“, რომელმაც უთხრა მათ: „დროა, თქვენი მბრძანებელი შინ დაბრუნდეს“.

ჩინგიზ-ხანის ერთ-ერთმა ჩინელმა მინისტრმა, რომელსაც ხანმა რჩევა ჰკითხა, ცხოველის ნათქვამი ასე ახსნა: „ეს ცხოველი ჩიო--თუანი იყო, კი-ლინის ერთ-ერთი ნაირსახეობა. ოთხი ზამთარი იბრძოდა შენი მრავალრიცხოვანი ლაშქარი ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში. ცამ, რომელსაც აღარ უნდა ამდენი სისხლისღვრის ცქერა, ამის ნიშნად ჩიო-თუანი მოგივლინა“. ხანმა საომარ მზადებაზე ხელი აიღო.

ქრისტეშობამდე ოცდაორი საუკუნის უკან იმპერატორ შუნის ერთ მოსამართლეს ჰყავდა ერთრქიანი თხა, რომელიც უდანაშაულო ეჭვმიტანილს არას ერჩოდა, ხოლო დამნაშავეს იმ რქით უტევდა. მარგულიეს ჩინური ლიტერატურის განმარტებით ანთოლოგიაში (1948) ვპოულობთ IX საუკუნის ჩინელი მწერლის მშვიდსა და ამავდროულად იდუმალებით მოცულ თხზულებას: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარტორქა ზებუნებრივი და ბედნიერების მომტანი არსებაა; ამას ადასტურებენ ოდები, ანალები, ცნობილ პირთა ბიოგრაფიები და სხვა ხელნაწერები, რომელთა ნამდვილობა ეჭვს არ ბადებს. თვით ბავშვებმა და ქალებმაც კარგად იციან, რომ მარტორქა კარგი სიახლეების წინასწარმეტყველია. მაგრამ იგი შინაურ ცხოველთა კატეგორიას არ განეკუთვნება. მისი პოვნა არ არის ადვილი და არც მისი რომელიმე ჯგუფში გაერთიანება შეიძლება. ის არც ცხენია და არც ხარი, არც მგელი და არც ირემი. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მარტორქას შევხვდეთ, მაგრამ ვერ ამოვიცნოთ. ჩვენ ვიცით, რომ ფაფრიანი ცხოველი არის ცხენი, რქიანი – ხარი. მარტორქის გარეგნობის შესახებ კი არაფერი გვსმენია“.

ჩინური მელა

ჩვეულებრივი ზოოლოგიის კრიტერიუმებით თუ მივუდგებით, ჩინური მელა სხვა მელიებისგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ ფანტასტიკური ზოოლოგიის მიხედვით, მას სრულიად სხვა თვისებები ახასიათებს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მისი სიცოცხლის ხან-

გრძლივობა შვიდასიდან ათას წლამდე მერყეობს. ის ავისმომასწავებელ ცხოველად მოიაზრება და მისი სხეულის თითოეული ნაწილი განსაკუთრებული თვისების მატარებელია. საკმარისია კუდი მიწაზე დასცხოს, რომ მაშინვე ცეცხლი ჩნდება. მას მომავლის წინასწარმეტყველების უნარიც აქვს და უამრავი სხვადასხვა არსების სახის მიღება შეუძლია, მაგრამ ის მოხუც კაცებად, ქალწულებად და მწიგნობრებად გარდასახვას უფრო ამჯობინებს. ის ცბიერი, ფრთხილი და ეჭვიანია და ადამიანების ტანჯვა-წამებით უდიდეს სიამოვნებას იღებს. სიკვდილის შემდეგ ადამიანთა სულები ხშირად მელიის სხეულს აფარებენ თავს. ჩინური მელა სასაფლაოების ახლოს ბინადრობს.

ჩინურ მელიებზე უამრავი თქმულება არსებობს; აი ერთ-ერთი მათგანი, რომელიც საკმაოდ სახალისო მეჩვენა:

„ვანმა ერთ დღეს უკანა თათებზე მდგარი ორი მელა იხილა, რომლებიც ხეს მიყრდნობოდნენ. ერთ მათგანს ქაღალდი ეჭირა და ორივე ხმამაღლა იცინოდა, თითქოს რამე საერთო ოინი ჰქონდათ ჩაფიქრებული. ვანმა მელიების დაფრთხობა მოინდომა, მაგრამ ვერაფერი გააწყო; ადგა და იმ მელიას ესროლა, რომელსაც ქაღალდი ეჭირა. მელა თვალში დაჭრა და ქაღალდი წაართვა. ფუნდუკში მისულმა, თავისი იმდღევანდელი თავგადასავალი იქ შეკრებილ სტუმრებს უამბო. ამბავს რომ ჰყვებოდა, სწორედ ამ დროს უცხო მამაკაცი შემოვიდა დაზიანებული თვალით. მან ყურადღებით მოისმინა ვანის მონათხრობი და სთხოვა, მელიისთვის წართმეული ქაღალდი ეჩვენებინა. სწორედ იმ წამს, ვანს ქაღალდი რომ უნდა გაეწოდებინა, მეფუნდუკემ შენიშნა, რომ უცნობს კუდი ჰქონდა და ხმამაღლა შეჰყვირა: „შეჩერდი, მელაა!“ – უცნობი მაშინვე მელად გადაიქცა და გაქცევით უშველა თავს. მას შემდეგ მელიებმა მრავალჯერ სცადეს იმ ქაღალდის უკან დაბრუნება, რომელიც ამოუცნობი ნიშნებით იყო დაფარული, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამასობაში ვანმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა. გზად ის თავის ოჯახს გადაეყარა, რომელიც დედაქალაქში მიდიოდა. განა თვითონვე არ დაგვიბარე, – უთხრეს ამ ფაქტით განცვიფრებულ ვანს, ხოლო დედამ წერილიც კი აჩვენა, რომელშიც ვანი სახლ-კარისა და

სარჩო-საბადებელის პირწმინდად გაყიდვას და მასთან დედაქალაქში წასვლას სთხოვდათ. ვანმა ქაღალდი ყურადღებით დაათვალიერა და ნახა, რომ ზედ არაფერი ეწერა. რაღა უნდა ექნა, ჭერი და თავშესაფარი აღარ გააჩნდათ, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც გადაწყვიტა შინ დაბრუნება.

ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდა ვანის უმცროსი ძმა, რომელიც ყველას დიდი ხნის მკვდარი ეგონა. მოსულმა გაკვირვებით იკითხა, ასე როგორ გაღატაკდითო. ვანმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. „გასაგებია, – უთხრა ძმამ, როდესაც ვანმა მელიები ახსენა – მთელი ეს უბედურებაც სწორედ მაქედან მოდის“. ვანმა მას მელიისთვის წართმეული ქაღალდი უჩვენა. ძმამ კი უხეშად გამოგლიჯა ხელიდან და ჯიბისკენ გააქანა. „ბოლოს და ბოლოს ჩავიგდე ხელში, რასაც ვეძებდი“, – თქვა მან, მყისვე მელად გადაიქცა და მოკურცხლა“.

ჩინური ფენიქსი

ჩინური კანონიკური წიგნები ხშირად გვიცრუებენ იმედს, რადგან მათში ისეთი პათოსი არ იგრძნობა, როგორსაც ჩვენ ჩვენი ბიბლიისგან ვართ ნაჩვევი. მაგრამ სრულიად მოულოდნელად მათ სიღრმისეულ სიბრძნეში ვპოულობთ საკმაოდ ამაღელვებელ პასაჟებს. ამის დასტურად კონფუცის საუბრების მეშვიდე წიგნის ეს მონაკვეთი გამოგვადგება:

„მასწავლებელმა მიმართა მოსწავლეებს: - ასე როგორ დავმდაბლდი! რა ხანია ჩუს უფლისწული არ დამსიზმრებია“.

ან თუნდაც ეს ადგილი, მეცხრე წიგნიდან:

„მასწავლებელმა თქვა: - ფენიქსი აღარ მეჩვენება, მდინარეც არანაირ ნიშანს აღარ მაძლევს. ჩემი სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება“. ამ ნიშანში (როგორც ამას ტექსტის მკვლევრები გვიხსნიან) ერთი მაგიური კუს ბაკანზე მოთავსებული წარწერა იგულისხმება. ხოლო რაც შეეხება ფენიქსს (ფენს), ის მბრწყინავი ბუმბულით შემოსილი ფრინველია, რომელიც ხოხობს ან ფარშავანგს მოჰგავს. პრეისტორიულ ხანაში ის ღირსეული იმპერატორების ბაღებსა და სასახლეებს

სტუმრობდა, როგორც ზეციური წყალობის ნიშანი. მამრი ფრინველი, რომელსაც სამი ფეხი ჰქონდა, მზეზე ცხოვრობდა.

ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში ერთი თამამი ათეისტი ვან ჩუნი ამბობდა, რომ ფენიქსი ფრინველთა ერთ-ერთი გვარის წარმომადგენელიაო. ის ამტკიცებდა, რომ ისევე, როგორც გველი თევზად, ხოლო ვირთაგვა კუდ გადაიქცევა, ასევე გადაიქცეოდა ხოლმე ირემი საყოველთაო კეთილდღეობის დროს ციყვად, ხოლო ბატი – ფენიქსადო. ეს გარდასახვა, მისი აზრით, ერთი „სასწაულმოქმედი“ სითხის მეშვეობით იყო შესაძლებელი; ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ორი ათას სამას სამოცდახუთი წლის წინათ გონიერი იმპერატორის, იაოს ბაღში სწორედ ამავე სითხის წყალობით იზრდებოდა მეწამული ფერის ბალახიც. როგორც ვხედავთ, მისი მონათხრობი არაზუსტია, უფრო სწორად კი, ერთობ გაზვიადებული.

ჯოჯოხეთში ერთი წარმოსახვითი შენობა დგას, რომელსაც ფენიქსის კოშკი ეწოდება.

ჩრდილების მჭამელი

არსებობს ლიტერატურის ერთობ საინტერესო ჟანრი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოცენდა. იგი წარმოადგენს ერთგვარ ქვესკნელის გზამკვლევს მიცვალებულთათვის. ამ ჟანრის რამდენიმე ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ: სვედენბორგის სამოთხე და ჯოჯოხეთი, გნოსტიკური ნაშრომები, ბარდო ტოდოლი (რომელიც უ. ი. ევანს--უენცის აზრით ასე უნდა ითარგმნებოდეს გათავისუფლება საიქიოში დაკითხვის შედეგად) და ეგვიპტური მიცვალებულთა წიგნი. უკანასკნელმა ორმა წიგნმა თავისი მსგავსება-განსხვავებებით მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. ჩვენ კი, მოდით, მხოლოდ იმას გავუსვათ ხაზი, რომ ტიბეტური სახელმძღვანელო საიქიოს სააქაოსავით მაცდუნებლად მიიჩნევს, ეგვიპტური კი – ჭეშმარიტად და ობიექტურად.

ორივე ტექსტში ნახსენებია სამსჯავროები, სადაც მსაჯულები ღვთაებები არიან. მათგან რამდენიმეს მაიმუნის თავი აქვს და ორივეში ადამიანთა ცოდვა-მადლი იწონება. მიცვალებულთა წიგნში სასწორის პინებზე ბუმბული და გული დევს. ბარდო ტოდოლში კი შავი და თეთრი კენჭები. ტიბეტელებს ჯალათებად დემონები ჰყავთ, ეგვიპტელებს კი ჩრდილთა მჭამელი.

მიცვალებული იფიცება, რომ ის არასოდეს ყოფილა სხვისი შიმშილისა და ცრემლის მიზეზი, რომ მას არც თავად მოუკლავს ვინმე და არც სხვისთვის დაუვალებია ვინმეს მოკვლა, რომ სამარხში ჩასატანებელი არ მოუპარავს, ზომა-წონაში არავინ მოუტყუებია, ბავშვებისთვის რძე არ დანანებია, ცხოველები საძოვრებიდან არ გაურეკავს და არც ღმერთის საყვარელ ფრინველებზე უნადირია.

და თუ ის ცრუობს, ოცდაორი მსაჯული მას ჩრდილების მჭამელის კერძად გახდის, რომელსაც ნიანგის თავი, ლომის ტანი და ბეჰემოთის უკანალი აქვს“. სხვა მხეცი, ბაბაი, მისი მარჯვენა ხელია. მასზე მხოლოდ ის გვსმენია, რომ ის შიშისა და ძრწოლის მომგვრელია და რომ პლუტარქე მას ქიმერის მამასთან, ტიტანთაგან ერთ-ერთთან აიგივებდა.

ცალთვალა არსებები

სანამ მონოკლი (*Monoculus*) ჩვენთვის კარგად ცნობილი საგნის სახელწოდება გახდებოდა, ეს სიტყვა ცალთვალა არსებების განსაზღვრებად გამოიყენებოდა. ასევე მოიხსენიებდა მათ გონგორა XVII საუკუნის დასაწყისში შეთხზულ სონეტში *„Monóculo galán de Galatea“*. გონგორას, რაღა თქმა უნდა, პოლიფემე ჰყავდა მხედველობაში, რომელიც ასე დაგვიხასიათა: „ის, ნეპტუნის ველური ვაჟი, თავისი უზარმაზარი სხეულით მთას ჩამოჰგავდა და ქვეყანას შუბლის შუაგულში ჩასმული, ვარსკვლავივით დიდრონი თვალით უმზერდა. ეს არის ციკლოპი, რომლსაც უზარმაზარი ფიჭვი ლერწმის ღეროსავით ემსუბუქება. თმა შავი აქვს, ლეთესავით მუქი და ტალღოვანი. ამ ჭუჭყიან და

აბურდულ თმას ქარიშხლები უვარცხნიან. წვერი, რომელიც გულ--მკერდს უფარავს, აქაფებულ ჩანჩქერს – პირენეუსის თავნება შვილს – მიუგავს“.

ეს ერთობ გაზვიადებული სტრიქონები ვერ შეედრება სტრიქონებს კვინტილიანეს მიერ ნაქები ენეიდას მესამე ნაწილიდან, რომლებიც, თავის მხრივ, ტოლს ვერ დაუდებს ოდისეას მეცხრე სიმღერაში ნათქვამს. პოეტური რწმენის შემცირებასთან ერთად იკლებს ამ ნაწარმოებების ლიტერატურული ღირებულება. ვირგილიუსს მართალია სურს თავისი პოლიფემეთი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე, მაგრამ სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ არც კი სწამს მისი არსებობისა, ხოლო გონგორას მხოლოდ სიტყვის – სიტყვიერი ხელოვნებისა და სიტყვიერი ქმნილებებისა სჯერა.

ციკლოპების ტომი ცალთვალა არსებათაგან ერთადერთი არ გახლდათ. პლინიუსი (VII, 2) მათ რიცხვში არიმასპებსაც მოიხსენიებს, ანუ კაცებს „რომლებიც იმით გამოირჩევიან, რომ მხოლოდ ერთი თვალი აქვთ და თანაც შუბლის შუაში. ისინი გაუთავებლად ეომებიან გრიფებს, ერთგვარ ფრთოსან ურჩხულებს, რათა მათ დედამიწის წიაღიდან ამოტანილი ოქრო წაგლიჯონ, რომელსაც გრიფები ისეთივე გაშმაგებით იცავენ, როგორითაც არიმასპები მათთვის ოქროს წართმევას ცდილობენ.

ხუთასი წლის შემდეგ ენციკლოპედისტმა ჰეროდოტე ჰალიკარნასელმა შემდეგი სტრიქონები დაწერა: „ჩანს, ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში დიდი ოდენობით ოქრო უნდა მოიპოვებოდეს, მაგრამ არ შემიძლია იმის თქმა, სად ან რა გზით. მავანნი ამბობენ, რომ ცალთვალა არიმასპები მას გრიფებს სტაცებენ; მაგრამ ეს თქმულება ერთობ უსუსურია იმისთვის, რომ ქვეყნად მხოლოდ ერთი თვალის მქონე ადამიანების არსებობა დაგაჯეროს. (III, 116)“.

ცერბერი

თუ ჯოჯოხეთი სახლია, ჰადესის სახლი, ბუნებრივია, რომ მას მოდარაჯე ძაღლიც სჭირდება. ასევე ბუნებრივი გახლავთ ისიც, რომ ეს

ძაღლი მნახველში შიშსა და ძრწოლას უნდა ბადებდეს. ჰესიოდეს თეოგონიაში მას ორმოცდაათი თავი აქვს. სახვითი ხელოვნებისთვის საქმის გასაიოლებლად, მათი პირობითი რაოდენობა დროთა განმავლობაში შემცირდა და ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცერბერს სამი თავი აქვს. ვირგილიუსი ამ არსების სამ ხახას მოიხსენიებს; ოვიდიუსი მის სამმაგ ყეფას. ბატლერი რომის პაპის, როგორც ცის სასუფევლის მეკარის ტიარაზე გამოსახულ სამ გვირგვინს, ჯოჯოხეთის კარის დარაჯი ძაღლის სამ თავს ამსგავსებს. დანტე ამ არსებას გარკვეულ ადამიანურ თვისებებს ანიჭებს, რითაც მის ჯოჯოხეთურ ბუნებას კიდევ უფრო მკვეთრად წარმოაჩენს; გაპოხილი შავი წვერი, ბასრი ბრჭყალებით მოსილი ფეხები, რომლებიც მათრახების წუილში ძიძგნიან ცოდვილთა სულებს. ის ამათრახებთ მათ, თან ყეფს და ეშვებს აშიშვლებს.

ცერბერის მზის შუქზე ამოყვანა ჰერაკლეს მიერ ჩადენილი ბოლო საგმირო საქმე იყო. მე-18 საუკუნის ინგლისელი მწერალი, ზაქარი გრეი ამ თავგადასავლის ასეთ ვერსიას გვაწვდის: „ეს სამთავიანი ძაღლი წარსულის, აწმყოს და მომავლის სიმბოლოა, რომლებიც ჯერ ეგებებიან ნებისმიერ მოვლენას, ხოლო შემდეგ, ასე ვთქვათ, ძაღლივით ნთქავენ მათ. ჰერაკლეს მიერ ცერბერის დამარცხება იმის დასტურია, რომ საგმირო საქმეებს დროის დამარცხება და თაობების მეხსიერებაში მარადიულად დარჩენა ძალუძთ“.

უძველესი ტექსტების მიხედვით ცერბერი ჯოჯოხეთში მისულთ კუდის (ეს კუდი კი გველია) ქიცინით ეგებება, გაქცევის მსურველთ კი ნაფლეთებად აქცევს. მოგვიანებით დათარიღებული თქმულების მიხედვით, ის ქვესკნელში მოხვედრილთ მაშინვე კბენს. ცერბერის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, მიცვალებულებს კუბოში თაფლკვერს ატანდნენ.

სკანდინავიურ მითოლოგიაში სისხლში ამოსვრილი ძაღლი გარმრი მკვდრების სამეფოს დარაჯობს და თუ ჯოჯოხეთის მგლებმა მზე და მთვარე გადაყლაპეს, ღმერთებს შეერკინება. მავანნი ამბობენ, ამ ძაღლს ოთხი თვალი აქვსო. ბრაჰმანების სიკვდილის ღმერთის იამას ძაღლებსაც ორი წყვილი თვალი ჰქონდათ.

ბრაჰმანური და ბუდისტური რელიგიის მიმდევრებს სწამთ ჯოჯოხეთის, რომელიც სავსეა ცოდვილთა სულების მწამებელი, დანტეს ცერბერის მსგავსი ქოფაკებით.

ცეცხლოვანი ხელმწიფე და მისი რაში

ჰერაკლიტეს მოძღვრების მიხედვით საწყისი ელემენტი არის ცეცხლი, მაგრამ ცეცხლისგან შექმნილი არსებები, დამეთანხმებით, ერთობ ძნელი წარმოსადგენია. არსებები, რომლებიც ალის არამდგრადი სუბსტანციისგან შედგებიან. უილიამ მორისი შეეცადა ვენერასათვის მიძღვნილ ბეჭედში, ციკლიდან მიწიერი სამოთხე (1868-70), ეს თითქმის შეუძლებელი რამ სიტყვებით გადმოეცა.

აი, რას მოგვითხრობს უილიამ მორისი: „იმ დემონების მბრძანებელი ერთი ძლევამოსილი ხელმწიფე გახლდათ, თავზე გვირგვინითა და ხელში კვერთხით. მარმარილოსავით თეთრი და გლუვი სახე ალივით უნათებდა. მაგრამ იგი ხორცშესხმულის ნაცვლად ცეცხლისა იყო, რომელიც განუწყვეტლივ პარპალებდა და მის გამომეტყველებაში ჟინი, სიძულვილი და დრტვინვა ერთმანეთს ენაცვლებოდა. არც ის არსება იწვევდა ნაკლებ გაოცებას, რომელზეც ხელმწიფე ამხედრებულიყო: ის არც ცხენი იყო, არც დრაკონი და არც ჰიპოგრიფი, არცერთ მათგანს არ ჰგავდა, და სიზმარეული მოჩვენებებივით იცვლიდა იერსახეს“.

არ არის გამორიცხული, ამ სტრიქონების წერისას ავტორზე დაკარგულ სამოთხეში (II, 666-73) სიკვდილის განზრახ ორაზროვან დახასიათებას მოეხდინა გავლენა. „იმას, რაც თავს ჰგავს, გვირგვინი ადგას, სხეული კი აჩრდილია, რომელიც გარშემო ეფინება“.

ციური ირემი

ციური ირმის გარეგნობის შესახებ არაფერი ვიცით (ალბათ იმიტომ, რომ თვალით არავის უნახავს), მაგრამ, სამაგიეროდ, ვიცით ის,

რომ ეს ტრაგიკული ხვედრის მქონე ცხოველები მიწისქვეშეთში ცხოვრობენ და მუდამ დღის სინათლის ნატვრაში არიან. მათ ლაპარაკი შეუძლიათ და მაღაროელებს ეხვეწებიან, გაქცევაში დაეხმარონ. თავიდან მაღაროელების მოქრთამვას ცდილობენ და დახმარების სანაცვლოდ ძვირფას მადნეულს ჰპირდებიან, ხოლო როდესაც ნახავენ რომ ეს ხერხი არ ჭრის, ირმები ლანძღავენ და აღიზიანებენ მაღაროელებს, ისინი კი ცხოველებს იჭერენ და მაღაროში ამწყვდევენ. მავანნი ამბობენ, რომ ირმები მაღაროელებს აწამებენ და კლავენ კიდეცო.

ლეგენდის თანახმად, თუ ირმები დღის შუქზე გამოსვლას მოახერხებენ, მყრალ სითხედ გადაიქცევიან, რომლის გარშემო უბედურება და სიკვდილი ისადგურებს.

ეს ლეგენდა ჩინურია და მისი წაკითხვა შესაძლებელია ჯ. უილობი-მიდის წიგნში ჩინური ალგულები და გობლინები (ლონდონი, 1928).

ციური მამალი

ჩინელებს სწამთ, რომ ციური მამალი ოქროს ბუმბულით დაფარული ფრინველია, რომელიც დღეში სამჯერ ყივის: პირველად მაშინ, როდესაც მზე ოკეანეში დილის აბაზანას იღებს; მეორედ, როდესაც მზე ზენიტშია; მესამედ კი დაისის ჟამს. მამლის პირველი ყივილი ზეცას აზანზარებს და ადამიანთა მოდგმას აღვიძებს. ციური მამალი იანის, სამყაროს მამრობითი საწყისის წინაპარია. მას სამი ფეხი აქვს და ბუდეს ფუ-სანის ხეზე იკეთებს, რომლის სიმაღლე ასობით მილია და რომელიც აღმოსავლეთში იზრდება. ციურ მამალს ძლიერი ხმა და მედიდური ნაბიჯი აქვს. მისი კვერცხებიდან წითელბიბილოიანი წიწილები იჩეკებიან, რომლებიც ყოველ დილით მამლის ყივილს ყივილით პასუხობენ. დედამიწაზე ყველა მამალი ციური მამლის შთამომავალია, რომელსაც სხვაგვარად აისის ფრინველსაც უწოდებენ.

ცხოველი კაფკას სიზმრიდან

„ეს არის ვეებერთელა, რამდენიმე იარდის სიგრძისა და მელიასავით ფუმფულაკუდიანი ცხოველი. რა სიამოვნებით შევავლებდი ხელს მის კუდს, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ცხოველი გაუჩერებლად მოძრაობს და კუდსაც სულ აქეთ-იქით იქნევს. სახეს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ადამიანის სახესავით ბრტყელი, მომცრო და ოვალურია, ის კენგრუს წააგავს; აი, კბილები კი ყოველთვის შთამბეჭდავი აქვს, მიუხედავად იმისა, აჩენს მათ თუ ფარავს. ხანდახან მგონია, რომ ეს ცხოველი ჩემს მოთვინიერებას ცდილობს. აბა, მაშ სხვა რა მიზანი უნდა ჰქონდეს, როდესაც კუდს, როგორც კი მასზე ხელის შევლებას მოვინდომებ, ხელიდან მაცლის, მერე კი მოთმინებით ელის, კიდევ როდის წამძლევს სული, რომ ისევ გვერდზე გამიხტეს“.

ფრანც კაფკა, ქორწილის სამზადისი სოფლად, 1953

ცხოველი კ. ს. ლუისის სიზმრიდან

„...სიმღერა ძალიან ხმამაღლა გაისმა, ტყე კი ისეთი უსიერი გახდა, რომ ერთ იარდზეც კი ვეღარაფერს ხედავდა, და ამ დროს მელოდია მოულოდნელად შეწყდა. მერე ფოთლების შარიშური და დამტვრეული ტოტების ლაწალუწი გაიგონა, და იქით გასწია, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. ის იყო ძებნისთვის თავი უნდა დაენებებინა, რომ სიმღერა ხელმეორედ გაისმა და ამჯერადაც საკმაოდ ახლოს. ისევ იქით გაემართა, საიდანაც ხმა მოდიოდა, მაგრამ მომღერალი არსება ისევ გაჩუმდა და გაეცალა. ასე თამაშობდა დამალობანას კიდევ ერთი საათის განმავლობაში, სანამ ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

ერთ-ერთი ყველაზე ხმამაღალი პასაჟის დროს, ფეხაკრეფით წაიწია წინ და როგორც იქნა, აყვავებულ ტოტებს შორის რაღაც შავს მოჰკრა თვალი. სიმღერა რომ შეწყდებოდა, ისიც ჩერდებოდა და წინ მხოლოდ მაშინ მიიწევდა, როცა განახლდებოდა ხოლმე. ასე ეპარე-

ბოდა ათი წუთის განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, ამ არსებას ლამის თავზე წაადგა, ის კი მღეროდა და ვერ ამჩნევდა, რომ უთვალთვალებდნენ. შავი, მბრწყინავი ბეწვით იყო დაფარული და ძაღლივით იჯდა, მაგრამ მხრები რენსომის თავზე გაცილებით მაღლა ჰქონდა, წინა ფეხები კი, რომლებსაც ეყრდნობოდა, ნორჩ ხეებს ჰგავდნენ და აქლემის ფეხების მსგავსად რბილი თათებით მთავრდებოდა. უშველებელი მრგვალი მუცელი თეთრად უელავდა და მხრებიდან გრძელი, ცხენის კისრის მსგავსი კისერი ეზრდებოდა. თავისი სამალავიდან რენსომი მის პროფილს ხედავდა – მისი ფართოდ გახსნილი ხახიდან სიხარულის სიმღერა, მშვენიერი მელოდია მორაკრაკებდა, კარგად ჩანდა, როგორ ადი-ჩადიოდა სიმღერის დროს მისი ხორხი. რენსომი იდგა და გაკვირვებული შეჰყურებდა მის დანამულ თვალებს, ათრთოლებულ, მგრძნობიარე ნესტოებს. მაგრამ აჰა, შეამჩნია რა მომხვდური, არსება გაჩუმდა, წამოიმართა, ოთხივე ფეხზე დადგა და თავისი ადგილიდან რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. როგორც აღმოჩნდა სიმაღლით ახალგაზრდა სპილოსხელა იყო და განუწყვეტლივ იქნევდა გრძელ, ფუმფულა კუდს. ეს პირველი არსება იყო პერელანდრიაში, რომელსაც თითქოსდა ადამიანის შიში ეტყობოდა. თუმცა ეს სულაც არ ყოფილა შიში. როდესაც რენსომმა თავისთან მოუხმო, ის მოუახლოვდა, ხავერდის ცხვირი ხელისგულში ჩაუყო და დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში გაჩერდა ამ მდგომარეობაში. მერე მოულოდნელად უკან დაიხია, გრძელი კისერი მოიქნია და თავი თათებს შორის ჩამალა. რენსომი მიხვდა, რომ მისგან მეტს ვერაფერს მიიღებდა და როდესაც არსება მიიმალა, უკან აღარ ასდევნებია. რენსომს ეჩვენებოდა, რომ ასეთი საქციელი შეურაცხყოფა იქნებოდა არსების ფაუნისმაგვარი მფრთხალი და დამთმობი სირბილისათვის, მისი აშკარა სურვილისთვის, უსიერ, გაუვალ ტყეში ბგერებთან განმარტოებულიყო და გამთლიანებულიყო. რენსომმა გზა განაგრძო. რამდენიმე წამის შემდეგ მას ახლა ზურგიდან შემოესმა სიმღერა – კიდევ უფრო ხმამაღალი და მელოდიურად მჟღერი, როგორც ხელახლა ნაპოვნი მარტოობის საზეიმო ჰიმნი.

ამ ჯიშის ცხოველებს რძე არა აქვთ (ასე თქვა პერელანდრამ) და მათ ლეკვებს სხვა მოდგმის ძუ კვებავს. ის ზორბაა და ძალიან ლამაზი, მაგრამ სიმღერის ნიჭით არ არის დაჯილდოებული. სანამ მომღერალი ცხოველის ლეკვი სხვა მოდგმის ძუს რძეს წოვს, ის ამ ძუსთან და მის ლეკვებთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ როგორც კი წამოიზრდება, ველურ ცხოველთა შორის ყველაზე მგრძნობიარე და დიდებული ხდება და მისგან მიდის. დარჩენილი ძუ კი მისი სიმღერით იხიბლება...“

ცხოველი პოს სიზმრიდან

თავის რომანში ნანტაკიტელი არტურ გორდონ პიმის მონათხრობი, რომელიც 1838 წელს გამოიცა, ედგარ ალან პომ ანტარქტიკის კუნძულები უცნაური ცხოველებით დაასახლა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არც მათი არსებობაა მთლად დაუჯერებელი. მეთვრამეტე თავში ვკითხულობთ:

„ჩვენ ტოტიც ვიპოვეთ, კუნელის მსგავსი წითელი კენკრით, და ხმელეთზე მცხოვრები უცნაური ფორმის ცხოველის ლეშიც. ის სამი ფუტის სიგრძისა და დაახლოებით ექვსი ინჩის სიმაღლისა იქნებოდა. მის ოთხ ძალზე მოკლე ფეხს ალისფერი, ბასრი კლანჭები ჰქონდა, რომელიც მარჯნებს მოგვაგონებდნენ. თოვლივით სპეტაკი, გლუვი და აბრეშუმივით რბილი ბეწვი ჰქონდა და ვირთხასავით წვეტიანი, დაახლოებით ერთნახევარი ფუტის სიგრძის კუდი. თავი კატისას უგავდა, გარდა, ყურებისა, რომლებიც მეძებარი ძაღლივით დაბლა ეკიდა. კბილებიც ისეთივე ალისფერი ჰქონდა, როგორც კლანჭები“.

ანტიპოდების წყალიც არანაკლებ უცნაური გახლდათ: „თავდაპირველად მისი დალევისგან თავი შევიკავეთ. გვეშინოდა მოწამლული არ ყოფილიყო. არც კი ვიცი, მისი განსაკუთრებულობა როგორ აღვწერო. ამას რამდენიმე სიტყვით ვერ მოვახერხებ. მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი სისწრაფით მიედინებოდა, დაწმენდილი თითქმის არასდროს იყო, მხოლოდ მაშინ, როცა ჩანჩქერად გადმოედინებოდა. იქ, სადაც ოდნავ მდორედ მიედინებოდა, სქელდებოდა, როგორც

წყალში ჩაწვეთებული ფისი. მას კიდევ უფრო გასაოცარი თვისებებიც გააჩნდა. უფერული არ ეთქმოდა, მაგრამ ვერც იმას იტყოდი, კონკრეტული ფერი აქვსო. აბრეშუმივით ელავდა მეწამული ფერის ყველა ტონალობაში. ჩვენ ის ცოტა ხნით ჭიქაში დავტოვეთ და ვნახეთ, რომ სითხე ცალკეულ შრეებად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ფერი ჰქონდა და ერთმანეთში არ იყო არეული. თუ ამ შრეებს დანის ჰორიზონტალური დასმით ერთმანეთისგან გააცალკევებდი, ისინი უმალ ისე ერთდებოდნენ, რომ გაყოფის არანაირი კვალი არ რჩებოდა. ხოლო თუ დანის პირს ზუსტად შრეებს შორის შეაცურებდი, შრეები ერთმანეთს შორდებოდნენ და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ უერთდებოდნენ ერთმანეთს“.

წვიმის ფრინველი

წვიმის მოსაყვანად დრაკონთან ერთად ჩინელი გლეხები ფრინველსაც მიმართავენ, რომელიც შან იანის სახელით არის ცნობილი. მას მხოლოდ ერთი ფეხი აქვს. ხალხის რწმენით, ეს ფრინველი წყალს მდინარეებიდან სვამს, შემდეგ კი წვიმის სახით ზეციდან აფრქვევს ქვეყანას.

ძველად ბრძენკაცები ათვინიერებდნენ ამ ფრინველს და სახელოში შემალული თან დაჰყავდათ. მემატიანეები მოგვითხრობენ, რომ ერთ დღესაც ჩვეულებისამებრ ცალ ფეხზე მოხტუნავე შან იანმა ფრთების ფარფატით უფლისწულ ცის წინ ჩაურბინა. მომხდარით შეშინებულმა უფლისწულმა თავისი ერთ-ერთი მინისტრი ლუში გაგზავნა, რათა კონფუცისთვის ეკითხა, თუ რას მოასწავებდა ეს ამბავი. კონფუციმ იწინასწარმეტყველა, რომ შან იანი არა მარტო მის სამფლობელოში, არამედ მიმდებარე ტერიტორიებზეც წყალდიდობას გამოიწვევდა და ურჩია, ჯებირებისა და არხების მშენებლობას შესდგომოდნენ. უფლისწულმა ყურად იღო კონფუცის რჩევა, რითაც სახელმწიფო დიდი განსაცდელისგან იხსნა.

ხეიოკა

სიუს ტომის ინდიელების რწმენით, ხეიოკა ქარებს დოლის ჯოხებივით იყენებდა ჭექა-ქუხილის გამოსაწვევად. მისი რქები კი იმის დასტურია, რომ ხეიოკა ნადირობის ღმერთიცაა. ის ქვითინებდა, როცა ბედნიერი იყო და იცინოდა, როცა სევდა ეუფლებოდა. გარდა ამისა, ხეიოკა სიცივეს სიცხედ, ხოლო სიცხეს პირიქით სიცივედ აღიქვამდა.

ხუმბაბა

საკითხავია, თუ როგორ გამოიყურებოდა გოლიათი ხუმბაბა, რომელიც არასრული ფორმით შემონახულ და, სავარაუდოდ, მსოფლიოს ყველაზე ძველ, ბაბილონურ ეპოსში გილგამეში კედრის ტყეს დარაჯობს. გეორგ ბურკჰარდი შეეცადა ეპოსისთვის ხელახლა შთაებერა სული (გილგამეში, ვისბადენი, 1952). აი, მისი ნაამბობიც:

„ენკიდუმ ცულით პირველი კედარი წააქცია. „ვინ გაბედა ტყეში შემოსვლა და კედრის ხის წაქცევა?“ – გაისმა საშინელი ღრიალი. გმირების თვალწინ მთასავით წამოიმართა ხუმბაბა, რომელსაც ლომის ბრჭყალები ჰქონდა, სხეულს ბრინჯაოს ქერცლი უფარავდა, ტერფებზე სვავის კლანჭები ესხა, შუბლზე ველური ხარის რქები ადგა, ხოლო ურჩხულის კუდიცა და სასქესო ორგანოც გველის თავით ბოლოვდებოდა“.

გილგამეშის მეცხრე სიმღერაში მორიელის მსგავსი არსებები, ნახევრად მორიელები და ნახევრად ადამიანები, რომლებიც თავებით ზეცას ეხებიან, წელს ქვემოთ კი ქვესკნელში არიან ჩაფლულები, იცავენ მთების კარს, რომელთა შორისაც ყოველ დილას მზე ამოდის.

პოემა თორმეტ ნაწილადაა დაყოფილი, რაც ზოდიაქოს თორმეტ ნიშანს უკავშირდება.

ჯაჭვებასხმული ნეზვი

ფელიქს კოლუჩიოს შედგენილი არგენტინული ფოლკლორის ლექსიკონის (ბუენოს-აირესი, 1950) ას მეექვსე გვერდზე ასეთი რამ წერია:

„კორდობას ჩრდილოეთში, განსაკუთრებით კი ქვალინოში გავრცელებულია თქმულება ჯაჭვებასხმულ ნეზვზე, რომელიც ღამღამობით ამჯობინებს გამოჩენას. რკინიგზის სადგურთან ახლოს მცხოვრებლები ჰყვებიან, რომ ჯაჭვებასხმული ნეზვი ხშირად ლიანდაგებზე დადის, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ტელეგრაფის მავთულებზე დადის ჯაჭვების საშინელი ჟღარუნითო. ნახვით ის არასოდეს არავის უნახავს, რადგან თუ ვინმე მოინდომებს და მის სანახავად გარეთ გავა, ნეზვი ამას თითქოს რაღაც იდუმალი ძალით გრძნობსო, მაშინვე უჩინარდება.“

ჯინი

ისლამისტური რწმენის მიხედვით ალაჰმა ანგელოზები ჰაერისგან, ჯინები ცეცხლისგან, ხოლო ადამიანები მტვრისგან შექმნა. მავანნი ამტკიცებენ, რომ ჯინი შავი და უკვამლო ცეცხლისგან იშვა. ეს არსებები ადამზე ორი ათასი წლით მეტს ითვლიან, მაგრამ, ლეინს თუ დავუჯერებთ, ისინი „მეორედ მოსვლამდე ერთიანად უნდა ამოწყდნენ“.

ლეინი ჯინების შესახებ მეტსაც გვეუბნება: „ცნობილია, რომ ჯინები ჰაეროვანი, გამჭვირვალე სხეულის მქონე არსებები არიან, რომელთაც სხვადასხვა ფორმის მიღება შეუძლიათ“. – ამბობს ალ-ყაზვინი, XIII საუკუნის მწერალი.

ისინი მნახველს თავდაპირველად ღრუბლის სახით ან მაღალ, გაურკვეველი ფორმის სვეტებად გამოეცხადებიან ხოლმე, შემდეგ კი, სურვილისამებრ, ადამიანის, ტურის, მგლის, ლომის, მორიელის ან გველის ფორმას იღებენ. მათი ნაწილი მორწმუნეა, ნაწილი – ერეტი-

კოსი ან ათეისტი. სანამ ადამიანი ქვეწარმავალს მოკლავს, მან ის წინასწარ უნდა გააფრთხილოს და მოსთხოვოს თავისი ადგილსამყოფლის დატოვება. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გველის მოკვლა ნებადართულია. ჯინებს სქელ კედელში გავლა, ჰაერში ფრენა და საჭიროების შემთხვევაში გაუჩინარებაც შეუძლიათ. „ხშირად ისინი ზეცის ყველაზე დაბალ შრემდეც აღწევენ ხოლმე, – მოგვითხრობს ლეინი, – სადაც ყურს უგდებენ ანგელოზების საუბარს უფლის განჩინებებისა და მომავლის შესახებ, მოპოვებული ინფორმაცია კი ადამიანებთან ჩამოაქვთ და ამ გზით მკითხავებსა და ჯადოქრებს ერთგულ სამსახურს უწევენ“. ერთი სწავლულის აზრით, ეგვიპტის პირამიდები ჯინებმა (ან ერთ-ერთმა მათგანმა) ააგეს, ისე როგორც, სულეიმანის (დავითის ძის სოლომონის) მიერ ნაბრძანები იერუსალიმის დიდი ტაძარიო.

ამბობენ, რომ ჯინები სახლების სახურავებიდან და აივნებიდან გამვლელებს ქვებს ესვრიან. ჯინები ლამაზ ქალებსაც იტაცებენ. მათგან თავისა და ქონების დასაცავად ადამიანმა გულმოწყალე ალაჰის სახელი უნდა ახსენოს. ჯინები ხშირად ნანგრევებში, მიტოვებულ სახლებში, წყაროებში, მდინარეებსა და უდაბნოებში ბინადრობენ. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ უდაბნოს ქარში მბრუნავი მტვრისა და ქვიშის სვეტების მიზეზი სწორედ ჯინები იყვნენ და რომ ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი ალაჰის მიერ მზაკვარი ჯინისთვის ნასროლი შუბია. იბისი მათი ბატონი და მბრძანებელია.

ჰანიელი, კაფზიელი, აზრიელი, ანიელი

იეზეკიელ წინასწარმეტყველს ბაბილონში ასეთი ხილვა ჰქონდა: მას გამოეცხადა ოთხი არსება თუ ოთხი ანგელოზი, რომელთაგან „თითოეულს ოთხ-ოთხი სახე და ოთხ-ოთხი ფრთა ჰქონდა“, „მათი სახეები კი ასეთი იყო: ადამიანის და ლომის სახე ჰქონდა ოთხ მათგანს მარჯვენა მხარეს; ხარის სახე ოთხ მათგანს მარცხენა მხარეს და

არწივის სახე ოთხივე მათგანს“. ამასთან, „თითოეული თავისი პირისახის მიმართულებით მოძრაობდა; საითაც მიჰყავდა სულს, იქით მიდიოდნენ, არ ტრიალდებოდნენ სიარულისას“. ანუ, როგორც პირველი ესპანური ბიბლია (1569) გვეუბნება, „თითოეული მათგანი იქით მიდიოდა, საითაც მისი სახე იყო მიმართული“. ოთხი ბორბალი, „ფერსოები მათი მაღალი და საშინელი იყო, ოთხივე ფერსო ირგვლივ თვალებით იყო სავსე“.

ცხოველები წმინდა იოანე ოქროპირის აპოკალიპტური გამოცხადებიდან, იეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვიდან უნდა იყვნენ შობილნი, რომლის მეოთხე თავშიც ვკითხულობთ:

„და წინაშე საყდარსა მისსა ზღუა ჭიქისა, მსგავსი ბროლისა. და შორის საყდრისა და გარემო საყდრისა ოთხნი ცხოველნი, სავსენი თუალითა წინათ და უკუანათ. და ერთი ცხოველი მსგავს იყო ლომისა, და მეორ ცხოველი მსგავსი კუროისა, და მესამესა ცხოველსა აქუნდა პირი კაცისა, და მეოთხ მსგავსი არწივსა მფრინვალესა. და ოთხთა მათ ცხოველთა თითოეულსა აქუნდეს ექუსნი ფრთენი გარემო, და შინაგან სავსე არიან თუალითა. და განსუენება არა აქუს დღე და ღამე, არამედ იტყვან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი ღმერთი, რომელი იყო და არს და მომავალ არს.“

ზოჰარი, ანუ ბრწყინვალებათა წიგნი გვამცნობს, რომ ამ ოთხ არსებას ჰანიელი, კაფზიელი, აზრიელი და ანიელი ჰქვიათ და მათ მზერა აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით აქვთ მიპყრობილიო.

სტივენსონი გაოცებული ამბობდა, ზეცაში თუ ეს ხდება, ჯოჯოხეთში რაღა იქნებაო. წმინდა იოანეს ხილვის ამ პასაჟმა დააწერინა ჩესტერტონს ცნობილი მეტაფორა „ურჩხული შექმნილი ურიცხვი თვალისგან“.

ოთხსახოვან ანგელოზებს ეზეკიელის წიგნიდან „*Hayoth*“ (ცოცხალი არსებები) ჰქვიათ. „*Sefer Yeçirah*“-ში, კაბალას კიდევ ერთ წიგნში, ისინი ათი რიცხვის არსს წარმოადგენენ, რომლებიც, ანბანის ოც ასოსთან ერთად ღმერთს ჩვენი სამყაროს შესაქმნელად დასჭირდა;

ზოჰარის თანახმად ეს ანგელოზები დედამიწაზე ასოების გვირგვინით თავდამშვენებულნი დაეშვნენ.

ევანგელისტები თავიანთ სიმბოლოებს ხაიოთების ოთხსახოვნებას უმადლიან. მათეს ანგელოზი ერგო, რომელსაც ზოგჯერ წვეროსანი კაცის სახე აქვს; მარკოზს – ლომი; ლუკას – ხარი; იოანეს კი – არწივი. წმინდა იერონიმე იეზეკიელისთვის გაკეთებულ კომენტარებში შეეცადა ეს ატრიბუტები ლოგიკურად დაესაბუთებინა. ის ამბობს, რომ მათეს სიმბოლოდ ადამიანის გამოსახულება ერგო, რამეთუ მან განადიდა ქრისტეს ადამიანური ბუნება; მარკოზს – ლომი, რამეთუ მან გვამცნო ქრისტეს სამეფო დიდებულების შესახებ; ლუკას – ხარი, მსხვერპლშეწირვის სიმბოლო; იოანეს კი – არწივი, როგორც სიმბოლო იესოს ცად ამაღლებისა.

გერმანელი სწავლული, დოქტორი რიხარდ ჰენინგი ამ სიმბოლოების შორეულ წყაროდ ოთხ ზოდიაქოს ნიშანს მიიჩნევს, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში 90 გრადუსიან კუთხეს ქმნიან. ლომს და არწივს რაც შეეხება, აქ ყველაფერი რიგზეა. მერწყულში იგულისხმება ანგელოზი, რომელსაც მამაკაცის სახე აქვს; იოანეს არწივში მორიელი უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ მორიელი გამოირიცხება, რადგან ის, უპირველეს ყოვლისა, ბოროტთან ასოცირდება. თავის ასტროლოგიურ ლექსიკონში ნიკოლა დე ვორი ავითარებს იმავე ჰიპოთეზას, როდესაც ამბობს, რომ სფინქსი ამ ოთხივე სიმბოლოს აერთიანებს. მას შეიძლება ჰქონდეს ადამიანის თავი, ხარის ტანი, ლომის კლანჭები და კუდი და არწივის ფრთები.

ჰარპიები

ჰესიოდე თავის თეოგონიაში მოგვითხრობს, რომ ჰარპიები გრძელთმიანი, ფრთოსანი ღვთაებები არიან, რომლებიც „ფრენის სისწრაფით ტოლს არ უდებენ ქარსა და ფრინველთ“. ენეიდას მესამე წიგნში იმავე ქმნილებებს გამუდმებული შიმშილისგან ფერმიხდილი ქალის სახეები, მოკაუჭებული კლანჭები და ბინძური ბუმბული აქვთ.

ისინი მთიდან ეშვებიან და სანადიმოდ გაშლილ სუფრებს აბინძურებენ. მათ ვერაფერს დააკლებ. სადაც გამოჩნდებიან, ყველგან საშინელ მყრალ სუნს აყენებენ. ყურისწამღები ჩხავილით ყველაფერს თქვლეფენ და მერე სკინტლად აქცევენ. სერვიუსი, ვირგილიუსის ერთ-ერთი კომენტატორი წერდა, რომ როგორც ჰეკატე ჰადესში პროზერპინეა, დედამიწაზე დიანა და ზეცაში ლუნა, რისთვისაც მას „სამსახოვან ქალღმერთს“ ვუწოდებთ, ასევე ჰარპიები ჯოჯოხეთში ფურიები, დედამიწაზე ჰარპიები, ხოლო ზეცაში დემონები არიან. ისინი ხშირად მოირებში ეშლებათ.

ერთი გადმოცემის თანახმად, ჰარპიები ღმერთების ბრძანებით თრაკიის მეფეს ავიწროებდნენ, რადგან ის ადამიანებს მომავალს უწინასწარმეტყველებდა. სხვა თქმულების მიხედვით ამ სასჯელის მიზეზი ის გახლდათ, რომ მეფემ თვალისჩინი უკვდავებაში გაცვალა, რითაც მზესა და მის ქმნილებებს შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც კი ბედშავი მეფე სანადიმოდ სუფრასთან დაბრძანდებოდა, ჰარპიები მაშინვე თავს ესხმოდნენ, ნთქავდნენ და აბინძურებდნენ კერძებს. მათი განდევნა მხოლოდ არგონავტებმა მოახერხეს. აპოლონიოს როდოსელმა და უილიამ მორისმა (იასონის სიცოცხლესა და სიკვდილში) კიდევ ერთხელ გვიამბეს ეს ფანტასტიკური ისტორია. არიოსტომ თავის ეპოსში შმაგი ორლანდო, თრაკიის მეფე იოანეს სახით, აბისინიელების გამოგონილ იმპერატორად მოგვივლინა.

ჰარპია ბერძნულად მტაცებელს ნიშნავს – „ის, ვინც იტაცებს“, „ის, ვინც თავს ესხმის და იტაცებს“. თავდაპირველად ისინი ქარიშხლის ქალღმერთები იყვნენ, როგორც მარუტები ვედებიდან, რომლებიც ოქროს მახვილებს (ელვას) იქნევდნენ და ღრუბლებს წველიდნენ.

ჰიდრა

ტიფონისა (დედამიწის ქალღმერთის გეასა და ტარტაროსის მახინჯი ვაჟი) და ექედნეს, ნახევრად ლამაზი ქალისა და ნახევრად გველის სასიყვარულო კავშირისგან იშვა ჰიდრა, ლერნის ჭაობის ბინადარი ქვეწარმავალი. ისტორიკოს დიოდორეს თუ დავეყრდნობით,

ჰიდრას ასი თავი ჰქონდა, აპოლოდორეს ენციკლოპედიის მიხედვით კი მხოლოდ ცხრა. ლემპრიერიც ამბობს, რომ ჰიდრას თავების ყველასთვის კარგად ცნობილი რიცხვი არის ცხრა. თუმცა, რამდენი თავიც არ უნდა ჰქონოდა მას, ყველაზე საშინელი ამ არსებაში იყო ის, რომ ერთ თავს თუ მოაჭრიდი, მის ადგილას მაშინვე ორი ახალი ამოეზრდებოდა. მავანნი ამბობდნენ, რომ ეს ადამიანის თავები იყო, რომელთაგან შუაში მდებარე, უკვდავი გახლდათ. მისი სუნთქვა წყალს წამლავდა და ახლომდებარე ველ-მინდვრებს წვავდა. მაშინაც კი, როცა ეძინა, ჰაერი ადამიანისთვის მომაკვდინებელი შხამით იყო გაჟღენთილი. ეს ურჩხული ჰერამ ჰერაკლეს დაუპირისპირა.

ჰიდრა მარადიული სიცოცხლისთვის იყო შექმნილი. ის ლერნას ჭაობებში ბინადრობდა, სადაც მას ჰერაკლე და იოლაოსი შეერკინნენ. ერთი მათგანი რომ თავებს ჰკვეთდა, მეორე ანთებული ჩირაღდნით ჭრილობას უშანთავდა. როდესაც ჰერკულესმა ბოლო, უკვდავი თავი მოჰკვეთა, ჰიდრა უშველებელი კლდის ქვეშ დამარხა, სადაც ის დღემდე თვლემს სიძულვილით სავსე.

სხვა ურჩხულებთან ბრძოლისას ჰერაკლე ისრებს ჰიდრას ნაღველში აწობდა და ამით მეტოქეს მომაკვდინებელ ჭრილობებს აყენებდა.

ჰიდრას მეგობარმა კიბომ ჰერაკლეს ტერფზე უკბინა, მაგრამ გაცეცხლებულმა ჰერაკლემ ის ქუსლით გასრისა. ჰერამ კიბო ცაში აიყვანა და ვარსკვლავთა შორის მიუჩინა ადგილი. ასე წარმოიშვა კიბოს თანავარსკვლავედი და ზოდიაქოს ნიშანი.

ჰიპოგრიფი

შეუძლებლის ან წარმოუდგენლის განსამარტავად ვერგილიუსი ცხენებისა და გრიფების შეჯვარებას იშველიებდა. ოთხი საუკუნის შემდეგ სერვიუსს თავის ნაშრომებში გრიფები მოხსენიებული ჰყავს ცხოველებად, რომლებიც წელს ზევით არწივები არიან, ხოლო წელს ქვევით ლომები. ვერგილიუსის ტექსტის განსამტკიცებლად იგი გრიფების აღწერას იმასაც უმატებს, რომ მათ ცხენები სძაგთ... დროთა

განმავლობაში გამოთქმა *„Jungentur jam grypes equis“* ფრთიან გამონათქვამად იქცა. XVI საუკუნის დასაწყისში ლუდოვიკო არიოსტომ ამ გამონათქვამის საფუძველზე ჰიპოგრიფი გამოიგონა. არწივი და ლომი ანტიკური ხანის გრიფში ცოცხლობენ. ცხენი და გრიფი კი არიოსტესეულ ჰიპოგრიფში, რომელიც მეორეხარისხოვანი ურჩხული, ან გნებავთ – ფანტაზიის ნაყოფია. პიეტრო მიქელი ხაზს უსვამს, რომ მისი აზრით, ის გაცილებით ჰარმონიულია, ვიდრე ფრთოსანი რაში.

შმაგ ორლანდოში ისე ნათლად და გასაგებად არის დახასიათებული ჰიპოგრიფი, თითქოს ეს აღწერა ფანტასტიკური ზოოლოგიის ლექსიკონისთვის იყოს განკუთვნილი: „რაში მოჩვენება არ ყოფილა, ნამდვილი იყო. ის გრიფმა ჩასახა და ფაშატმა შვა. მამისგან მემკვიდრეობით მხოლოდ თავი, ნისკარტი, წინა თათები და წყვილი, მოხდენილი ფრთა ერგო, სხვა დანარჩენით დედას დაემსგავსა. ერთი სიტყვით, ეს ჰიპოგრიფი გახლდათ, რომელსაც, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდებით შორეული, ყინულოვანი პოლუსიდან რიფის მთაგრეხილში გადმოხვეწილს“.

ამ იშვიათ არსებას მკითხველი ნაწარმოებში სრულიად შემთხვევით ეცნობა (II, 37): „რონასთან ახლოს ვიხილე რაინდი, რომელსაც აღვირით ფრთოსანი რაში ეჭირა“.

სხვა ოქტავებში კი აღწერილია მფრინავი რაშის დანახვით გამოწვეული განცვიფრება. აი, ეს ცნობილი ოქტავაც (IV, 4):

„(ბრადამანტი) ხედავს მასპინძელს და მთელ მის ოჯახს,
ფანჯრებთან და ქუჩაში,
რომელთაც ცისთვის მიეპყროთ მზერა
თითქოს მზის დაბნელება დაენახათ ანდა კომეტა,
და აი, ქალი სასწაულს ხედავს,
რომელსაც, სხვას რომ მოეთხრო, ვერასოდეს დაიჯერებდა,
მან იხილა ბუმბულებიანი რაში, რომელიც ჰაერს მოაპობდა
და მასზე ამხედრებული იარაღასხმული რაინდი“.

ასტოლფო ბოლო თავში უნაგირსა და აღვირს მოხსნის ჰიპოგრიფს და თავისუფლებას ჩუქნის მას.

ჰოჩიგანი

დეკარტი ამბობს, რომ მაიმუნებს, თუ მოინდომებენ, ლაპარაკი შეუძლიათ, მაგრამ ისინი დუმილს ამჯობინებენ, რათა ადამიანებმა თავიანთ სამსახურში არ ჩააყენონ. სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებ ბუშმენებს სწამთ, რომ იყო დრო, როდესაც ცხოველებს ლაპარაკი შეეძლოთ. ჰოჩიგანს სძულდა ცხოველები; ერთ დღეს ის გაუჩინარდა და ცხოველების მეტყველების უნარიც თან გაიყოლა.